# ველური ბუნება

# WILDLIFE

ჟურნალი 2017 №1(26)



**მიუწვდომელი** მწვერვალთა სამყარო

**ხალხური** ეკოლოგიური გამოცდილება

**ხელნაკეთი** სანადირო იარაღი

**153** სამინისტროს ცხელი ხაზი

# GUIDE-U THROUGH WONDERS OF GEORGIA!

**NEW APP FOR TOURISTS**

Guide-U-ს აპლიკაცია უფასოდ გთავაზობთ ყოვლისმომცველ ინფორმაციას საქართველოს შესახებ, ონლაინ და ოფლაინ აუდიო გიდს, რუკებს, სასტუმროების და რესტორნების სიას, და სხვას. აპლიკაცია ხელმისაწვდომია გადმოსაწერად Apple Store-ში და Play Store-ში.

Guide-U-ს უნივერსალური ფასდაკლების ბარათი გაძლევთ საშუალებას 1,000-მდე განსხვავებული ტიპის (სასტუმრო, რესტორანი, კაფე-ბარი, მაღაზია, გასართობი ობიექტი და სხვა) ობიექტში მიიღოთ სხვადასხვა ოდენობით (5%-დან 30%-მდე) ფასდაკლება.

Guide-U app offers comprehensive information about Georgia, online and offline audio-guide, maps, lists of restaurants and hotels, etc. You can download application for free from Apple Store and Play Store.

Guide-U Universal Discount Card gives you a chance to get 5 to 30% discounts in up to 1,000 different locations (hotels, restaurants, cafes, bars. stores, entertainment centres and others).




Guide-U-ს ფასდაკლების ბარათი, რომელიც თქვენს ეკონომიურ და დაუვიწყარ მოგზაურებას უზრუნველყოფს საქართველოში, 1000-მდე ობიექტში შეგიძლიათ გამოიყენოთ. ბარათის მოქმედების ვადა 14 დღეა, ხოლო მაქსიმალური ლიმიტი 5000 ლარი. თუ სად შეგიძლიათ ფასდაკლების ბარათის შეძენა ამის შესახებ ინფორმაციას ვებ გვერდიდან და მობილური აპლიკაციიდან მიიღებთ. ბარათის შეძენისთანავე, თქვენ მიიღებთ: კომპანია „მაგთიკომისგან“ უფასო სიმ-ბარათს, 1,000 მეგაბაიტი ინტერნეტით, 1,000 SMS-თა და 100 წუთი სასაუბრო დრო მაგთიკომის ქსელის აბონენტებთან; 5 ლარიან ფასდაკლების ვაუჩერს სატაქსო კომპანია Taxify-სგან, რომლის გამოყენებაც შეგეძლებათ ქალაქ თბილისში მგზავრობისას. ამისათვის თქვენს ტელეფონზე App Store-იდან ან Play Store-იდან გადმოტვირთავთ Taxify-ს აპლიკაციას და მიყვებით ინსტრუქციას.

You can use the Guide-U discount card in up to 1,000 locations, which ensures your cost-efficient and unforgettable travel throughout Georgia. The card is valid for 14 days from the time of the purchase. There is a maximum purchase limit of 5,000 GEL. You can find information about where to buy the card and where to use it on the Guide-U website and mobile application. Upon receiving the card the following bonuses are yours:
A free SIM card from MagtiCom (Georgian mobile network provider) with 1,000 MB of 4,5G free internet, 1,000 SMS and 100 minutes free talk time to numbers in the same network;
A 5 GEL voucher from Georgian taxi company Taxify, which you can use during your travel inside Tbilisi. For this, you have to download Taxify application from App Store or Play Store on your phone and follow the instructions.

www.guide-u.ge
www.blog.guide-u.ge

Download on the App Store

GET IT ON Google Play




თავანკარი - ღვინის ბრენდად
ქცეული ძველი ქართული სიტყვა

# ფასადის თერმოიზოლაცია

- შეამცირე დანახარჯი 40%-ით გათბობასა და გაგრილებაზე.
- შეინარჩუნე ჯანსაღი მიკროკლიმატი მთელი წლის განმავლობაში.
- დაიცავი სახლი დაზიანებისგან.

## შეამცირე ხარჯი




www.termoizolacia.ge

»» მზე ყველაზე ადვილად ეკიდება ცხვირს, შუბლს, მკერდს, მხრებსა და მუხლებს.

»» ტუჩზე წაისვით ჰიგიენური პომადა SPF-ით

»» მზეზე ყოფნისას ატარეთ ქუდი და მზის სათავლე

»» წაისვით მზისგან დამცავი საშუალება ყოველ 2 საათში

PSP

# მზეზე რომ არ დაიწვათ!

კანი ადამიანის ყველაზე დიდი ორგანოა, შესაბამისად, მას დაცვა და გაფრთხილება სჭირდება, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე, როცა მზე განსაკუთრებით აქტიურია. იმისთვის, რომ მზეზე არ დაიწვათ გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა:

## თუ მზის დამწვრობა მიიღეთ:

»» მიიღეთ გრილი შხაპი ან აბაზანა;

»» ნუ გამოიყენებთ საპონს ან გელს, რადგან ისინი იწვევენ კანის გამოშრობას;

»» გრილი შხაპის შემდეგ შეგიძლიათ გამოიყენოთ “პანთენოლის” შემცველი კრემი ან დამწვრობის საწინააღმდეგო მალამო;

»» მზის დამწვრობას გაწითლება და კანის დაჭიმვა ახლავს თან. არასასიამოვნო შეგრძნებას თუთიის ოქსიდზე დამზადებული მალამოები შეგიმსუბუქებთ;

### სახის მზისგან დამცავი საშუალებები



| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გელი SPF 50 | კრემი ზომიერი დაცვა | კრემი ძლიერი დაცვა | სპრეი ანტი-ფოტო-დაბერება | ემულსია SPF 30 | კრემი SPF 50 | კრემი SPF 30 | კრემი SPF 50 |

### სხეულის მზისგან დამცავი საშუალებები



| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზეთი-სპრეი SPF 6 | სპრეი SPF 30 | რძე სწრაფი რუჯი | სპრეი სწრაფი რუჯი | სპრეი SPF 30 | სპრეი SPF 30 | ლოსიონი SPF 50 | სპრეი SPF 30 |

### ალერგიული კანის სპეციალური მოვლა



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახის კრემი ვიტამინი C SPF 50+ | სახის კრემი SPF 50+ | სახისა და სხეულის სპრეი SPF 50+ | სახისა და სხეულის სპრეი SPF 30 | სახის კრემი ძლიერი დაცვა | სახის კრემი მზისგან დამცავი ძლიერი | სახის კრემი ანტიპიგმენ-ტაცია |

»» არავითარ შემთხვევაში არც რუჯის მიღებამდე და მითუმეტეს არც დამწვრობის შემთხვევაში, კანზე არ წაისვათ ზეთი და ზეთოვანი, ან ცხიმის შემცველი სხვა ნივთიერებები, რადგან ცხიმი იწვევს მზის სხივების გარდატეხას ეს კი გამოიწვევს უფრო ძლიერ დამწვრობას და მხოლოდ გააუარესებს თქვენს მდგომარეობას;

»» არ შეიძლება სპირტი და სპირტის ბაზაზე დამზადებული ნივთიერებების გამოყენება, სპირტი დამწვარი კანს ძლიერად გამოაშრობს და გააღიზიანებს;

»» მიუღებელია დამწვრობის ადგილზე გაჩენილი ბუშტუკების დაჩხვლეტა, მასში არსებული სითხის იძულებით გარეთ გამოდევნა და კანის იძულებით მოცილება, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ლაქა დაგრჩეთ;

»» ვიდრე დამწვრობა არ მოგირჩებათ, თავი აარიდეთ მზეზე გასვლას


ფასდაკლება
-20%

წარადგინეთ ეს კუპონი
პსპ-ს ნებისმიერ აფთიაქში და
მიიღეთ 20% ფასდაკლება მზის
სერიის კოსმეტიკაზე

მოქმედების ვადა:
2017 წლის 1 ოქტომბრამდე

რედკოლეგია:
თეიმურაზ ტყემალაძე
მირიან ხოსიტაშვილი
არჩილ ტყემალაძე

Editing Board:
Teimuraz Tkemaladze
Mirian Khositashvili
Archil Tkemaladze

მთავარი რედაქტორი
გოჩა კობერიძე

Editor in Chief
Gocha Koberidze

გრაფიკული დიზაინი
გიგი გელაშვილი

Grapphic Design
Gigi Gelashvili

ლიტ. რედაქტორი
მარინე ხუციშვილი

Lit. Editor
Marine Khutsishvili

თარჯიმანი
ელენე ფასური

Interpreter
Elene Pasuri

ჟურნალი იბეჭდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფინანსური მხარდაჭერით

Magazine is published with finantial support of the National Parliamentary Library of Georgia

ძვირფასო მკითხველო!
თუ გაგაჩნიათ საინტერესო ფაქტები, ისტორიები ან ფოტომასალა და მიგაჩნიათ, რომ მათი გამოქვეყნება საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო თბილისი 0102
ლადო გუდიაშვილის 7
+995551 29 44 64
info@veluribuneba.ge
www.veluribuneba.ge
facebook.com/SCIGeorgia



სამწლიანი პაუზის შემდეგ ჩვენი ჟურნალი კვლავ დაუბრუნდა ერთგულ მკითხველს. ჟურნალის ფურცლებზე თქვენ შეხვდებით როგორც ძველ ავტორებს, ასევე განახლებული გუნდის იმ წევრებს, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი სათქმელი საჯარო გახადონ და მოკრძალებული წვლილი შეიტანონ საქართველოს ველური ბუნების გადარჩენის საქმეში; დიახ, სწორედაც რომ გადარჩენის, რადგან ბუნებაზე წნეხი მთელს მსოფლიოში დღითი დღე მატულობს, მათ შორის საქართველოშიც. დაგეგმილია არაერთი მასშტაბური პროექტი ბუნების წიაღში, შესაბამისად, ბუნების ხარჯზე.

ჟურნალის განახლება დიდწილად განაპირობა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერამ, რისთვისაც მადლობას ვუხდით და იმედს გამოვთქვამთ, რომ მათთან თანამშრომლობით კიდევ უფრო გაიზრდება საზოგადოების წიგნიერება ამ კუთხით, რაც აუცილებლად გამოიწვევს ველური ბუნებისადმი სათანადო დამოკიდებულებასა და ზრუნვას.

სახელწოდების შეცვლასთან ერთად დაიხვეწა ჟურნალის ფორმატი და მოხდა პერიოდიკის ოპტიმიზაციაც. იგი 100 გვერდამდე გაიზარდა და დაემატა მრავალი საინტერესო რუბრიკა, რაც საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ ყველა ის ადამიანი, რომლებიც, პირველ ყოვლისა, ბუნების სიყვარულით გამოირჩევიან და, ამავდროულად, ველურ ბუნებასთან სიახლოვის განსაცდელად საკუთარი გზისათვისაც მიუგნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენი შეხედულებები არათუ არ ემთხვევა, არამედ ეწინააღმდეგება კიდეც ერთმანეთს, უნდა შევძლოთ ერთმანეთის აზრის პატივისცემა და არგუმენტირებული კამათი.

ჟურნალი გამოიცემა სამ თვეში ერთხელ და უფასოდ დარიგდება სხვადასხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებში. ყოველ სტატიას ახლავს მოკლე ანოტაცია ინგლისურ ენაზე, რაც საშუალებას გვაძლევს ჟურნალი გავავრცელოთ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში. ერთგულ მკითხველს ექნება საშუალება მივიდეს ეროვნული ბიბლიოთეკის ნებისმიერ ფილიალში და ადგილზე გაეცნოს ჟურნალს. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის წევრები უნდა მივიდნენ თავიანთი რაიონის ბიბლიოთეკაში და, წევრობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემდეგ, მიიღებენ კუთვნილ ჟურნალს. სხვადასხვა სოციალური ქსელისა და ფორუმის საშუალებით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ისარგებლოს ჟურნალის ელექტრონული ვერსიით სრულიად უფასოდ.

ძვირფასო მკითხველო, ეს იყო მოკლედ იმ ცვლილებების შესახებ, რაც თქვენმა ჟურნალმა განიცადა. გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებსაც ყურადღებით განვიხილავთ და შევეცდებით გავითვალისწინოთ მუშაობაში.

გოჩა კობერიძე
მთავარი რედაქტორი
Gocha Koberdize
Editor -in-Chief

The column by the editor in chief provides the information to readers about recent changes that presented magazine has gone through, specifically in terms of title, format, content and the schedule of publishing. We hope that this magazine will become a platform of discussion for all the opinionated wild nature lovers, where contrasting arguments will be equally respected. Every article is followed by an annotation in English, this will enable our international guests to be acquainted and actively engage in the polemics around the topics covered in this magazine.
Dearest readers, please do not hesitate to write us your thoughts and comments, we will review them wholeheartedly and try our best to meet your desires.



საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო 74

# სარჩევი


8 WWF

13 ინტერვიუ ზაზა ხუციშვილთან

20 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

24 საქართველოს ეროვნული საშენი

26 ინტერვიუ მანანა ქოჩლაძესთან

30 საქართველოს სამონადირეო ტურიზმის პოტენციალის კვლევა

37 ნადირობა თევზაობა

58 პრეისტორიული თევზაობა

60 ინტერვიუ თენგიზ სეფიაშვილთან

64 სამშობლო კრებითი ცნებაა ვაჟა გიგაშვილი

72 ლაშქრობა როგორც ცხოვრების წესი GreenWood

80 HIGHLINE




26



84



80



52

# ტყეების ეკოლოგიური ფუნქციების ეკონომიკური შეფასება აჭარაში

WWF

*ავტორი: ილია ოსეფაშვილი, სატყეო პროგრამის ხელმძღვანელი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობა*
*2017 წლის ივლისი*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის ბოლო აღწერის თანახმად, 2014 წელს აჭარის მოსახლეობა შეადგენდა 333953 ადამიანს. აჭარის მთლიანი ფართობი 2880 კმ²-ს შეადგენს. აჭარა უმეტესწილად მაღალმთიანია, მრავალფეროვანი კლიმატური პირობებით. ტერიტორიის 66 პროცენტი დაფარულია ტყით. ტყიანობის პროცენტი აჭარაში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს ნებისმიერ სხვა რეგიონში. აჭარის ტყის საფარი თითქმის მთლიანად ბუნებრივი ტყის კორომებისაგან შედგება.

აჭარა წარმოადგენს ფლორისა და ფაუნის მრავალი სახეობის თავშესაფარს. აჭარის ფლორა მოიცავს 1900-მდე სახეობას 138 ოჯახიდან, მათ შორისაა 13 ვიწრო ლოკალური ენდემური სახეობა. აჭარის ფაუნა აერთიანებს 1800-ზე მეტ სახეობას, საიდანაც 20 სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. ტყეები აღნიშნული სახეობების დიდი ნაწილის ჰაბიტატს (საარსებო გარემოს) წარმოადგენს.

აჭარის ტყის ეკოსისტემები მრავალ ფუნქციას ასრულებს და სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროდუქციის წყაროა, რომელთა შორის აღსანიშნავია მერქანი, ტყის არამერქნითი პროდუქცია, სასმელი წყალი, ტურიზმი და რეკრეაცია, ნადირობა და თევზაობა, მეფუტკრეობა, ისეთი ბუნებრივი საფრთხეების რეგულირება, როგორიცაა წყალდიდობა და მეწყერი, და გლობალური კლიმატის რეგულირება ნახშირბადის შთანთქმის გზით. შესაბამისად, ტყეები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში.

სამწუხაროდ აჭარა (ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონები) რიგი გარემოსდაცვითი საფრთხეების წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ნიადაგის დეგრადაცია და ბუნებრივი კატასტროფები. აღნიშნულ კონტექსტში, ტყეების მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. თუმცა, სამწუხაროდ ტყის დაცვითი და მარეგულირებელი ფუნქციების მნიშვნელობა ხშირად არასათანადოდ არის შეფასებული, რაც იწვევს ტყეების დეგრადაციას (მაგ. არამდგრადი ჭრებისა და ჭარბი ძოვების გამო). მათი სრულფასოვანი შეფასება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ტყის ჯანსაღი საფარისა და უმნიშვნელოვანესი ფუნქციების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად.



ფოტო: აჭარის ტყეები (c)WWF კავკასიის წარმომადგენლობა

ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკა (ინგლისურად - The Economics of Ecosystems and Biodiversity, TEEB) წარმოადგენს ინოვაციურ მექანიზმს ტყის სხვადასხვა (მათ შორის ეკოლოგიური და სოციალური) ფუნქციის შესაფასებლად. აღნიშნული ასევე გულისხმობს ტყის ფუნქციების ფულად ერთეულებში შეფასებას და ამ ფასეულობების გათვალისწინებას ტყეების მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების დროს. TEEB, როგორც საერთაშორისო ინიციატივა, წამოწყებულ იქნა 2007 წელს გერმანიის გარემოს დაცვის ფედერალური სამინისტროსა და ევროპის კომისიის მიერ. ინიციატივას მხარი

დაუჭირა გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ (UNEP) და რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ.

2013 წ. საქართველოს მთავრობის, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა დოკუმენტი “TEEB წინასწარი შეფასება საქართველოსთვის: ძირითადი შედეგები და სამომავლო ღონისძიებები“. კვლევის ფარგლებში შეფასდა საქართველოს ეკონომიკის ხუთი სექტორი - ენერგეტიკის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, წიაღისეულის მოპოვებისა და სატყეო. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული სექტორები მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ბუნებრივ ეკოსისტემებზე. ასევე განისაზღვრა სრულმასშტაბიანი TEEB კვლევის ჩატარების აუცილებლობა.

შესაბამისად, 2015-2016 წლებში პროგრამის „სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესება ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის - მეორე ფაზა (FLEG II)“ ფარგლებში WWF კავკასიის წარმომადგენლობამ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან პარტნიორობით) ჩაატარა TEEB კვლევა, რათა შეფასებულიყო ტყის ეკოსისტემების ფუნქციები აჭარაში. პროგრამას ფინანსურად მხარს უჭერდნენ ევროკავშირი და ავსტრიის განვითარების სააგენტო. ამ კვლევამ მოიცვა დაახლოებით 190000 ჰა ტყის ფონდის ფართობი მიწათსარგებლობის ზოგად კონტექსტში აჭარაში. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები აღებულია აღნიშნული კვლევიდან: „ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის (TEEB) კვლევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) სატყეო სექტორისთვის: დასკვნითი ანგარიში“; 2015; ავტორი: WWF კავკასიის წარმომადგენლობა). კვლევის მთავარი მიზნები იყო:

1. ტყეების მდგომარეობის კუთხით მომავალი ალტერნატიული სცენარების შემუშავება აჭარისათვის.

2. თითოეული სცენარის მიხედვით, ტყის შერჩეული ეკოსისტემების სერვისების ეკონომიკური შეფასება.

3. ტყის მართვის კუთხით რეკომენდაციების შემუშავება.



2015 წლის ნოემბერში ქ. ბათუმში შედგა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა, რათა დაზუსტებულიყო კვლევის მიზნები და შერჩეულიყო ტყის უმნიშვნელოვანესი ეკოსისტემები შეფასების მიზნით. შეხვედრის მონაწილეებმა შეარჩიეს შემდეგი ფუნქციები: საშეშე მერქნისა და არამერქნითი პროდუქციის მიწოდება, მეწყერების კონტროლი და ნახშირბადის შთანთქმა.

განხილულ იქნა აჭარის სატყეო სფეროს მომავალი განვითარების ორი შესაძლო სცენარი, დღევანდელ (საბაზისო) მდგომარეობასთან მიმართებაში: ა) ტყეების დეგრადაციის პროცესების გამწვავება და ბ) ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესება აღდგენის გზით. დეგრადაციის სცენარი წარმოადგენს კრიზისულ ვითარებას რეგიონში, სადაც მოქმედებს რამდენიმე საგარეო და საშინაო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორი, რაც იწვევს აჭარაში ტყის რესურსების ჭარბ ექსპლუატაციას, ტყის მართვისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის კლებასა და საერთაშორისო დონორების დახმარების

მოცულობის შემცირებას. ამ სცენარის მიხედვით, ტყის რესურსების ჭარბი ექსპლუატაციის შედეგად 2035 წლისთვის აჭარაში ტყის საფარი მცირდება 18%-ით, ძირითადად დასახლებული პუნქტების მახლობლად მდებარე ტყეების ხარჯზე.

ტყის მდგრადი სარგებლობისა და აღდგენის სცენარი ეფუძნება აჭარის სატყეო სააგენტოს სტრატეგიული გეგმის (რომელიც შემუშავდა და დამტკიცდა 2015 წ.) სრულფასოვან განხორციელებას. კერძოდ, მოსახლეობა თავად აღარ მოიპოვებს ხე-ტყეს (რასაც დღემდე ადგილი აქვს ე.წ. სოციალური ჭრების სახით). შეშისა და სამასალე მერქნის დამზადება და მოსახლეობისათვის მიწოდება ხორციელდება აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ. შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოები გაცილებით უფრო მაღალი ხარისხითა და ეკოლოგიური ნორმების დაცვით მიმდინარეობს. 2035 წლისათვის ტყის საფარი იზრდება 16%-ით, სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყის აღდგენისა და ბუნებრივი განახლების გზით. ყოველივე აღნიშნული შესაძლებელი ხდება აჭარის სატყეო სააგენტოს ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების შედეგად.

ზემოაღნიშნული ორი განსხვავებული სცენარის შემუშავებისა და ანალიზის მიზანს წარმოადგენდა საჭირო ორიენტირების შექმნა სწორი პოლიტიკის შესამუშავებლად. ტყეების დეგრადაციისა და აღდგენის სცენარები შეფასებულია დღევანდელ მდგომარეობასთან (საბაზისო სცენართან) მიმართებაში, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორ იცვლება ტყეების ეკოსისტემების სერვისებისა და მათგან მომავალი სარგებლის ფასეულობა ტყის მართვის ხარისხის ცვლილებასთან ერთად.

თითოეული სცენარისათვის, მიწათსარგებლობის რეჟიმის ცვლილების მოდელირება განხორციელდა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) საშუალებით, ხოლო ცვლილებები ტყის ეკოსისტემების სერვისების (მაგ. შეშა, ნახშირბადის შთანთქმა) მოცულობებში მოდელირებულ იქნა პროგრამული უზრუნველყოფა InVEST-ის გამოყენებით (GIS-ის საფუძველზე). თითოეული სცენარის პირობებში მიღებული ცვლილება შეფასდა 2016-2035 წწ დროის მონაკვეთში (საბაზისო სცენარი 2016 წელს და შესაძლო სცენარების ზემოქმედება 2035 წლისთვის). შემდგომ, შერჩეული მეთოდების ერთობლიობის გამოყენებით, შეფასდა ეკოსისტემების სერვისების მიმდინარეობაში ცვლილებების ეკონომიკური ფასეულობა.

კვლევამ დაადგინა, რომ ტყეების დეგრადაციის გამწვავების სცენარის შემთხვევაში, დამატებითი ჯამური ეკონომიკური ზარალი 18,5 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს აჭარაში 2016-2035 წწ პერიოდში. ტყეების აღდგენის სცენარის შემთხვევაში, დამატებითი ჯამური სარგე-



ბელი ტყის ეკოსისტემების იმავე სერვისებიდან თითქმის 10 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს (იხილეთ ცხრილი 1 და სურათი 1 ქვემოთ).

*ცხრილი 1: ეკოსისტემების სერვისებით უზრუნველყოფის ცვლილებების ჯამური ღირებულებები ტყის მართვის ალტერნატიული სცენარების მიხედვით (2016-2035; აშშ დოლარი)*

| | დეგრადაცია | აღდგენა |
|---|---|---|
| შეშა | -4320805 | 1380249 |
| არამერქნითი პროდ. | -2208692 | 749227 |
| მეწყერების კონტროლი | -6907341 | 1350911 |
| ნახშირბადი | -5122499 | 6519273 |
| სულ | -18559337 | 9999660 |

უფრო მეტიც, გაცილებით მაღალი იქნება აჭარაში ტყის აღდგენის შედეგად მიღებული გლობალური სარგებელი, ნახშირორჟანგის დამატებითი რაოდენობით შთანთქმის შედეგად. აღნიშნული კალკულაცია ითვალისწინებს ატმოსფეროში ნახშირბადის გარკვეული რაოდენობის გატყორცნისა და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ზარალის პრევენციას (იხილეთ სურათი 2). კერძოდ, აჭარაში ტყის აღდგენის სცენარის მიხედვით, წლიური გლობალური დამატებითი სარგებლის ღირებულება კლიმატის ცვლილების შერბილების გამო დაახლოებით 27 მილიონი აშშ დოლარი იქნება 2035 წლისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ პოზიტიურ ეფექტს გლობალური ხასიათი აქვს. თუმცა, ტყეების დეგრადაციის სცენარის შემთხვევაში, ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დამატებითი რაოდენობით გატყორცნით გამოწვეული დამატებითი წლიური ზარალი დაახლოებით 22 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს 2035 წლისათვის.






*სურათი 1: ეკოსისტემების სერვისებით უზრუნველყოფის ცვლილებების ჯამური ღირებულებები ტყის მართვის ალტერნატიული სცენარების მიხედვით (2016-2035;)დოლარი*




*სურათი 2: წლიური გლობალური სარგებელი რომელიც მიიღება აჭარის ტყეების მიერ დამატებითი ნახშირბადის შთანთქმიდან (გამოთვლილია ნახშირბადის სოციალური ხარჯის საფუძველზე - 59 US$/ტონა CO2 ეკვივალენტი; წყარო: US Interagency Working Group, 2013)*

აღნიშნულ შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ აჭარაში ტყის მართვის პრიორიტეტებისა და ზოგადად სატყეო პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით. იმისათვის, რომ რეალიზებულ იქნას ტყის აღდგენის სცენარი, აუცილებელია აჭარის სატყეო სააგენტოს შესაძლებლობებისა და უფლებამოსილების გაზრდა. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს მნიშვნელოვან დამატებით ინვესტიციებს.

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის სატყეო სააგენტოს შეუძლია დამატებით მიიღოს მნიშვნელოვანი დაფინანსება (დღევანდელ დონეზე არსებულ დაფინანსებასთან ერთად), რომელიც დროთა განმავლობაში გაიზრდებოდა. კერძოდ, სააგენტოს წელიწადში შეუძლია დამატებით მიიღოს სულ მცირე 100000 აშშ დოლარი 2020 წლისთვის და 200000 აშშ დოლარი 2035 წლისთვის. ტყის აღდგენის გზით მიღებული სარგებელი გაცილებით მაღალი იქნებოდა, ვიდრე აღნიშნული ინვესტიციების მოცულობა.

# Economic evaluation of ecological functions of forests in Ajara

*Author: Ilia Osepashvili, Senior Forest Officer, WWF-Caucasus Programme Office*
*July, 2017*

Ajara Autonomous Republic is located in the south-west of Georgia. Its territory is 2,880 sq.km, population - just over 334,000 inhabitants. High mountainous relief and diverse climatic conditions in Ajara have resulted in the establishment of unique natural forest ecosystems with very high levels of species diversity, including many rare and endemic species of flora and fauna. Forest ecosystems play an essential role for the wellbeing of population in Ajara, providing wood and non-wood products, reducing the risk of soil erosion, supplying drinking water and regulating climate. The importance of these functions is often underestimated, which results in forest degradation through unsustainable use. Better appreciation of these values is essential to maintain healthy forest ecosystems.



Launched in 2007, The Economics of Ecosystems and Biodiversity (TEEB) is an innovative mechanism for economic evaluation of forest functions and reflection of these values in decision-making. In 2015-2016, within the framework of the European Neighborhood and Partnership Instrument East Countries Forest Law Enforcement and Governance II Program, WWF-Caucasus Programme Office conducted TEEB study to evaluate forest ecosystem functions in Ajara (about 190,000 ha of Forest Fund). The study was financially supported by the Austrian Development Agency. The key stakeholders in Ajara selected the following forest ecosystem services for the assessment: the provision of fuelwood, non-timber forest products, landslide control and carbon sequestration. Two possible scenarios were assessed – forest degradation and forest restoration. Under the first scenario, due to illegal logging and other forms of unsustainable use, around 18% of the present forest cover in Ajara would be degraded or lost by 2035. Under the second scenario, the area of healthy forests would be increased by about 16% by the same year, due to forest restoration and sustainable management.

The study concluded that if forest degradation scenario prevails, increased cumulative economic loss (due to the deterioration of the above-mentioned ecosystem services) will amount to 18.5 million US$ in Ajara during the period 2016-2035. In contrast, if degraded forests are restored, total additional benefit from the same ecosystem services will amount to nearly 10 million US$. The annual global benefits from carbon sequestration (taking into account the avoided social costs of additional tons of carbon absorbed from the atmosphere) created by forests of Ajara would reach US$ 27 million under the forest restoration scenario by 2035. The latter, however, are mainly global-level benefits and cannot directly be captured by the population of Ajara.

These findings have significant implications for forest management. In order to realize the forest restoration scenario, the capacities of Forestry Agency of Ajara (FAA) and their managerial responsibilities need to be increased. This would require substantial investments. Based on the findings presented above, in addition to its current funding, FAA could receive substantial additional investments which would grow over time. Specifically, at least US$ 100,000 could be received by FAA per year by 2020 and US$ 200,000 by 2035. The benefits achieved through forest restoration would be much higher than these investment costs.

# ინტერვიუ
## ზაზა ხუციშვილთან



პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ჯგუფ „ვაკის პარკის“ სოლისტი ზაზა ხუციშვილი საუბრობს გარემოს დაცვაში არსებული პრობლემების შესახებ: უკანონო თევზჭერის, ბრაკონიერობის, გარემოს დაბინძურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის გზებზე; ასევე სახელმწიფოსა და მედიის პასუხიმგებლობასა და ფუნქციათა გადანაწილებაზე, საზოგადოებრივ ჩართულობასა და მონადირეთა ინსტიტუციის გაუმჯობესებაზე. ზაზამ ასევე გაგვანდო თავისი, როგორც მონადირის, მეტად საინტერესო გამოცდილება და მოსაზრებები.

*- ბატონო ზაზა, საქართველოში დღეს გარემოს დაცვის კუთხით საკმაოდ რთული ვითარება გვაქვს. რით არის ეს პრობლემები გამოწვეული და რა ზომები შეიძლება იქნას გატარებული როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მხრიდან?*

ზაზა ხუციშვილი: გარემოს დაცვის პრობლემები, რა თქმა უნდა, მძიმედ უდგას საქართველოს, გამომდინარე იმ მემკვიდრეობიდან, რაც მივიღეთ 90-იანი წლების შემდეგ. მოგეხსენებათ, ხეტყე ერთადერთი მასალა იყო, რომელსაც ხალხი გადარჩენისთვის იყენებდა. გარდა ამისა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ინვესტორებს პრაქტიკულად ყველა საშუალება ეძლეოდათ, რომ გარემოს დაცვის მოთხოვნებზე თვალი დაეხუჭათ, რამაც ძალიან მძიმე შედეგები გამოიწვია. დღესდღეობით საზოგადოებაც მიხვდა და მთავრობაშიც არის მზაობა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდეს. ყოველწლიურად იხვეწება კანონი და ახალ ინვესტორებსა თუ საწარმოებს ძალიან მკაცრად მოუწევთ თავიანთ საქმიანობაში ყველა იმ ნორმების გატარება, რაც გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ნებართვის გაცემის პირობებში იქნება მოთხოვნილი.

*- სად გამოიკვეთა ამ კუთხით ყველაზე მძიმე ვითარება?*

ზაზა ხუციშვილი: მოგეხსენებათ, რომ წყალი და ჰაერი არის მთავარი ის სივრცე, რომელიც წარმოების დროს ბინძურდება. ამ საკითხისადმი მიდგომა აბსოლუტურად უნდა შეიცვალოს. მოგეხსენებათ, რომ ჰაერი პირდაპირ ხვდება ჩვენს სხეულში. ხოლო რაც შეეხება წყალს, აუცილებელი არ არის დაბინძურებული წყლის დალევა. ხშირ შემთხვევაში ის გამოიყენება სარწყავად და პირუტყვის წყურვილის მოსაკლავად, რაც, ბუნებრივია, ზიანს აყენებს როგორც ცხოველს, ასევე ჩვენც. მას შემდეგ, რაც „evro-5“-ის სტანდარტის საწვავზე გადავედით, ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობა შედარებით შემცირებულია. 2018 წლის 1 იანვრიდან ტექნიკური დათვალიერება ისევ აუცილებელი ხდება და ეს ნიშნული კიდევ უფრო დაიკლებს. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი მანქანის კატალიზატორი და ის სისტემა იქნება, რომელიც ჰაერს მაქსიმალურად იცავს მავნე გამონაბოლქვისგან.

*- რა ვითარებაა უკანონო თევზჭერისა და ბრაკონიერობის თვალსაზრისით და რა აღმკვეთი ღონისძიებები ტარდება ამ მიმართულებით?*

ზაზა ხუციშვილი: მე ვნახე კადრები, რომლებმაც გამაოგნა: როგორ მისდევს ცურვით ეგერი კარგად შეიარაღებულ, ტექნიკურად აღჭურვილ ბრაკონიერებს. მოგეხსენებათ, რომ უკანონო თევზჭერა ძალიან დიდი და შემოსავლიანი ინდუსტრიაა, საკმაოდ კარგად არიან აღჭურვილები. რა თქმა უნდა, თუ გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურს შესაბამისი ტექნიკა და საშუალება არ ექნება, გაუჭირდებათ ბრაკონიერებთან ბრძოლა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გარემოს დაცვითი ზედამხედველობის სისტემაში თანამშრომლები მოტივირებულები იყვნენ. თითოეული დაკავება, რასაკვირველია, კონფლიქტია.

იქ მშვიდობიანად არაფერი ხდება. რეალურად, რაღაც თვალსაზრისით გმირული თავგანწირვა უწევთ ეგერებსა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებს, რადგან ხშირად შეიარაღებულ ადამიანებთან უწევთ ურთიერთობა. ამიტომ მათი საქმიანობაც შესაბამისად უნდა იყოს დაფასებული. სხვათა შორის, „მწვანე ალტერნატივის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ირაკლი მაჭარაშვილმა, ძალიან საინტერესო წინადადება დააყენა, რომელსაც კომიტეტმა მხარი დაუჭირა. კონკრეტულად: სამსახურებრივი მოვალეობის დროს გარდაცვალების შემთხვევაში მათაც ისეთივე პატივი მიეგებათ, როგორც ეს ხდება პოლიციელებისა და სამხედროების შემთხვევაში.

*- რა როლი აქვს ამ პროცესში სახელმწიფოსა და მედიას? რა არის ის მინიმუმი, რა კუთხითაც უნდა ხდებოდეს საზოგადოების ინფორმირება?*

ზაზა ხუციშვილი: სახელმწიფო ვალდებულია, რომ ინფორმაციის გავრცელება დაიწყოს სასკოლო პროგრამებიდან. არის ასეთი საგანი, მაგრამ უფრო ძირეულად უნდა იქნას შესწავლილი კანონმდებლობასთან მიმართებით რა როგორ მუშაობს. მედიას რაც შეეხება, სწორედ მასმედიამ უნდა იზრუნოს ცნობიერების ამაღლებაზე, თუნდაც კანონმდებლობის გაცნობაზე. მერწმუნეთ, რომ ბევრი ადამიანი ხშირად არ არის ინფორმირებული, რაზე შეიძლება ნადირობა, რა არის □წითელ ნუსხაში□, როგორია ნადირობის მეთოდები, რომელია ბრაკონიერული და რომელი □ დაშვებული. ამიტომ ესეც მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ეს ძვირადღირებული სიამოვნებაა.
მედიამ უნდა გააცნოს როგორც კანონმდებლობა, ასევე იმუშაოს საერთოდ ბუნების მიმართ ადამიანის სიყვარულის გაღვივებაზე. შიდა ტურიზმმა დიდი ტემპებით იწყო ზრდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ქართველებმა დაიწყეს საქართველოს დათვალიერება. არა მარტო ისტორიული ძეგლების, არამედ ეროვნული პარკებისაც. ამ მიმართულებით წახმარება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება.

*- დღეს ყველა მსურველი, რომელიც იარაღს ყიდულობს, ავტომატურად მონადირის სტატუსს იღებს. როგორ ფიქრობთ, რა რეგულაციები უნდა არსებობდეს და როგორ უნდა მიეწოდოს დამწყებ მონადირეებს გარკვეული საბაზისო ინფორმაცია?*

ზაზა ხუციშვილი: ჩემი აზრით, თუკი ზრდასრული ადამიანი გადის ელემენტარულ სწავლებას იმისათვის, რომ საჭესთან დაჯდეს და იაროს, მონადირემ, რომელიც გადაწყვეტს ნადირობას, სწავლების მოკლე კურსი უნდა გაიაროს: უსაფრთხოების, იარაღთან მოპყრობის და ა.შ. მიმაჩნია, რომ საქართველოში უნდა შეიქმნას ძალიან ბევრი კლუბი. უნდა არსებობდეს რაღაცის მიხედვით გაერთიანებული კლუბები. იქნება ეს რეგიონი, ძაღლი, თუ რომელიმე ფრინველზე ნადირობა. ბევრს არ მოსწონს ამის ხსენება, მაგრამ კომუნისტების დროს საჭირო იყო ორი მონადირის რეკომენდაცია. აქაც იგივე უნდა იყოს დაშვებული. დასტური იმისა, რომ ადამიანს გავლილი აქვს რაღაც ეტაპები. ასე არის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. გერმანიაში ან ჩეხეთში რომ აიღო თოფი და წახვიდე სანადიროდ, ასეთი რამ წარმოუდგენელია.



*- რა აზრის არიან ამ საკითხზე თვითონ მონადირეები?*

ზაზა ხუციშვილი: მონადირეებს მიაჩნიათ, რომ ეს გაურთულებთ მათ ცხოვრებას. ასევე ფიქრობენ, რომ ნადირობა ხდება ძვირი სიამოვნება. დიახ, ნადირობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ძვირი სიამოვნებაა, რადგან რაც ცოტაა, ის ყოველთვის ძვირია. ხუთი ათასი კურდღელი ასი ათასმა მონადირემ როგორ უნდა გაიყოს, თუ არა ფასის რეგულაციით? ამაზე პასუხი არც მე მაქვს და არც არავის. რატომ შენ და არა სხვამ? ამიტომ არის დაწესებული ფასი. მე ვერ ვეტყვი ადამიანს, რომელსაც ფული არა აქვს, როგორ უნდა ისწავლოს სამთო-სათხილამურო სპორტი, ან როგორ უნდა ისეირნოს იახტით. ყველაფერი ეს გარკვეული თანხა ღირს და ნადირობასაც აქვს თავისი ფასი.

*- როგორ ფიქრობთ, გარკვეული სტაჟის მქონე მონადირეებმაც უნდა გაიარონ გამოცდა, თუ მხოლოდ დამწყებებმა?*

ზაზა ხუციშვილი: ძველი მონადირეებისთვის, რომლებსაც გარკვეული სტაჟი აქვთ ნადირობისა, ალბათ უხერხული იქნება ამისი მოთხოვნა. გარკვეულ ორგანიზაციებში ვინც იყვნენ გაწევრიანებულები, მათ ალბათ ავტომატურად მიენიჭებათ სტატუსი.

*- თქვენ, როგორც მონადირეს, დარწმუნებული ვარ, არაერთი საინტერესო ისტორია გადაგხდენიათ. რომელი იყო ყველაზე მძაფრი შეგრძნება, რაც ნადირობის დროს გამოგიცდიათ?*

ზაზა ხუციშვილი: საერთოდ, რაც უფრო დიდია ნადირი, ადრენალინიც უფრო მეტია. ხშირად ღორზე ვნადირობ ხოლმე. მისი გამოსვლის დროს მართლა რაღაც განსაკუთრებული ემოცია აქვს ადამიანს. ყველა ნადირობის დროს ინსტრუქტაჟს ვატარებთ. მაშინ ღორზე ნადირობის დიდი გამოცდილება არ მქონდა. გავიგე, რომ როდესაც კოლტი გამოდის, პირველი მოდის ნეზვი, შემდეგ მოდის ტახი და მოჰყვება ბურვაკობა. მოხდა ისე, რომ ჩვენს ნომრებში ერთი პატარა კოლტი გამოვიდა და ჩვენმა ერთ-ერთმა მეგობარმა პატარა ბურვაკი მოინადირა. გამოვიტანეთ ეს ბურვაკი, მანქანაზე დავტვირთეთ. უცებ ჩვენს ნომრებთან მოვიდა ორი აზერბაიჯანელი მწყემსი. ბევრი იჩხუბეს ერთმანეთში, არ ვიცი, რა ჰქონდათ გასაყოფი, ენა არ მესმოდა. მოკლედ, ყველაფერი მოხდა ისე, რომ იქ ღორი აღარ უნდა გამოსულიყო. უცებ წამებში ატყდა ყეფა და ისევ დავუბრუნდი ჩემს ნომერს. ვიდექი ჭალიდან მოშორებით 30 მეტრში. ღორს ერთი ეშმაკობა სჩვევია, თუ იცის, რომ ჭალაში ელოდებიან, ან თუ ვინმე გაინძრა, გარბის და წრეზე გამოდის. მოკლედ, გამოვიდა პირველი ღორი, დავაკვირდი და მივხვდი, რომ ნეზვი იყო. მოჰყვა უკან ისეთი უშველებელი ღორი, არც მანამდე და არც იმის შემდეგ აღარ მინახავს. დაახლოებით 20-22 მეტრში იყო. ამოვიღე მიზანში, ვესროლე და დავარდა. ალბათ გამოუცდელობით მომივიდა, რომ საკონტროლო აღარ ვესროლე. სანამ მე ვზეიმობდი, რომ ამხელა ღორი მოვინადირე, ეს დავარდნილი ტახი უცებ წამოხტა და გაიქცა. ამ დროს მოხდა მეორე კურიოზიც. ჩემს მეგობარს, დიდი შეცდომა მოუვიდა. თოფზე დაუყენეს კალიმატორი და გაუსინჯავად წამოიღო სანადიროდ. ამ ჩემმა დაგდებულმა და მერე გაქცეულმა ღორმა ზუსტად ათ მეტრში ჩაურბინა. თვითონ კალიმატორში იყურებოდა და უმიზნებდა ძველი მეთოდით, როგორც იცოდა. ხუთჯერ ესროლა და ვერ დააგდო, არადა ძალიან კარგად ისვრის. როგორც მერე გავარკვიეთ, ლულა ცაში ქონდა მიშვერილი. საყვედურიც ვუთხარით, შეუმოწმებელი თოფით რომ წამოვიდა.

*- რა ადგილი უჭირავს ახლა თქვენს ცხოვრებაში მუსიკას? უკანა პლანზე ხომ არ გადაიწია?*

ზაზა ხუციშვილი: პოლიტიკას ძალიან ბევრი დრო მიაქვს. დაწყებული კითხვით, რადგან, ისეთ მნიშვნელოვან კანონებზე, რომლებიც შემოდის, გამორიცხულია ზეპირად გადაწყვეტილების მიღება. ამავდროულად ვარ მაჟორიტარი. უბანში არის უამრავი საქმე. მოსახლეობასთან შეხვედრები, შემდეგ გადამოწმება, რა კეთდება და ა.შ. ამას ემატება პარლამენტში მუშაობაც, ორ კომიტეტში ვარ, დელეგაციები, შეხვედრები. მაგრამ მიუხედავად ამისა, მუსიკისთვის დროს მაინც ვპოულობ. Hard Rock კაფეში ვუკრავ.



**Interview with Zaza Khutsishvili**

The First Deputy Chairman of Environmental Protection and Natural Resources Committee of Parliament of Georgia, discusses various problems of environment protection; different solutions of problems like Illegal fishing, poaching, littering and other important issues. He talks about the shared responsibilities of state and media, public engagement and improvement of hunting culture in general. As an experienced hunter himself, Mr. Khutsishvili shares some very interesting thoughts and experiences of his own.

# საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცულ უნიკალურ გამოცემათა შორის ინახება სხვადასხვა სახის მასალები, რომლებიც შეეხება საბუნებისმეტყველო დარგებს, ფლორასა და ფაუნას. შევარჩიეთ ჩვენს განყოფილებაში დაცული სხვადასხვა ეპოქაში გამოცემული 3 წიგნი და გთავაზობთ მათ მოკლე მიმოხილვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათ შორის ინკუნაბულა.

ცნობილია, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში მედიცინა ძირითადად სამკურნალო მცენარეებს და მკურნალობის სხვა, ნაკლებად სანდო ხერხებს მიმართავდა.

Hortus Sanitatis ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი სამკურნალო მცენარეების შესახებ დაიბეჭდა გუტენბერგის მოწაფის, პეტერ შეფერის სტამბაში მაინცში 1485 წელს. წიგნის ილუსტრაციები გრავიორ ერჰარდ როივიხს ეკუთვნის. გაზაფხულსა და ზაფხულში მოყვავილე მცენარეები ფერადი მელნით, ნატურალისტურადაა გამოსახული. გრაფიკის ხარისხი იმ დროისთვისაც უჩვეულო იყო.

რამდენიმე სპეციალისტის (წიგნის რედაქტორი ბრაიდენბახი, ექიმი და შემდგენელი იოჰან ფონ ქაუბი, ილუსტრატორი და გრაფიკოსი ერჰარდ როივიხი, მესტამბე პეტერ შეფერი) ერთობლივი და შეთანხმებული შრომის წყალობით წიგნი გახდა ყველაზე გავლენიანი წყარო მოგვიანო პერიოდის ბოტანიკოსებითვის. ამ წიგნის 60 მდე გადამუშავებული ვარიანტი გამოიცა, მათ შორის 13 ინკუნაბულა.

ექიმისა და ბოტანიკოსის პეტრო ანდრეა გრეგირიო მატიოლის ნაშრომი Senensis, medici compendium 1571 წელს დაიბეჭდა ვენეციაში და ავტორის ყველაზე მნიშვნელოვან გამოცემადაა მიჩნეული. წიგნი თავდაპირველად იტალიურად დაიწერა, ლათინურ ენაზე კი 1571 წელს ითარგმნა, ნაშრომი წარმოადგენს პირველი საუკუნის ბერძენი ექიმის დიოსკორიდოსის ნაწარმოების კომენტარებს, ექიმმა მატიოლიმ შეისწავლა დიოსკორიდოსის მიერ აღწერილი მცენარეები, დაურთო მათ ილუსტრაციები და ახალი ცნობებით შეავსო და გაამდიდრა ბერძენი ექიმის ნაშრომი. მატიოლი თავისი დროის გამოჩენილი ბოტანიკოსი იყო, მისი სახელი ეწოდა ყვავილოვან მცენარე Matthiola-ს. პოპულარობა მის წიგნს იმანაც შესძინა, რომ მატიოლი, როგორც სამეფო ოჯახის მკურნალი ექიმი, გარკვეული ხელშეუხებლობით სარგებლობდა და იკვლევდა შხამიანი მცენარეების ზემოქმედებას ადამიანებზე, კერძოდ, პატიმრებზე.

ა. ა. კალინოვსკის წიგნი პარიზის გამოფენისთვის 1900 წელს შეზღუდული ტირაჟით, სულ 80 ცალად გამოიცა. ერთ-ერთი უიშვიათესი გამოცემაა. წიგნში მოცემულია კავკასიის ფლორის მოკლე მიმოხილვა და დაბეჭდილია მრავალი ფოტო, სადაც რუსეთის საიმპერატორო ოჯახისა და კარის წარჩინებული პირები არიან გამოსახული. აღიარებულია პროფესიულ წრეებში და დღემდე აქტუალობას არ კარგავს ნადირობის საკითხებში.









National Library

In the section of rare editions, among many unique publications, we can find a variety of special materials related to natural sciences, flora and fauna. We have selected 3 publications preserved in our section, published in various epochs and would like to present them to you for a brief overview.

„Hortus Sanitatis" – Encyclopedia of medicinal plants - was printed in 1485, in the printing house of Gutenberg's pupil - Peter Schafer.

A work of Petri Andrea Gregirio, the doctor and botanist: "The Senensis, medici compendium," published in Venice in 1571, was named as the most important edition of the author.

A. A. Kalinovsky's book "Okhoti Kavkaza" (Hunts of Caucasus), was published for the Paris exhibition in 1900, with a very limited quantity of 80. One of the rarest editions.



# ხალხური ეკოლოგია

ქართულ ეთნო-კულტურულ ტრადიციებში შემონახულია ეკოლოგიური ცოდნის დიდი მარაგი. ხალხური ეკოლოგიის მეცნიერულ შესწავლას ხანგძლივი ისტორია არა აქვს, კვლევები ამ მიმართულებით მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. ამ დროისთვის უკვე ძლიერაა დარღვეული ეკოსისტემები, აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება ეკოლოგიური მიმართულებით კვლევების გააქტიურება.

დღეს კაცობრიობის წინაშე მრავალი პრობლემა დგას, მათ შორის უმწვავესია ეკოლოგიური პრობლემები. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია ტრადიციულ ყოფაში ასახული ხალხური გამოცდილების გათვალისწინება. ხალხური ეკოლოგიური ცოდნა საუკუნეებს მოითვლის და იგი ადამიანის გარემომცველ ბუნებაზე უშუალო დაკვირვების შედეგია.

ხალხურ ეკოლოგიურ გამოცდილებას ეყრდნობა მეურნეობის მთელი რიგი სისტემებისა. დადგენილია, რომ რაც უფრო მრავალფეროვანია ხალხის განსახლების არეალი, მისი ეთნიკური ტერიტორია, მით უფრო დიდი ცოდნაა დაგროვილი.

საქართველოს ტრადიციულ ყოფაში ახალი საცხოვრებლის აგების დროს ითვალისწინებდნენ ყველა ეკოლოგიურ ფაქტორს. ნიშნები, რომლებითაც ადგენდნენ სამოსახლოს ადგილის ვარგისიანობას იყო შემდეგი: სასმელი, სამეურნეო, სამკურნალო წყლების არსებობა, ჰაერის ცირკულაცია, ქარების მიმართულება, ნალექების რაოდენობა და ხასიათი, მზე და ჩრდილი, ნიაღვრის, ზვავის, მეწყრის საშიშროება; სამოსახლოსთან მისასვლელები თავდაცვის თვალსაზრისით, სახლის ტერიტორიული მიმართება სამეურნეო დანიშნულების მიწებთან – სახნავთან, სათიბთან, ბაღ-ბოსტანთან, ვენახთან, საძოვართან, ტყესთან, და, აგრეთვე, წყალსა და გზასთან; სახლის ორიენტაცია; ხედი. გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სარეწაოს განვითარების შესაძლებლობა: მეთევზეობა, მეფუტკრეო-

ბა, მონადირეობა, ხე–ტყისა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება.

ხალხური ეკოლოგიური ცოდნის შედეგია უმდიდრესი და მრავალფეროვანი ქართული სამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც დიფერენცირებულად უპასუხებდა მოცემული გარემოს სპეციფიკურ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებს, საქართველოს გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვნებასა და კონტრასტებს.

საქართველოში, ტრადიციულად, მიწათმოქმედება მრავალდარგიანი იყო,



ზონალური ხასიათის (დაბლობის, ბარის, მთისძირის, მთის და მაღალმთიანი ზონისა). სამიწათმოქმედო კულტურებიც სიმაღლის მიხედვით იყო გავრცელებული. მრავალფეროვანი და გარემო პირობებთან შეხამებული იყო სამეურნეო ინვენტარიც. საქართველოს ტრადიციულ ყოფაში არსებული სამეურნეო იარაღი ადგილობრივ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებთან – კონკრეტულ თავისებურებებთან, სამეურნეო ზონალობებთან იყო მისადაგებული.

ხალხური ეკოლოგიური ცოდნა იკითხება ტოპონიმებშიც. ქართულ ტოპონიმიაში ხშირად მეორდება ორი ტოპონიმი მზვარე და ჩრდილი, სხვადასხვა დიალექტური ვარიაციებით. ცხადია, ერთი მზიან, ნათელ ადგილს აღნიშნავს, მეორე კი – ჩრდილიანს. ხალხური გამოცდილებით, მეურნეობაში გამოსაყენებლად საუკეთესოდ მიიჩნევდნენ მზიან ადგილას გაზრდილ ბალახს.

გარემო პირობების დიდი ცოდნა იკვეთება მევენახეობა–მეღვინეობის თვალსაზრისითაც. ცნობილია, სამარნე ადგილის შერჩევა უამრავ გარე ფაქტორზე იყო დამოკიდებული: დასავლეთ საქართველოში, სადაც ნიადაგი ტენიანია, მარანს შედარებით მშრალ, წყლისგან მოშორებულ ადგილას აშენებდნენ, ,,შუბლით“ აღმოსავლეთით – მზის ამოსვლის მხარეს, რადგან, ხალხის დაკვირვებით, როდესაც მზე ამოდის, მას ძალა არა აქვს, ღვინოს ვერაფერს ავნებს, ’’შემოტრიალებული“ მზე კი მართლაც ძლიერია, მაგრამ მარანს ვერ მოხვდება, მას ხეები უჩრდილებს. აღმოსავლეთ საქართველოში კი მარნის ასაგებად ქვიშნარს ირჩევდნენ, რადგან ქვიშნარი სინესტეს ინახავდა და ღვინოც სიგრილეში უკეთ ინახებოდა. მარანს აქაც აღმოსავლეთით ან ნაგებობათა შორის აშენებდნენ.

დღეს, ფაქტობრივად, ქრება ტრადიციული ქართული სამეურნეო–კულტურული გამოცდილება, მეურნეობის ტრადიციული დარგები, სამეურნეო ქცევის ნორმები, შრომითი ჩვევები. იკარგება მრავალსაუკუნოვანი ეკოლოგიური ცოდნა – ადამიანისა და გარემომცველი ბუნების მშვიდობიანი, ჰარმონიული ურთიერთქმედების ხალხური ტრადიციები. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ხალხური ეკოლოგიის კვლევა შემდგომი მნიშვნელოვანი დასკვნების გასაკეთებლად.

მირიან ხოსიტაშვილი

Mirian Khositashvili, an ethnologist, reviews vast material on ecological knowledge preserved in Georgian ethno-cultural traditions. People's ecological knowledge counts centuries and is the result of direct observation of nature that surrounded humans. Prior to constructing a new place of residence, people considered many different issues, such as: local sources of water for agricultural use or drinking, healing; air circulation, wind directions; quantity of precipitations and their character, sun and shade; the dangers of torrents, valanches and landslide, the reach to the residency by means of self-defense, a territorial direction of the house towards arable lands, hay meadows, vineyards, pastures, forests, water and roads. House orientation; the view, possibilities for the development of various types of trading, fisheries, beekeeping, hunting, timber and mineral sources.




# კახეთი

კახეთი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, რომელიც მდინარეების ივრისა და ალაზნის აუზებს მოიცავს და ადმინისტრაციულად როგორც კახეთს, ასევე ისტორიულ კუთხეს – თუშეთს აერთიანებს.

აქ ერთმანეთის გვერდიგვერდაა კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მთები 3300-მ-ის და 4500მ-ის მწვერვალებითა და უღელტეხილებით, ბარაქიანი ვაკეებით, ველ-მინდვრებითა და, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ნახევარუდაბნოებით. საოცრად ლამაზია კახეთის კავკასიონი! ეს აუცილებლად უნდა ნახოთ!

კახეთის რეგიონს ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან – აზერბაიჯანი. მისი ფართობი 12,2 ათასი კმ²-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 17,5%-ს შეადგენს; მოსახლეობა 407,2 ათასი კაცია და წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის 8,3%-ს. კახეთი 8 ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება. მათი უმეტესობა (ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, ლაგოდეხის) შიდა კახეთში მდებარეობს, საგარეჯოს რაიონი და გურჯაანის რაიონის ნაწილი გარე კახეთს მიეკუთვნება. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები კახეთის ცალკე კუთხეს - ქიზიყს შეადგენს. კახეთის ნაწილი იყო დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ზაქათალის, ბელაქანისა და კახის რაიონები, რომლებიც ლაგოდეხთან ერთად ისტორიულ ჰერეთს (საინგილოს) წარმოადგენენ.

კახეთში წარმოდგენილია ჰავისა და ლანდშაფტის ნაირსახეობა, აქ გვხვდება როგორც სუბტროპიკული, ისე სტეპური ბუნება. საშუალო ტემპერატურა ზამთარში +1.4° C, ხოლო ზაფხულში +23,…+25°C-ია. ასევე, რეგიონის მასშტაბით გვხვდება ნახევრადუდაბნო, სუბალპური მცენარეული საფარიც კი. ყველაზე დაბალი ადგილი ელდარის ვაკეა 90-150 მ. ზღ. დ., ხოლო უმაღლესი – თებულოს მთა – 4493 მ. თუშეთის საშუალო სიმაღლე – 1880 მ-ა

აუცილებლად აღსანიშნავია რომ 2014 წელს თუშეთის სოფელ ბოჭორმას მიენიჭა ევროპის ყველაზე მაღალი დასახლებული სოფლის სტატუსი, ის ზღვის დონიდან 2345 მეტრზე მდებარეობს.

კახეთი ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლითაც გამორჩეულია. მათ შორისაა საქართველში სიდიდით მეორე ალავერდის მონასტერი (მე-11 საუკუნე); იყალთოს მონასტერი და შუა საუკუნეების აკადემია (მე-11 საუკუნე); დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი (მე-6 საუკუნე); ნინოწმინდა, ბოდბე, ხორნაბუჯის ციხე, უჯარმა, სიღნაღი, გურჯაანის ყველაწმინდა, ახალი და ძვ შუამთა, გრემი, ნეკრესი …



როგორც ვიცით, კახეთი მევენახეობისა და მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა, გავრცელებულია მეხილეობაც. მთა გამორჩეულია მეცხოველეობის, კერძოდ, მეცხვარეობის ტრადიციით. ცნობილია კახური ჩურჩხელა, რომელსაც „ქართული სნიკერსი“ დაერქვა. უგემრიელესი, ბამბის ძაფზე ასხმულ ნიგოზი, რომელიც თათარაშია ამოვლებული. კარგი ჩურჩხელა გაზაფხულამდე ძლებს. საუკუნეების განმავლობაში ქართველ მოლაშქრეთა ერთ-ერთი მთავარი ენერგეტიკული საკვები ჩურჩხელა იყო.

ვინც კახეთში ერთხელ მაინც ყოფილა, მისთვის ეს მხარე მუდამ კარგ ღვინოსა და გულღია მასპინძლობასთან ასოცირდება, რადგან კახეთი მევენახეობა-მეღვინეობით განთქმული მხარეა. აქ მრავალი ჯიშის ვაზი ხარობს და, შესაბამისად, მრავალფეროვანი მაღალხარისხიანი ღვინოებიც მზადდება.






# ისტორია

კახეთის ცალკე ტერიტორიული ერთეულის დაარსებას ქართული საისტორიო ტრადიცია ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ერთ-ერთ ძეს კახოსს მიაწერს. მისი მიწა-წყალი იყო კავკასიონსა და კახეთის მთას შორის, არაგვიდან ტყეტბამდე. კახეთის შენებაში კახოსს მისი ძმა კუხოსი ეხმარებოდა, რომლის კუთვნილი ტერიტორიაც არაგვიდან ჰერეთამდე მიწებს მოიცავდა. კახეთის ცენტრი ახ.წ. III-IV სს_ის მიჯნამდე ზერ-ჩელეთი (ჟალეთი) იყო. ამ დროისთვის მეფე ასფაგურმა ააშენა ქ. უჯარმა, ხოლო მეფე მირიანმა IV ს-ის დამდეგს იგი კახეთ-კუხეთის ცენტრად აქცია. XI ს-ში მხარის დედაქალაქად თელავი იქცა.



# თელავი

ქალაქი თელავი: ის ყველაზე დიდი ქალაქია კახეთში, დაახლოებით 30 000 მცხოვრებით. თელავი ახ. წ. დასაწყისიდანაა ცნობილი. იგი X-XI და VII-VIII საუკუნეებში კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. ქალაქი ცნობილია გამორჩეული არქიტექტურითა და უმშვენიერესი ხედებით. თელავში მოხვედრისას გირჩევდით აუცილებლად გენახათ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ერეკლეს მოედანი, ჩოლოყაშვილის ქუჩა, ბატონის ციხე, ნადიკვარის პარკი და, რაღა თქმა უნდა, 900 წლოვანი უზარმაზარი ჭადრის ხე, რომელიც ქალაქის ღირსშესანიშნაობად იქცა თავისი გარეგნობისა და ასაკის გამო.



# სიღნაღი

ციხე-ქალაქი სიღნაღი: სიღნაღი ყველაზე გამორჩეულია საქართველოს იმ ქალაქებს შორის, სადაც ქალაქი ჯერ კიდევ პირვანდელ ნანგრევებზე დგას. ეს ციხე-ქალაქი თანამედროვე სახით XVIII ს-ის II ნახევარში, მეფე ერეკლე II-ის დროს, 1772 წელს დაარსდა. მას თითქმის 40 ჰექტარი ფართობი უკავია, ხოლო გალავნის სიგრძე 2,5 კმ-ია. ციხეს 23 კოშკი და 5 შესასვლელი აქვს. თითოეულ კოშკს საკუთარი სახელი ჰქონდა.

ციხის შიდა ქალაქი გამორჩეულია მოკირწყლული შეფენილი ქუჩებითა და აგურით ნაშენები ორ ან სამსართულიანი სახლებით. სახლები ერთმანეთზეა მიდგმული და არა აქვს შიდა ეზოები. ყველა სახლის პირველი სართული განკუთვნილი იყო მაღაზიებისა და სახელოსნოებისათვის. ეს ქალაქი მუდამ განთქმული იყო ტრადიციული რეწვით, როგორიცაა: ტყავის დამუშავება, ხეზე ჭრა, ხალიჩების ქსოვა, კერამიკის წარმოება, ღებვა და სხვა მრავალი.

განახლებული სიღნაღი დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში.

აღნიშვნის ღირსია კახეთის სამკურნალო კურორტებიც: არხილოსკალო, ყვარელი, ახტალა, უჯარმა.

არხილოსკალო დედოფლისწყაროს რაიონშია და კლიმატური ტიპის კურორტია. კურორტზე მიიღებიან ნევროლოგიური პროფილის პაციენტები.

ახტალა გურჯაანის რაიონშია – ტალახით სამკურნალო კურორტი. ახტალის ტალახი არაორგანული წარმოშობისაა. კურორტზე მკურნალობის ჩვენებებია მოზრდილთათვის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებები; ბავშვთათვის ცერებრალური დამბლისა და პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენების დროს.

უჯარმა საგარეჯოს რაიონია და ბალნეო-კლიმატური ტიპის კურორტია. აქ გამოვლენილია თერმული მინერალური წყლები მრავალი ბიოლოგიურად აქტიური მიკროკომპონენტით. მინერალურ წყლებს იყენებენ სააბაზანო პროცედურების სახით, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, კარდიოლოგიური, ნერვული და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებათა სამკურნალოდ.

ყვარლის კურორტი – რაიონული ცენტრიდან 8 კმ-ზე, ორი სახის მინერალური წყალი საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის დაავადებებისა და ნივთიერებათა ცვლის მოშლის შემთხვევაში გამოიყენება.

რაც შეეხება სიმწვანესა და დაცულ ტერიტორიებს, კახეთი უდავოდ გამორჩეულია ბუნებით. რეგიონში ექვსი დაცული ტერიტორიაა – ბაწარა, ბაბანეული, მარიამჯვრი, აქედან ცალკე გამოსაყოფი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, თუშეთისა და ლაგოდეხის ეროვნული პარკები. თითოეული მათგანი ბუნების მოყვარულთ საოცარ ლანდშაფტს, ბუნებას, ბუნების ძეგლებსა და სხვადასხვა ტურისტულ აქტივობას სთავაზობს.

კახეთის რეგიონის 3 ძირითად განვითარებულ ქალაქში ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც მუშაობენ ყოველ დღე 10:00-18:00 საათამდე.

1. თელავი - ერეკლე II ქუჩა N9. ტელ: +995 350 275317
2. სიღნაღი - კოსტავას ქუჩა N10. ტელ:+995 355 232414
3. ყვარელი - რუსთაველის ქუჩა 8. ტელ: +995 352 221340

ღვინის ტურიზმი - ქვეყანაში ტურიზმის ეს სახეობა ფართოდ არის გავრცელებული. ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უწყებები. მათ შორის საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ტურიზმის ამ მიმართულების განვითარების მიზნით შექმნა პროექტი „ღვინის გზა“. პროექტის ფარგლებში მოახდინა საქართველოს მასშტაბით არსებული ღვინის საოჯახო მარნებისა და საწარმოების იდენტიფიცირება და მათი გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით შეფასება: გამართული ინფრასტრუქტურა, მომსახურების ხარისხი. ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო ღვინის წარმოება, ასევე საჭირო მასპინძლობისა და ღვინის სერვისებისთვის შესაბამისი ინვენტარი (ღვინის ჭურჭელი); ადმინისტრაციის მხრიდან თითოეულ ობიექტს ცენტრალურ და მისასვლელ გზაზე დაუყენდა მიმართულების მანიშნებლები და მარნების სახელობითი დაფები; მომზადდა სარეკლამო-საინფორმაციო მასალები: ღვინის რუკა და გზამკვლევი. საოჯახო მარნებისთვის პერიოდულად ტარდება ტრენინგები სხვადასხვა თემაზე, როგორიცაა: ქართული ღვინის ისტორია, ღვინის დაგემოვნების ხელოვნება, ფინანსები/ბუღალტერია, საბაზისო უცხო ენა; შეიქმნა ერთიანი ინტერაქტიული ბაზა ადმინისტრაციის ძირითად საიტზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით.

საქართველოში ფიქსირდება კულტურული ვაზის 500-ზე მეტი ქართული ჯიში, ასეთი მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში კულტურული მევენახეობა ათასწლეულებს ითვლის. საქართველოს 8000 წლიანი მეღვინეობის ტრადიციული მემკვიდრეობა აქვს, რაც მრავალჯერადი არქეოლოგიური გათხრებისა და ისტორიული ფაქტებით არის დამტკიცებული. თანამედროვე მსოფლიომ საქართველო ღვინის სამშობლოდ აღიარა.

კახური სამზარეულო - აქაური კერძები ბარაქიანი, მარტივი და უბრალოა. ხორცის დიდრონი ნაჭრები, სუფრაზე გამოტანილი ყველის მთლიანი თავები და წვნიანები – უზარმაზარ ჯამებში. თუმცა, აქ როგორც ამბობენ ღორის მწვადის შეწვასა და ხაშლამის (მოხარშული საქონლის ხორცი) მომზადებას დიდი ცოდნა სჭირდება. ამ ყველაფერზე კი დედას პურის მიტანებას კახელები აუცილებლად მიიჩნევენ.

Kakheti is one of the most beautiful region of our country, which encompasses the basins of Iori and Alazani and includes a historic area – Tusheti, as a part of Kakheti administration.
A varied climate and landscape is present in Kakheti, here we meet different types of nature, from subtropics to veld-like. Average temperature in winter is +14 °C, while in summer it goes up to 23/25 °C. Kakhetian nature is very diverse; throughout the region, you will see semi-desert, evergreen forests and even subalpine vegetation. The lowest place is Eldari plain, 90-150 meters above the sea level, and the highest point is Tebulo mountain („Tebulosmta“) – 4493 meters. Average height of Tusheti is 1880 meters.
We definitely need to mention, that in 2014, “Botchorma” – a village in Tusheti, was announced as a highest populated village in Europe, it is located at 2345 meters above the sea. As it is known, Kakheti is one of the oldest hearths of vine-growing and winemaking. Fruit growing is very common as well. In the mountains, cattle breeding is more common, particularly sheep farming.



# საქართველოს ეროვნული საშენი

უკვე მეორე წელია, რაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ დაიწყო პროექტი, რომელმაც სასიამოვნოდ გააკვირვა მონადირეთა საზოგადოება. კერძოდ, მის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულში - სსიპ „ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობაში“ 2016 წელს მოხდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა „ეროვნული საშენი მეურნეობა,“ ხოლო დებულებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ–საქართველოს ფლორისა და ფაუნის იშვიათი, ასევე მოწყვლადი და მოთხოვნადი სახეობების მოსაშენებელი მეურნეობა. დებულებიდან ირკვევა, რომ მეურნეობა, გარდა „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შემავალი მოწყვლადი და იშვიათი სახეობების მცენარეებისა, როგორებიცაა: კოლხური ბზა, უხრავი, უთხოვარი, პონტოს, ჰართვისისა და ჭოროხის მუხები, იბერიული ნეკერჩხალი და სხვა მრავალი, გეგმავს გაამრავლოს სამონადირეო საქმიანობისთვის საინტერესო სახეობები, კერძოდ, კოლხური ხოხობი, კაკაბი, გნოლი, დურაჯი, გარეული იხვი (ევრაზიული), ხოლო უფრო შორ მომავალში აპირებს შეისწავლოს ისეთი სახეობების გამრავლების შესაძლებლობა, როგორებიცაა კავკასიური როჭო და გავაზი შევარდნისებრთა ოჯახიდან, რომლის ბოლო წყვილის ბუდობა საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებშია დაფიქსირებული.

2016 წლის დასასრულს უკვე მიღებული იყო პირველი შედეგი – საინკუბატორო მეურნეობამ 32 წყვილი კაკბიდან მიიღო 410 ერთეული კაკაბი, ხოლო სუფთა სისხლის კოლხური ხოხბის სამი ოჯახიდან, რომლებიც მეურნეობას „ვაშლოვანის მეგობართა საზოგადოებამ“ და „ჭიაურის სამონადირეო მეურნეობამ“ მიაწოდეს - 47 ერთეული კოლხური ხოხობი. როგორც მეურნეობის ხელმძღვანელებთან საუბრებში გაირკვა, ჩვენი კოლხური ხოხბის პოპულაციას აქვს დიდი პრობლემა: გასული საუკუნის 90-იანების განუკითხაობის დროს დაუფიქრებლად შემოყვანილი მანჯურიული (თეთრყელიანი) ხოხბის ბუნებაში გაშვებამ წარმოშვა ჰიბრიდი, რომელიც შეიძლება გადაგვარებით დაემუქროს ენდემურ პოპულაციას, მით უფრო, რომ პოპულაციის არეალი, ბრაკონიერობის გამო, ისედაც ძლიერაა შემცირებული. ის აღარ გვხვდება მთელ რიგ ტრადიციულ ადგილებში.

დღეისათვის მეურნეობა აწარმოებს მოლაპარაკებას აზერბაიჯანელ კოლეგებთან დურაჯის (Frankolyn frankolyn) წყვილების შემოყვანაზე. უკვე იქნა მიღებული ხონთქრის ქათმის, იგივე პორფირიონის 20 ერთეული, რომლებიც სულ 6-7 ათეული წლის უკან მრავლად იყო ქვეყნის დედაქალაქიდან არც ისე შორს, კუმისისა და ჯანდარის ტბების ლერწმიან სანაპიროებსა და მიმდებარე მდინარეების ლელქაშებში.

მიმდინარეობს მოლაპარაკება ბულგარეთის გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გნოლის კავკასიისათვის დამახასიათებელი ქვესახეობის Perdix perdix canescens რამდენიმე ათასი ერთეული კვერცხის მიღებაზე.

დაბოლოს, რაც ალბათ ყველაზე უფრო საინტერესოა, აღნიშნული საქმიანობისთვის მეურნეობისთვის ბიუჯეტიდან თანხები არ გამოყოფილა. ყველაფრის შეძენა და წარმოება ხდება იმ ეკონომიკური შემოსავლებიდან, რომელიც მეურნეობას აქვს ნერგების რეალიზაციიდან თუ გარემოზე მიყენებული ზიანების კომპენსაციიდან. ბოლო სამი თვის განმავლობაში მეურნეობამ შეიძინა ახალი ინკუბატორი 40 000 კვერცხზე, ააშენა ახალი სენდვიჩური ნაგებობა წიწილების გასაზრდელად ერთდროულად 5 000 ერთეულზე და ახალი 1000მ² ვოლიერი სადედე გუნდებისთვის.

ვუსურვოთ ეროვნულ საშენ მეურნეობას ზრდა და გაფართოება!

რეპორტაჟი მოამზადა დავით კაკაჩიამ









National Nursery

Apart from Georgia's Red listed vulnerable and rare plants, such as Buxus colchica, Ostrya, Eastern conifer, Pontine, Hartvisian and Tchorokhian Oaks and many more, National Nursery of the Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia plans to breed the species interesting for hunting, namely: Colkhian pheasant, Rock partridge, Grey partridge, Black francolin and Eurasian wild duck.

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის „მწვანე ალტერნატივის“ თავჯმდომარე მანანა ქოჩლაძე გვესაუბრება გარემოს დაცვის პოლიტიკისა და ველურ ბუნებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ; მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემაზე - ჰიდროენერგეტიკასა და ენერგოუსაფრთხოებაზე. ქალბატონი მანანა დეტალურად განმარტავს, თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს ბუნებას ჰიდროელექტროსადგურების შეუსაბამო ადგილებში მშენებლობით და რა ზომები შეიძლება იქნას მიღებული ამ პრობლემის გადასაჭრელად.



*- პირველ რიგში მინდა ყველაზე მწვავე საკითხით, ენერგოუსაფრთხოების პრობლემით დავიწყოთ. ხშირად მიუთითებენ ველური ბუნებისა და ენერგოუსაფრთხოების კავშირზე და ამ უკანასკნელის მეტად პრიორიტეტულობაზე. თქვენი აზრი მაინტერესებს, თუ გვაძლევს თანამედროვე ტექნოლოგიები იმის საშუალებას, რომ ეს პრობლემა ველური ბუნების მსხვერპლშეწირვის ხარჯზე არ მოვაგვაროთ?*

მანანა ქოჩლაძე: „მწვანე ალტერნატივის“ თითქმის ყველა პროექტში, რა კამპანიასაც უნდა ვაწარმოებდეთ, უდიდესი ადგილი სწორედ ველური ბუნების დაცვის საკითხს უჭირავს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ „Greenfield“ პროექტებს, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ღონისძიებები ტარდება საქართველოს ისეთ რეგიონებში, სადაც აქამდე ასეთი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები არ განხორციელებულა. ძირითადი პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით, ეს არის ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისება, რაც ბუნების დაცვის თითქმის ყველა კანონის უგულებელყოფით ხდება.

საქართველოში ამ ეტაპზე მიდის ორი ტიპის ჰიდრორესურსის განვითარება. პირველი ეს არის დერივაციული ჰესების მშენებლობა; ასეთია, მაგალითად, ფარავანი, დარიალი და თითქმის ყველა პატარა ჰესი, ასევე, სულ ახალი ჰესები, რომელთა მშენებლობაც კახეთშია დაგეგმილი. აქ მთავარი პრობლემა არის ის, რომ სახელმწიფოს ისეთი მეთოდოლოგია აქვს აღებული, რომელიც არ ეფუძნება მსოფლიოში აღიარებულ არცერთ, მათ შორის არც იმ მეთოდოლოგიას, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა სპეციალურად ჩვენთვის შეიმუშავა. ეს გულისხმობს იმას, რომ, დერივაციული ჰესის მშენებლობისას, პროექტის განმახორციელებელი კომპანიისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთვის აბსოლუტურად მისაღებია ის ფაქტი, რომ საშუალო მოდინების კალაპოტში წყლის მხოლოდ 10%-ს ტოვებენ. ეს ძალიან ბევრ პრობლემას იწვევს და პირდაპირ კავშირშია არა მხოლოდ მდინარის ეკოსისტემის ძირეულ ცვლილებასთან, არამედ მის ნაპირებთან. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ წყლის რეჟიმების ძირითადი კვლევები 80-იანი წლებით თარიღდება, შესაბამისად, თანამედროვე რეჟიმებზე არანაირი წარმოდგენა არა აქვთ. ფარავანი ამისი ნათელი მაგალითია. კი, ბატონო, დატოვეს წლიური 10%, მაგრამ ზაფხულში, პრაქტიკულად, წყალი არ არის. იქ, სადაც მდინარე პერიოდულად შეიძლება დაშრეს, ჩავთვალოთ, რომ ის სისტემა სრულიად შეიცვლება. ამავდროულად, კარგად ვიცით, რომ ფარავანი მეთევზეებისთვის იყო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მდინარე.

სხვა მხრივ რომ შევხედოთ, მიჩნეულია რომ ასეთი ტიპის ჰესები ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, ვიდრე – რეზერვუარები, განსაკუთრებით თუ ჰესი შენდება ხელუხლებელ ტერიტორიებზე. ამის კარგი მაგალითია შუახევის რაიონი: დიდი რაოდენობით ხე იჩეხება – ენდემური, რელიქტური და „წითელ წიგნში“ შეტანილი. გარდა ამისა, ცხოველებზე ზემოქმედებასაც არავინ სწავლობს.

მეორე ძირითადი პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: მოგეხსენებათ, რომ ევროპაში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის, გარდა ეროვნული პარკებისა, არის ე.წ. „Nature 2000”-ის ქსელი, რომელიც ცდილობს ეს ეროვნული პარკები ერთმანეთთან დააკავშიროს. ევროკავშირის ფარგლებს გარეთ „ზურმუხტოვანი ქსელის“ პროექტი ხორციელდება, რომელიც თავიდან ძალიან წარმატებით დაიწყო, მაგრამ რაღაც ეტაპზე შეჩერდა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ სადაც „ზურმუხტოვანი ქსელის“ უმეტესობაა დაგეგმილი, სწორედ იქ უნდა ენერგეტიკის სამინისტროს ჰესის აშენება. ზუსტად ეს მოხდა ნესკრა ჰესის შემთხვევაშიც. 2016 წლის დასაწყისში, ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნით, ტერიტორიები, რომლებიც წინასწარ განისაზღვრა „ზურმუხტოვან ქსელში“ შესატანად და უკვე წარდგენილი იყო ბერნის კონვენციისთვის, ისე ამოიღეს ქსელიდან, რომ წესიერად არც კი დაასაბუთეს. არადა, ეს ველური ბუნების ძალიან

მნიშვნელოვანი ადგილია. ბერნის კონვენციაში უკვე შევიტანეთ საჩჩელი და, იმედი გვაქვს, რომ სექტემბერში დაიწყება მისი განხილვა. ასევე ვითხოვთ მათი მისიის ადგილზე ჩამოსვლას და საკითხის ძირეულად შესწავლას.

- ერთია, რომ ხელისუფლების მიმართ კონკრეტული პოზიცია გვაქვს და ვცდილობთ არგუმენტირებულები ვიყოთ, მაგრამ რამდენად შედეგიანია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართვა საქმეში და თუ გქონიათ კონკრეტული შემთხვევები?

მანანა ქოჩლაძე: არცთუ ისე შედეგიანია, იმიტომ რომ პრაქტიკულად არასოდეს გვყოლია კერძო ინვესტორი, რომლის უკანაც სახელმწიფო არ დგას. თავისუფალი ბაზრის პრინციპი, როდესაც ინვესტორი მიჰყვება თავისუფალ კანონმდებლობას, არასოდეს მუშაობდა. ზოგადადაც თუ ავიღებთ საერთაშორისო ინსტიტუტებს, ყოველთვის ისე ხდება, რომ პირველ რიგში დგას ქვეყნის კანონმდებლობა და მათ აქვთ რაღაც დამატებითი პოლიტიკური ხედვები ამ საკითხებზე. ჩვენთან კი საქართველოს კანონმდებლობა ხშირად არ

კომპანიამ მიმართა „EBRD", „IDB", „EIB" და „IIB"-ს, რომლებმაც მოითხოვეს დამატებითი კვლევები. ეს დამატებითი კვლევები გაგრძელდა სადღაც წელიწად-ნახევარს და წარმოდგენილი იყო 2017 წლის მარტში.

მაგრამ აქ თავი იჩინა ერთმა მომენტმა: ეს პროექტები სახელმწიფოსია და იგი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს აიძულებს, რომ ასეთი პროექტი გაკეთდეს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გარემოს ზემოქმედების შეფასებები იდეალურია, ერთი პრობლემა მაინც რჩება: დავუშვათ, გარემოს ზემოქმედების შეფასების ხარისხმა აიწია, მაგრამ შემდეგ, განხორციელების მომენტში, უცნობია, ვინ იღებს ამის მონიტორინგზე პასუხისმგებლობას. ამ ეტაპზე ეს ყველაფერი გაკეთებულია მათი პოლიტიკის სტანდარტებით: წელიწადში ერთხელ ჩამოვა მისია და შეაფასებს, როგორ არის შესრულებული. მაგრამ საკითხავია, სახელმწიფო რას და რითი შეაფასებს, რა ადამიანური რესურსი აქვს ამისთვის? გარემოს ზემოქმედების შეფასების დეპარტამენტში ნებართვების გამცემიცა და გაცემული ნებართვების შემმოწმებელიც რეალურად მაქსიმუმ 15 ადამიანია. გარდა ამისა, არ არსებობს შესაბამისი რეგულაციები.



შეესაბამება იმ სტანდარტებს. ისევ ნესკრა ჰესის მაგალითს მოვიყვან: 2015 წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ ჰესის მშენებლობაზე გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური ექსპერტიზის ნებართვა გასცა, თუმცა იყო მათ მიერვე დაქირავებული საერთაშორისო ექსპერტის დასკვნა, რომ ამაზე ნებართვის გაცემა არ შეიძლებოდა. ამის შემდეგ

კიდევ ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ თვითონ სახელმწიფო არ განიხილავს ამ დაცულ ტერიტორიებს, როგორც ძალიან მნიშვნელოვან ფასეულობას. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ძალიან ხშირად შენდება ჰიდროელექტროსადგურები დაცული ტერიტორიების ბუფერულ ზონაში, რაც ასევე დაუშვებელია. ლაგოდეხის მაგალითი ალბათ ყველაზე

თვალსაჩინოა. გამოდის, არასწორი წარმოდგენა გვაქვს დაცულ ტერიტორიაზე. ფაქტია, რომ გადაწყვეტილების მიმღებებს არა აქვთ გაცნობიერებული ველური ბუნების ღირებულება თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით და აქ მხოლოდ ნადირობაზე არ ვლაპარაკობ. ბუფერული ზონები ცნობილია, როგორც ეკოლოგიურად სუფთა წარმოებისა და იქ რაიმეს აშენება კატეგორიულად დაუშვებელია.

საქართველოს მასშტაბით ერთ ან ორ ჰესზე რომ იყოს საუბარი, შეიძლება ყურადღებაც არ გამემახვილებინა ამ საკითხზე. მაგრამ მთავრობას 114 ჰიდროელექტროსადგურის აშენება აქვს გადაწყვეტილი. აქედან მარტო 35 აშენდება სვანეთში. რაჭაშიც ბევრია დაგეგმლი. საბოლოოდ, შეიძლება მივიღოთ განვითარება განვითარებისთვის და არა ბუნებისთვის.

- როგორია თქვენი პოზიცია : ყველანაირი ჰესის მშენებლობას ეწინააღმდეგებით, თუ მხოლოდ დიდ ჰესებს და მცირე ჰესები დასაშვებია?

მანანა ქოჩლაძე: ჩვენ შევიმუშავეთ კრიტერიუმები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნიდან აღებულ მეთოდოლოგიებზე დავაფუძნეთ. დიდი ჰესების მშენებლობა საქართველოში ძალიან პრობლემატურია, განსაკუთრებით – მთიან რეგიონებში. ნებისმიერ შემთხვევაში ეს უარყოფითად ზემოქმედებს მოსახლეობასა და ხელუხლებელ ტერიტორიებზე. რაც შეეხება დაგეგმილ ძალიან ბევრ საშუალო და მცირე ჰიდროელექტროსადგურს: პირველი კრიტერიუმი არის ძალიან მარტივი – ქვეყანას უნდა ჰქონდეს ენერგეტიკული განვითარების გეგმა. უნდა განისაზღვროს, სინამდვილეში, რამდენი ჰიდროელექტრო სადგური გვჭირდება, რადგან ენერგეტიკა, განსხვავებით ელექტროენერგეტიკისგან, უფრო ფართო ცნებაა.

სხვადასხვა ქვეყანამ ნელ-ნელა დაიწყო შეთანხმება, რომ ეს არ არის განვითარების გზა. ურუგვაიმ და პერუმ საერთოდ უარი თქვეს ჰიდროენერგეტიკის განვითარებაზე. ჰიდროელექტრო სადგურების დაშლა დაიწყო ამერიკიდან, დაახლოებით 115 დაშალეს. საინტერესო ის არის, რომ ამერიკამ ჰიდროელექტრო სადგურების დაფინანსების თვალსაზრისით ძალიან მკაცრი პოზიცია დაიჭირა და ეს მათი გამოცდილებიდან წამოსული გადაწყვეტილებაა.

ჰიდროელექტრო სადგურები უნდა შენდებოდეს, მაგრამ ეს უნდა იყოს რაღაც სქემაში მოქცეული. ენერგეტიკის განვითარების სქემასთან ერთად, უნდა ხდებოდეს გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება, რომელიც გვეტყვის, სად შეიძლება ისე აშენდეს, რომ ძალიან დიდი ზემოქმედება არ გამოიწვიოს. მომზადებული უნდა იყოს მდინარეთა სამენეჯმენტო გეგმები. შვეიცარიასა და ავსტრიაში მიღებულია, რომ იღებენ მდინარის აუზს, ახდენენ იდენტიფიცირებას, თუ სად შეიძლება ჰესი ისე აშენდეს, რომ გარემოს ყველაზე ნაკლები ზიანი მიადგეს, თან ისე აქვთ დარეგულირებული, რომ ერთ მდინარეზე ხუთი-ექვსი ჰიდროელექტრო სადგურის შენებაზე საერთოდ ლაპარაკი არ არის. გადმოვიტანოთ იმ პრინციპებით, რითაც ისინი აშენებენ.



- თუ გვსურს განვითარებული ქვეყნების რელსებზე გადავიდეთ, ანალოგიურად უნდა გავიზიაროთ მათი ტექნოლოგიები. რა ხდება საქართველოში ამ თვალსაზრისით? როგორ ვერგებით თანამედროვე ტექნოლოგიებს?

მანანა ქოჩლაძე: საქართველოში ახალი ტექნოლოგიები ძალიან ნელა შემოდის. იმიტომ არა, რომ ეს ტექნოლოგიები ძვირია, ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს გააზრებული, სინამდვილეში რა გვიჯდება ეს ყველაფერი; ისევე, როგორც ვერ ვხვდებით, მომავალში რა დაგვიჯდება ეკოსისტემის მოსპობა, ასევე ვერ ვსახავთ გრძელვადიან პერსპექტივებს.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რაც საქართველოში დგას, არის ის, რომ არა გვაქვს დიდი ინდუსტრია; შესაბამისად, ეს დიდი ოდენობის ელექტროენერგია ან გვჭირდება, ან – არა. ამასობაში კი ვაწყდებით პრობლემას – როგორ უნდა შეგვინახოს ველურმა ბუნებამ მომავალში? ამაზე წარმოდგენა არა გვაქვს. ეჭვი მეპარება, რომ მხოლოდ ტურიზმი გადაგვარჩენს.

- დღეს ადგილობრივ მოსახლეობაში საკმაოდ ხშირად ჩნდება პროტესტი, მაგრამ, სამწუხაროდ, რას აპროტესტებენ, უმეტესად არ იციან, ნაკლებად ინფორმირებულები არიან. ხომ არ ჯობია, რომ საზოგადოების განათლებისთვის მეტი დრო და რესურსი დავხარჯოთ, რომ მოსალოდნელ შედეგებსა და საფრთხეებზე ნათელი წარმოდგენა შეექმნათ?

მანანა ქოჩლაძე: განათლება ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი. განსაკუთრებით ეს ეხება ეკონომისტებს. მთელს მსოფლიოში ეკონომისტებმა უკვე დაიწყეს გარეგანი ხარჯების შეტანა პროდუქტის ხარჯში. ჩვენთან ეს ჯერ კიდევ მიუღწეველი ფუფუნებაა. მეორე მომენტი ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით, რა გვინდა ამ ერთი ბეწო საქართველოსგან. გვგონია, რომ აუცილებლად ექსტენსიური განვითარება უნდა მოვახდინოთ. არადა, ჩვენი ბუნება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ძალიან ბევრი ლოკალური, ადგილზე მიმართული და სხვადასხვა ტიპის ეკონომიკები შევქმნათ, რომელიც არა მხოლოდ საინტერესოა, მდგრადობაც უფრო მეტი აქვს.

ბოლო დროს ისეთი განცდა მაქვს, რომ საზოგადოებამ განათლებით მთავრობას გაუსწრო. ართანას და ლოპოტას შემთხვევაში ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ მოსახლეობას მთავრობაზე უკეთ აქვს გაცნობიერებული, რას იძლევა მდინარის ხეობა ეკოსისტემური სერვისების სახით. ართანას შემთხვევაში ბიოლოგიური ვენახები მოჰყავთ და მოსახლეობა დადგა საფრთხის წინაშე: წყალი რომც არ შეუმცირდეთ, მიკროკლიმატი აუცილებლად შეიცვლება და მათ ჩადებულ ინსვესტიციას სერიოზული ზიანი მიადგება. იგივე შემიძლია ვთქვა სვანეთზე. პირველ რიგში ეს არის მასობრივი შიშის პრობლემა, მაგრამ მოსახლეობის ნაწილმა დაიწყო გააზრება რა რასთან არის დაკავშირებული. სვანეთში ბევრად უფრო გამოხატულია, იმიტომ რომ ენგურმა საკმაოდ სერიოზული გამოცდილება შესძინათ. თუმცა ეს არის მოსახლეობის 20-30%, რომელიც შედარებით ინფორმირებულია. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ესაუბრა ნინა ჩაკვეტაძე



*“Just when U.S. has removed 115 dams for hydro-electric power stations, our government has plans to build 114 of them. “*

Manana Kochladze, chairman of “Green Alternative” –NGO for environmental protection, speaks about the issues related to wild nature and environment protection policy; the most urgent problems are related to hydroelectric power stations and energy security issues. Ms. Kochladze defines in detail how damaging can dams be to nature, if built on irrelevant locations; she also suggests various solutions to solve this problem.



# საქართველოს სამონადირეო ტურიზმის პოტენციალის კვლევა

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით 2014 წელს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის მიერ შემუშავებული იქნა დოკუმენტი „საქართველოს სამონადირეო ტურიზმის პოტენციალის კვლევა". მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მეცნიერები, გარემოს დამცველები, ნადირობათმცოდნეები და ტურიზმის ექსპერტები.

იქიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტი საკმაოდ სქელტანიანია და მისი სრულად გაცნობა ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან შეუძლებელია, პერიოდულად შემოგთავაზებთ აღნიშნული კვლევის ზოგიერთ შედეგს.

შეგნებულად ვიწყებთ დოკუმენტის გაცნობას ბოლოდან, რაც მიუთითებს იმ მიზეზებზე, თუ რატომ უნდა განვავითაროთ სამონადირეო ტურიზმი და რა შედეგების მომტანია იგი ქვეყნისთვის. მსგავს დოკუმენტებს აუცილებლად უნდა ახლდეს ამა თუ იმ დარგის განვითარების შედეგად წარმოქმნილი რისკ-ფაქტორების შეფასება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ავიცილოთ ან შევასუსტოთ შესაძლო საფრთხეების შედეგი.

## სამონადირეო ტურიზმის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები

ნებისმიერი დარგის რეფორმირებასა და განვითარებას მოჰყვება გარემოებების ცვლილება, რასაც, სიტუაციის გაუმჯობესებასთან ერთად, ახლავს ახალი პრობლემები და გარკვეული რისკ–ფაქტორების წინ წამოწევა. ბუნებრივია, სამონადირეო ტურიზმის განვითარებაც მოიცავს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

ჩვენი ნაშრომის ძირითადი ნაწილი სწორედ რომ ძლიერ მხარეს, ანუ სამონადირეო ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოს დაცვით მნიშვნელობას ეძღვნება. ის ეკონომიკური სარგებელი, რომლის გენერირებაც ტურიზმის ამ კონკრეტული მიმართულებით არის შესაძლებელი, თანაბრად ნაწილდება როგორც საქართველოს ყველა რეგიონზე, მათ შორის ყველაზე მიუვალ ტერიტორიებზე, ასევე ყველა სოციალურ ფენაზე. მონადირის მიერ გაწეული ხარჯიდან ეკონომიკურ სარგებელს ღებულობენ როგორც სამონადირეო მეურნეობები და ტურისტული კომპანიები, ასევე გამყოლი (ეგერი), ტაქსიდერმისტი (ტროფეის დამამზადებელი), ცხენების გამქირავებელი, სხვადასხვა პროდუქტების დამამზადებლები, მაგალითად, ყველის ამომყვანი ბებო, პურის მცხობელი და მრავალი ადგილობრივი მოსახლე, რომელიც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს სტუმრის მასპინძლობაში. ყოველივე ეს პირდაპირ გავლენას ახდენს იმ კონკრეტული მხარის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და არა მარტო მთიანი რეგიონების დაცლის პრობლემას აგვარებს, არამედ უკვე წასული მოსახლეობის უკან დაბრუნების სოციალურ–ეკონომიკურ ნიადაგს ამზადებს.

მაგალითისთვის ავიღოთ რაჭის რეგიონი. უკანასკნელი მონაცემებით ონის რაიონი ევროპაში ყველაზე დაცლილი რაიონია და ამ ტემპებით გაგრძელების შემთხვევაში, სულ რაღაც 20–25 წელიწადში, იგი აბსოლუტურად დაუსახლებელი გახდება. მისი ადგილმდებარეობიდან და შესაბამისი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარება შეზღუდულია და მთელ რიგ შემთხვევებში ეკონომიკური თვალსაზრისით მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. ბუნებრივია, რომ ტურიზმის განვითარება, მათ შორის აქტიური ტურიზმის ხელშეწყობა მთავარი პრიორიტეტია. ხოლო სამონადირეო ტურ-

იზმის არეალი სწორედ რომ ნაკლებად დასახლებული ველური ბუნებაა. მხარე, რომელიც ყოველთვის მდიდარი იყო ისეთი სანადირო ობიექტებით, როგორიცაა ჯიხვი, არჩვი, დათვი, როჭო და სხვა, დღეისათვის მხოლოდ „წითელი ნუსხის“ ნადირ–ფრინველის არეალია და, რა თქმა უნდა, მგლების სათარეშო, რადგან მათზე მონადირეც ცოტაღა დარჩა. აქედან გამომდინარე, ნადირ–ფრინველის აღწარმოების და ბუნებრივ არეალში გამრავლების ხელშეწყობის პირობებში, შესაბამისი კადრების მომზადების და ელემენტარული ინფრასტრუქტურის შექმნის შედეგად ეს რეგიონი აუცილებლად გამოცოცხლდება და გახდება მიმზიდველი როგორც ვიზიტორებისთვის, ასევე ადგილობრივებისთვისაც.

სამონადირეო მეურნეობა, როგორც წესი, არ არის შეღობილი, რაც აღწარმოებით და ბუნებრივ გარემოში გამრავლების ხელშეწყობით მომრავლებულ ნადირ-ფრინველს არ ზღუდავს მხოლოდ მეურნეობის ტერიტორიით. შესაბამისი ფართობის მაქსიმალური სიმჭიდროვის მიღწევის შემდგომ იგი თავისუფალ ტერიტორიებს ეძებს და გამრავლების პროცესს მეზობელ ტერიტორიებზეც აგრძელებს. შედეგი მარტივია, მიუხედავად იმისა, რომ სამონადირეო მეურნეობის ძირითად საქმიანობასა და მიზანს წარმოადგენს ნადირ–ფრინველის ამოღება, სწორად წარმართული საქმიანობის შემთხვევაში იგი თავად არის მათი გამმრავლებელი. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე ნადირობამ იმატა, ფაუნის წარმომადგენლები მაინც უფრო მეტნი არიან, ვიდრე ამ კუთხეში მეურნეობის განვითარებამდე იყვნენ.

სამონადირეო ტურიზმის განვითარების ძლიერი მხარის განხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ სანადირო სეზონს, რომელიც ძირითადად მთელი შემოდგომა და ზამთარი გრძელდება. აჭარის რეგიონში ინფრასტრუქტურის შექმნისათვის განხორციელებული ინვესტიციები წელიწადში 3–4 თვის იმედზე არიან და უამინდობის შემთხვევაში ზოგჯერ ეს ვადაც უნახევრდებათ. როგორც მოგახსენეთ, სანადირო სეზონი სწორედ მაშინ იწყება, როცა საზღვაო ტურიზმი დასასრულს უახლოვდება, ხოლო სასტუმროებისა და რესტორნების მეპატრონეები, როგორც წესი, მომავალი ზაფხულის მოლოდინში არიან. თუმცა აჭარის მთიანი რეგიონები რაჭაზე ნაკლებ ნადირ-ფრინველს არ ითვლის, რა თქმა უნდა, ჯიხვის გამოკლებით. ხოლო რაჭისგან განსხვავებით, იგი მდიდარია გადამფრენ ფრინველთა მრავალფეროვნებითა და რაოდენობითაც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უძველესი სანადირო ტრადიციების მქონე ყაზბეგის რეგიონში კურორტ გუდაურის ტურისული სეზონი მხოლოდ თოვლის მოსვლა-არმოსვლაზეა დამოკიდებული და სამონადირეო ტურიზმი უგულველყოფილია. იგივე შეიძლება ითქვას ბაკურიანსა და მესტიაზეც.

ცნობილი ფაქტია, რომ ნადირობა ძვირადღირებული სიამოვნებაა, რაც, პირველ რიგში, მისი ორგანიზატორების მიერ გაწეულ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. როდესაც მონადირეს უანგარიშდება სატროფეო ნადირობის საფასური, მის ძირითად ნაწილს განაპირობებს სანადირო ობიექტზე წლების განმავლობაში გაწეული ხარჯი. შედეგად სახელმწიფო ორმაგ სარგებელს ნახულობს, რადგან სამონადირეო მეურნეობა გაწეული დიდი ხარჯებისთვის წლების განმავლობაში იბეგრებოდა სხვადასხვა გადასახადით, ხოლო



ნადირობის შემდეგ იგი კვლავ იბეგრება მოსაკრებლით, საშემოსავლო და მოგების გადასახადებით. აქვე უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირის ქვეყანაში განხორციელებული არაპირდაპირი ხარჯებიც გაცილებით აღემატება სხვა ტურისტების მიერ გაწეულ ანალოგიურ ხარჯებს. მაგალითისთვის, აფრიკის უმეტეს ქვეყანაში ერთი მონადირე ვიზიტორის დანახარჯი, უდრის დაახლოებით 60 ფოტომონადირის დანახარჯს, რომლებიც ასევე მრავლად სტუმრობენ აფრიკას.

სამონადირეო ტურიზმი არ არის მხოლოდ უცხოელ ვიზიტორთა მიღება. მისი ძირითადი წილი ადგილობრივებზე მოდის და შიდა ტურიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ხშირ შემთხვევაში მოგზაურთა შორის ახალგაზრდები ჭარბობენ, არა იმიტომ, რომ ისინი უფროსებზე მეტნი არიან მონადირეთა შორის, არამედ მათი ენერგია და ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებული ცნობისმოყვარეობა წლის განმავლობაში ბევრად მეტი ნადირობისკენ უბიძგებს. ეს კი, როგორც მონადირეები იტყვიან „მომწამლავი და გადამდებია“. ქვეყანაში, სადაც ნარკომანიასთან და კრიმინალთან ბრძოლა პრიორიტეტია, რა სჯობს იმას, როცა ჯანსაღი ცხოვრების წესი გადამდებია და, რაც მთავარია გადამდებია, იმ ახალგაზრდებს შორის, რომელთა გადარჩენა და დამოუპველი სენისგან დაღწევა ესოდენ სანატრელია.

სამონადირეო ტურიზმის განვითარების სუსტ მხარეედ პირველ რიგში ის რისკ–ფაქტორები უნდა აღვნიშნოთ, რაც ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით აუცილებლად წამოიწევა წინა პლანზე. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობას, კერძოდ კი – მესაქონლეობას – ველური ბუნებიდან მხოლოდ მტაცებლები უქმნიან საფრთხეს. მაშასადამე, ქვეყანა ნადირ-ფრინველიდან მხოლოდ მტაცებლების მიერ მიყენებულ ზარალს უნდა აღრიცხავდეს (თუმცა სახელმწიფო ამის აღრიცხვას თავს არიდებს). ხოლო სამონადირეო ტურიზმის განვითარების შემთხვევაში ამ საკითხს ნამდვილად მოევლება, თუმცა სხვა სახის პრობლემები იჩენენ თავს. როგორც ზევით მოგახსენეთ, სამონადირეო ინდუსტრია წარმოუდგენელია აღწარმოებისა და ბუნებრივ არეალში გამრავლების ხელშეწყობის გარეშე. შედეგად ჩვენი დაცარიელებული ტყეები, მთები და მინდვრები კვლავ გაივსება ნადირ–ფრინველით და დღეისათვის თუ ეს მხოლოდ სანატრელია, მომავალში მათი რაოდენობის მკაცრი რეგულირება გახდება აუცილებელი, რადგან დასაშვებზე მეტი ირემი ან შველი ტყის განახლებას აფერხებს, გარეული ღორი მარცვლეული კულტურების მოყვარულია, რაც ზიანს აყენებს ფერმერებს და ა.შ. ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნადირ–ფრინველის რაოდენობის მკაცრი მონიტორინგი, რაც უპირველეს ყოვლისა მათ მუდმივ აღწერასა და გამოხშირვას გულისხმობს.

ქვეყანაში ნადირ-ფრინველის გამრავლების შედეგად ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად გარემოსდაცვითი ზედამხედველობის გაცილებით აქტიური მუშაობის აუცილებლობაც დადგება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტყეები და მდინარეები დღეისთვის,





შეიძლება ითქვას, რომ ცარიელია, მაინც არ გვაკლია ბრაკონიერები. თუმცა ნადირ-ფრინველის გამრავლება ხელს შეუწყობს არამარტო ადგილობრივ ბრაკონიერებს, არამედ გაჩნდებიან უცხოელი ბრაკონიერებიც. ამ რისკების შემცირების მიზნით, აუცილებელია კარგად ორგანიზებული სამონადირეო სისტემის შექმნა, რაც უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებრივი კონტროლის ამაღლებას, ასევე ბრაკონიერების ჭეშმარიტ გზაზე დაბრუნებასაც. ადგილობრივების ხელშეწყობის გარეშე ვერც უცხოელი და ვერც ქალაქელი ვერ ახერხებს ბრაკონიერობას.

კვლევა შემუშავებულია 2014 წელს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის მიერ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით.

Research on the potential of hunting tourism of Georgia

In 2014, by the order of Georgian National Tourism Administration, the Federation of Hunters and Fishermen of Georgia drew up a document entitled as “Research on the potential of hunting tourism of Georgia”. Environmentalists, hunting and tourism experts, local and foreign scientists have all participated in the development of this document.

We have intentionally begun to discuss the research from the final part of the document; it demonstrates the necessities of developing hunting tourism and shows how exactly it will contribute to an overall development of the country. Usually, such documents are accompanied by an assessment of the risk factors that could be generated by the development of a particular field; this will allow us to avoid or minimize the impact of potential threats. Some benefits of hunting tourism development, presented by the author are as follows: distribution of economic profit to all the layers of the population and regions of the country; apart from solving the problem of desolation in mountainous regions, preparing the firm socio-economic grounds for the return of inhabitants who have already left; sharp increase of number of species regardless of intensive hunting; a significant extension of high season in tourism oriented regions; increase of state income by various taxes; new employment opportunities; establishing a healthy lifestyle among young generations.

As of the disadvantages of developing hunting tourism, the author assumes several potential weaknesses: possible damage to agriculture brought by an increase of fauna: increased number of birds and animals can raise interest in poaching, not only among locals but among foreigners as well. This can bring new challenges to the supervision department of environment protection.



# რეკრეაციული არქიტექტურა

კოსტა ქავთარია

წარმოშობით ქართველები მთიელები ვართ, რადგან ჩვენი სამშობლოს უდიდესი ნაწილი მთიანი ქვეყანაა. საუბედუროდ, ჩვენი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მთა არ ვიცით, მით უფრო – მაღალი მთა, ამიტომ ვაჟა–ფშაველას აღფრთოვანება–





„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.“

– ჩვენთვის რამდენადმე მიუწვდომელია. მაღალმთიანეთი გაუკაცურდა. ეს კი მიტოვებული ტერიტორიებია. საუბედუროდ, ეს ტერიტორიები საზღვართანაა. ეს დღევანდელობაა, ეს შეუწყნარებელიცაა და ამ პრობლემის მოგვარება გადაუდებელია.

გარდა ამისა, უნდა დავიჯეროთ, რომ ბუნება ჩვენ არ გვეკუთვნის, პირიქით, ჩვენ ვეკუთვნით ბუნებას; „ბუნება ჩვენშია და ჩვენ ბუნებაში ვართ.“ ამიტომ ბუნების კანონების მორჩილება გარდაუვალია. მან კომპრომისი, შეწყალება, ჰუმანიზმი და თავისუფლება არ იცის. ეკოლოგები მცდელობას არ აკლებენ, რომ შეგვაგნებინონ ბუნების მდგრადობის კანონები, მაგრამ მათ გვერდით ეკოლოგიური ექსტრემიზმიც არსებობს. ეკოლოგიაში ვერ მოვიძიე ვაჟა–ფშაველაზე სრულყოფილი, ლაკონური და მკაცრი შეგონება:

„გაძლება გვმართებს, ბუნება
რასაც დაგვადებს ხარკსაო?!“

დიახ, ჩვენი დამოკიდებულება ბუნებისადმი მომხმარებლურია, ხარკს კი გადახდა უნდა. ადამიანი ვალმოხდილი უნდა მიდიოდეს ამქვეყნიდან. ვაჟას იმდენად ესმის ბუნება, რომ მისი არდაჯერება უგუნურებაა. მაგალითად, იგი მთას ასე წარმოიდგენს:

„სრულად სხვაა მაღალი მთა თხემით ცას მიბჯენილი, ის ამაყი, დიდებული, შეუპოვარი, მიუკარებელი, უკადრისი, არავის თავს არ უყადრებს, მსოფლიოს ავ-კარგს უცქერის, როგორც უბრალო რამ მასხრობას – ეს თითქოს მზემაც იცისო – წინდაწინ თავის სხივებს იმას მიაფრქვევს.“

მიუხედავად ამისა, უხსოვარ დროში ჩვენი წინაპრები აქ, მთაში დასახლდნენ. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ალპურ მთებში (საკუთრივ ალპები, კავკასიონი და ჰიმალაი) ადამიანის ნასახლარები ფიქსირდება. ადამიანმა გაიარა ხანგრძლივი და ურთულესი ადაპტაციის პერიოდი. ხელი ერთდროულად მოჰკიდა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას, რამაც აქ ცხოვრება რამდენადმე შესაძლებელი გახადა. მთაში ადამიანი დასახლდა და გამრავლდა კიდეც. ეს სხვა მთიანეთში არ შეინიშნება. დასახლება სოფლად ჩამოყალიბდა, რამდენიმე სოფელი – თემად და თემი სახელმწიფოს ჩანასახად მოგვევლინა. მე-13–მე-14 საუკუნეებში მეცხოველეობა ეკონომიკურ დარგად ჩამოყალიბდა.

რა ხდება? რა დაგვემართა? მაპატიეთ, მაგრამ ისევ ვაჟას უნდა მივმართოთ: „აზრის წარმოთქმა რომელიმე საგანზე თვით საგნის შეუსწავლელად და შეუგნებლად მხოლოდ რეგვენ ადამიანს შეუძლია;“ ასევე: „ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისა და ჩვენ, კაცთ, ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მის განაჩენს.“ დაბოლოს, „არა მოგვცა რა ლამაზი სიტყვების ამაყობამაო“.

ყოველივე ზემოთქმული, ჩავთვალე წინასიტყვაობად შემომეთავაზებინა იმ თემისა თუ რუბრიკის, რომელიც ამ ჟურნალის შემდგომი გამოცემების ფურცლებიდან მინდა გამცნოთ და საჯარო განხილვის თემად ვაქციო. რეკრეაციული არქიტექტურა უპირველეს ყოვლისა არსებულ გარემოსთან, ველურ ბუნებასთან შერწყმას მოითხოვს. მთიანი რეგიონები კი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან უცხო სხეულის ჩარევისადმი. სამთო კურორტის ნებისმიერი ინფრასტრუქტურა, ისე უნდა ავსებდეს იქაურობას, რომ თვითონ შეუმჩნეველი რჩებოდეს.



The author states that in consideration of our country’s relief, we can confidently consider Georgians to be mountaineers. However, the author expresses his displeasure with the fact that the major part of our society is not familiar with mountains at all. To express himself better, he frequently uses the words of “Vazha-Pshavela,” and considers them as a supreme truth. In the end, the main message of this article is that nature doesn’t belong to us, we belong to it.

# ნადირობა თევზაობა





# საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაცია

უპირველესად მოხარული ვარ, რომ ჩვენ მიერ 5 წლის წინ წამოწყებული საქმე, ვგულისხმობ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის ყოველთვიურ ჟურნალს „ნადირობა და თევზაობა,“ დღეს არათუ წარმატებით გრძელდება, არამედ გაიზარდა მისი ინტერესის სფეროც, დაფარვის არეალი და მის მომზადებაში ჩართულ მაღალკვალიფიციურ და ბუნებაზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანთა რიცხვიც. საერთო ძალისხმევით ჩვენ ვქმნით ერთიან სივრცეს, სადაც სახელმწიფოს, არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მეცნიერებსა და კერძო სექტორს ექნებათ საშუალება დააფიქსირონ თავიანთი პოზიციები, იმსჯელონ, გააანალიზონ არსებული მდგომარეობა და დასახონ სამომავლო გეგმები. თუ ჩვენ შევძელით და ზემოჩამოთვლილი მხარეები ათიდან რვა საკითხზე მაინც შევთანხმდით, მაშინ შესაძლებელი იქნება ძალების გაერთიანება და ველური ბუნების შენარჩუნება ჩვენი მომავალი თაობებისთვის ისე, რომ ადამიანსაც სარგებელი მოუტანოს და თვითონაც არ განადგურდეს და გაჩანაგდეს.

სამწუხაროა, რომ სეზონი იხსნება კვლავ ნადირობის შესახებ კანონის გარეშე, თუმცა, ცუდ კანონს, ისევ ასე სჯობია. ვერც მთავრობა გაერკვა იმაში, თუ რა სურს საზოგადოებას და ვერც თვითონ საზოგადოება აღმოჩნდა მზად, რომ უკვე ჩამოყალიბებული, ერთიანი პოზიცია გამოეხატა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აქტიურობა იზრდება, ჩნდება ახალ-ახალი კლუბები თუ ჯგუფები, ჯერჯერობით ერთიანი აზრი არ იკვეთება, კონკრეტიკაზე არავინ ფიქრობს, უმეტესობა მხოლოდ კრიტიკაზეა გადასული, რაც საქმეს უფრო ართულებს. საქართველოს გარდა ძნელად თუ ნახავ ქვეყანას, რომ ნადირობის სფერო ასე თუ ისე არ ჰქონდეს მოგვარებული, რაიმე სტრუქტურა არ ჰქონდეს შექმნილი, სახელმწიფოსა და საზოგადოების როლი არიყოს გამიჯნული. ეს საქმიანობის ის სფეროა, სადაც საზოგადოებას მეტი ეთქმის, რადგან მისი ინტერესების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ ნადირობის მმართველი ორგანო მთელს მსოფლიოში უმეტესად საზოგადოების ხელშია, რა თქმა უნდა, სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობითა და კონტროლის ქვეშ, რაც სწორი მართვისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. კანონი და საზოგადოებრივი ორგანოს არსებობა არსობრივად სხვადასხვა რამეა. კანონი შეიძლება დროთა განმავლობაში ცვალებადი იყოს (განსაკუთრებით ჩვენს შემთხვევაში), მაგრამ საზოგადოება მუდმივი რჩება (მცირედი ცვლილებებით), რომლის ინტერესების გათვალისწინებით პერიოდულად იცვლება კანონი. ჩვენ დღეს არც ერთი გვაქვს და არც მეორე. უპრიანი იქნებოდა, რომ ჯერ შემდგარიყო საზოგადოებრივი ორგანო (ერთიანი ეროვნული საზოგადოების მსგავსი), რომელიც იმუშავებდა კანონზე სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა დაინტერესებული წევრის, მათ შორის ქალაქში თუ სოფლად მაცხოვრებლის, ღარიბისა თუ მდიდრის ინტერესების გათვალისწინებით.

რადგან ნადირობასა და თევზაობაზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება, დრო აღარ ითმენს და ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს. პრობლემები მატულობს, მიწების უმეტესობა საკუთრებაში გადადის, ჩამოუყალიბებელია მიწათსარგებლობის საკითხი, ტყეთმოწყობა ან საერთოდ არ არსებობს, ან ნადირთმოწყობის გარეშეა. დაუსრულებელია ბიომრავალფეროვნების კანონი და ტყის კოდექსი, ამ სამი სუბიექტის (ნადირობა, ბიომრავალფეროვნება, ტყე) ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად განხილვა ნიშნავს, რომ ავაშენოთ სახლი და არ გავითვალისწინოთ ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობები. ასე რომ, სანადირო სავარგულების, სანადირო ობიექტებისა და ველური ბუნების მიმართ დამოკიდებულება თვითდინებაზეა მიშვებული.

დღემდე არ არსებობს სახელმწიფო უწყებაში სპეციალური მაკოორდინებელი ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს ნადირობის კულტურის განვითარებას ისე, რომ ლეგალურად, ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობისა თუ უცხოელი ტურისტების მოთხოვნილებები – თუნდაც გადამფრენ და წვრილ ნადირზე სანადიროდ. გაუგებარია ასევე წითელი ნუსხის ცხოველების მიმართ დამოკიდებულება (ეს საკითხი ალბათ ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს). ფაქტია, რომ გადაშენების პირას მყოფი ცხოველების გამრავლება მხოლოდ აკრძალვებით ვერ ხერხდება. აუცილებელია  უფრო ფართო საზოგადოების დაინტერესება და ჩართულობა, განათლებისა და ინტელექტის ამაღლება. ბევრი ქვეყნის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ სამონადირეო ტურიზმის განვითარება გახდა არაერთი სახეობის გადარჩენის წინაპირობა. ეს ის დარგია, სადაც სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები თითქმის აბსოლუტურ თანხვედრაშია. სამონადირეო ტურიზმი მოიაზრება მთელს მსოფლიოში, როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავლების უშრეტი წყარო, რომელსაც ბადალი არა აქვს რეგიონების განვითარებისა და დასაქმების სფეროში. სწორად მოწყობილი სისტემის პირობებში შემოსავლები ნაწილდება ფართო მასებზე, სადაც სარგებელს ნახულობს როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით არის ჩართული მომსახურების სფეროში. შედეგად, მატერიალურად დაინტერესებული მოსახლეობა თვითონ ხდება საკუთარი  შემოსავლის წყაროს, ანუ ბუნებისა და მის ბინადართა დამცველი.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით ჩვენმა ფედერაციამ შეიმუშავა საქართველოში სამონადირეო ტურიზმის პოტენციალის კვლევა. სამწუხაროდ, მისი პრეზენტაცია მოხდა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და ფართო მასებისთვის მიუწვდომელი გახლდათ.

დაბოლოს, არ შეიძლება აეწყოს ისეთი სისტემა, სადაც ვინმეს ინტერესები უგულებელყოფილია (გარდა ბრაკონიერებისა). ყველა დაინტერესებულ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა პროცესის მონაწილე გახდეს და შედეგად, ჩვენს რეალობაზე მორგებული კანონის ფარგლებში, დატკბეს ველური ბუნებით. ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაითავისოს, რომ როგორც ნებისმიერ ურთიერთობაში, აქაც „მიეცი–აიღეს“ პრინციპი მუშაობს. სანამ რამეს ავიღებდეთ ბუნებიდან, დავფიქრდეთ იმაზე, თუ  რას ვაძლევთ ჩვენ.

თეიმურაზ ტყემალაძე
გამგეობის თავმჯდომარე

The Chairman of the Federation of Hunters and Fishermen of Georgia, expresses his irritation with the fact that the hunting season has again opened without any law on hunting. However, he also states that having no law is better than having a damaging one. In his opinion, the government still has not understood the desires of society, and society itself, is not ready to formulate a unified position. In most parts of the world, hunting is governed by society, but of course, with close collaboration and control of the state – this is an inevitable formula of proper development and governing. As Mr. Tkemaladze states, the law should simultaneously adopt to the interests of both state and each interested member of society, would he be poor or rich, from city or from village. He also brings up the issue of IUCN Red List and marks, that prohibition alone cannot act as an effective tool of multiplication of endangered species. Active interest and involvement of larger society is essential, as well as raising awareness, improvement of education and intellectual upbringing. Using the experience of many countries as an example, we can see how developing hunting tourism becomes essential to the survival of many species.

Lastly, each one of us has to understand that a give and take approach is most effective, just as in every human relation. Before we take something from nature, we must give first.

# ინტერვიუ მაია ჩხობაძესთან



## სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

*რა საბუთები უნდა იქონიოს ნადირობისას თან მონადირემ?*

საქართველოში ნადირობის წესები და მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის №95 ბრძანებით დამტკიცებული – „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ" – დებულებით, რომლის თანახმად, მონადირეს ნადირობისას თან უნდა ჰქონდეს:

ა) „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი);

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

*რამდენი მწყრის მონადირება შეუძლია ერთ მონადირეს ერთ ჯერზე და აქვს თუ არა უფლება მას ნანადირევით ვაჭრობისა?*

აგვისტოს მესამე შაბათიდან 15 თებერვლამდე ყოველდღიურად მონადირეს შეუძლია მოინადიროს 20 მწყერი (Coturnix coturnix), ნანადირევით ვაჭრობის უფლება პირს აქვს, ვინაიდან „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, „ნადირობა არის გარეულ ცხოველთა სპეციალური სარგებლობის ფორმით მოპოვება, ფიზიკური და იურიდიული პირების მატერიალური, რეკრეაციული და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად".

*აქვს თუ არა უფლება მონადირეს, მასზე გაფორმებული სანადირო თოფი ნადირობისას გადასცეს სხვა პირს?*

პირი, რომელიც ნადირობს, ვალდებულია თან იქონიოს მასზე გაფორმებული სანადირო თოფი. აკრძალულია სხვა პირზე გაფორმებული სანადირო თოფით ნადირობა, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმ პირს, ვისზეც ეს დოკუმენტია გაცემული.

*თუ თოფის გადაცემის უფლება არა გვაქვს, როგორ ვიქცევით უცხოელი ტურისტების შემთხვევაში? ძალიან ცოტა, პრაქტიკულად, ერთეულები ჩამოდიან თავიანთი თოფებით. მთელს მსოფლიოში*

*მიღებული პრაქტიკაა, რომ სამონადირეო მეურნეობა უზრუნველყოფს ტურისტებს თოფებით ადგილზე. ჩვენს შემთხვევაში რა ხდება?*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „2. უცხო ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს საქართველოში შემოიტანოს სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე, აღნიშნული იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა (მაგრამ არა უმეტეს 500 ერთეული ვაზნისა), თუ არსებობს შესაბამისი კონტრაქტი (ხელშეკრულება) ნადირობაზე ან სპორტულ ღონისძიებაზე მოწვევა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ნებართვა“. ამასთან, „შემოტანილი იარაღი საქართველოდან გატანილი უნდა იქნას იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია, შესაბამისად, კონტრაქტით (ხელშეკრულებით) ან მოწვევით.“

ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხო ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს ნადირობის მიზნით საქართველოში შემოიტანოს და საქართველოდან გაიტანოს კუთვნილი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნებართვის მიღების გარეშე.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კანონის მე-19 მუხლის თანახმად, იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენის უფლება აქვს „იურიდიულ პირს, რომელიც ეწევა სარეწაო, სამოყვარულო, სპორტულ ან სამეცნიერო ნადირობას, ან აღნიშნული პროფილით ახორციელებს ტურისტულ მომსახურებას და აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს“; ამასთანავე, იურიდიული პირი ვალდებულია სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის (ან მისი ძირითადი ელემენტის) შეძენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს მისი რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე დაუშვებელია იარაღის განკარგვა ან მისით სარგებლობის უფლების სხვა პირისათვის გადაცემა. “

*როგორ უნდა მოიქცეს პირი, თუ ეგრეთ წოდებულ „მანიოკით“ ნადირობას, დენით თევზაობას, ან სხვა უკანონო ფაქტს შეესწრო? ამ შემთხვევაში რა უფლებები აქვს სამოქალაქო პირს შესაბამისი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების გამოჩენამდე?*

ნადირობის პროცესში აკრძალულია ნებისმიერი მასობრივი მოპოვების იარაღის გამოყენება, რომელთა ნუსხაში შედის ე.წ. „მანოკი“. ასევე, მკაცრად იკრძალება ე.წ. „ელექტროშოკური იარაღის“ გამოყენებით თევზაობა, რომელიც მავნე ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მოპოვებულ ინდივიდებზე, არამედ აღნიშნული აპარატის ზემოქმედების არეალში მოხვედრილ ცოცხალ ორგანიზმებზეც. ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა.

აქვე აღვნიშნავ, რომ სახელმწიფოს უზენაესი კანონით, „საქართველოს კონსტიტუციის“ 37-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. შესაბამისად, ბუნერივი გარემოს - სააქართველოს ველური ბუნების, ფლორისა და ფაუნის დაცვისა და გაფრთხილების ვალდებულება გაგვაჩნია თითოეულ ჩვენთაგანს.

ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია მაქსიმალური ძალისხმევა გამოვიჩინოთ გარემოსდაცვითი დარღვევების პრევენციისათვის და დაუყოვნებლივ მივაწოდოთ ინფორმაცია იმ სახელმწიფო მაკონტროლებელ უწყებას, რომელიც უფლებამოსილია დარღვევის აღმოსაფხვრელად გაატაროს კანონით გათვალისწინებული ზომები.

აქვე აღვნიშნავ, რომ ინფორმაციის მოწოდების სხვადასხვა გზა არსებობს (წერილი, ელექტრონული შეტყობინება, სოციალური ქსელები და სხვა), რომელთაგან შედარებით მარტივი, სწრაფი და ოპერატიულია სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) დარეკვა და ინფორმაციის დატოვება არსებული სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ.

ინფორმაციის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში რეაგირება ხდება სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ.

A representative of supervision department of environment protection answers some timely questions in connection to launching the new hunting season. Along with other information, we learn from the interview, that a citizen of foreign country has the right to bring hunting or sports firearm to Georgia, accompanied by the corresponding ammunition (not exceeding 500 units of cartridge). This is possible if an appropriate contract (agreement) on hunting or an invitation to a sport event is presented, along with a permit, issued by Legal Entity of Public Law – The Service Agency of Ministry of Internal Affairs. Herewith, an imported weapon must be exported from Georgia within the time limit specified in the contract or invitation.

# მემორანდუმი

მემორანდუმის ძირითადი მიზნებია საქართველოს ბიომრავალფეროვნების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით მონადირეთა საზოგადოების კონსოლიდაცია და ერთიანი პოზიციის შეჯერება. ასევე, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის მიზნით საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ვითვალისწინებთ რა ბიომრავალფეროვნების სფეროში საქართველოში დღეს არსებულ რთულ მდგომარეობას და შესაბამის საკანონმდებლო ბაზაში არსებულ ხარვეზებს, საქართველოს მონადირეთა საზოგადოება ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, ბიომრავალფეროვნების კონტროლი სახელმწიფოს პრეროგატივა და მოვალეობაა. დაუშვებელია სახელმწიფოს სტრატეგიული რესურსების სრული მოცულობით კერძო სექტორისთვის გადაცემა. შესაბამისად, სანადირო ტერიტორიების კონტროლი, ასევე სანადირო ობიექტების მონიტორინგი, აღწარმოება და ამოღება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ;
2. საჭიროა ნადირობის სახეობების კლასიფიკაცია: სამოყვარულო, სპორტულ და სატროფეო ქვესახეობებად. აღნიშნული უზრუნველყოფს, როგორც ლიცენზირებისა და მისი საფასურის კლასიფიკაციას, ასევე ბიომრავალფეროვნების მდგრად და თანმიმდევრულ განვითარებას;
3. ახალი კანონპროექტი უნდა ითვალისწინებდეს ტრადიციული სამონადირეო კულტურის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. ამასთან, დაფუძნებული უნდა იყოს სოციალური თანაფარდობის პრინციპებზე;
4. საქართველოს სამონადირეო საზოგადოება ქმნის ერთიან საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფს, რომელიც უფლებამოსილი იქნება საზოგადოების სახელითა და ზემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადების პროცესში;



რატის ბლოგი:
თბილისის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
კახეთის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
ქვემო ქართლის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
მცხეთა-მთიანეთის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
შიდა ქართლის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
იმერეთის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
სამცხე ჯავახეთის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
გურიის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
რაჭა ლეჩხუმის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
სამეგრელო ზემო სვანეთის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
აჭარის საინიციატივო ჯგუფის სახელით:
მონადირეთა კლუბი ლეგიონის სახელით:
მონადირეთა კლუბი ოჩოპინტრეს სახელით:
მონადირეთა კლუბი ბაზიერის სახელით:
მონადირეთა კლუბი მონადირეს სახელით:
ვებ-გვერდი Www.Inadire.ge სახელით:
მონადირეთა კლუბი კვალის სახელით:
მონადირეთა კლუბი ჩუბინის სახელით:
საერთაშორისო საფარი კლუბის სახელით:
ჟურნალ „ველური ბუნება" სახელით:



სამონადირეო მეურნეობა Hunting tour Georgia-ს სახელით:
სამონადირეო მეურნეობა მიუნჰაუზენი-ს სახელით:
სამონადირეო მეურნეობა ივრის ჭალები-ს სახელით:
სამონადირეო მეურნეობა ჭიაურ-ის სახელით:
სამონადირეო მეურნეობა ვიქტორია 2012(წყაბაში)-ის სახელით:
საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის სახელით:
სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის სახელით:
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეროვნული საშენის სახელით:
ბიზნესი-სამონადირეო მაღაზიები:

A Memorandum

Active clubs of hunting sphere in Georgia, existing federations, unions, media, hunting grounds and shops have agreed to create a co-ordinating working-group, which will be entrusted by public to cooperate according to agreed principles, with corresponding state and international organizations, during the process of preparing a legislative base.



# ოთარ ლომთაძე

დაიბადა 1937 წლის 25 ივლისს ქალაქ თბილისში. 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი კიბერნეტიკის განხრით. 1962 წლიდან 45 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. გახლავთ არაერთი გამოგონებისა და სამეცნიერო სტატიის ავტორი კიბერნეტიკის დარგში. მინიჭებული აქვს შრომის ვეტერანის წოდება.

ბატონი ოთარი ბავშობიდან გახლავთ ნადირობით გატაცებული. შედეგად, 1963 წელს იგი გაწევრიანდა „მონკავშირში“, ხოლო 1974 წლიდან საზოგადოებრივ საწყისებზე ჩაება „მონკავშირის“ მუშაობაში და სათავეში ჩაუდგა ფაუნის დაცვისა და მტაცებელ ნადირ–ფრინველთა მარეგულირებელ სექციებს. მინიჭებული აქვს საქართველოს საპატიო მონადირის წოდება. იგი ერთ–ერთი თანაავტორია მონადირული კრებულისა „მონადირე და მეთევზე“. სხვადასხვა ჟურნალ–გაზეთში გამოქვეყნებული აქვს 40–მდე სტატია ნადირობაზე, სანადირო იარაღსა და გარემოს დაცვაზე. ოთარ ლომთაძე რედაქტორობდა ჟურნალს „მიმინო“ 1999 წელს და ჟურნალს „ნადირობა“ 2003 წელს. იგი ავტორია 2011 და 2012 წლებში გამოცემული ორი ფუნდემენტური ნაშრომისა: „სანადირო თოფი“ და „ბუნება და ნადირობა“. მის სახელთან არის დაკავშირებული ცნობილი მონადირის, ნატურალისტისა და მონადირული ლიტერატურის კლასიკოსის ა.ა კალინოვსკის სახელის ხელახალი აღზევება. 2013 წელს გამოსცა კალინოვსკის ალბომის „Охоты Кавказа“ ასლი, ბიოგრაფიის თანდართვით და ნარკვევის „Очерк Кавказской Фауны и Кавказских Охот“ თარგმანი.

ბატონი ოთარის სურვილით მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და ახლო მომავალში მონადირის დარბაზის შესაქმნელად იგი ბიბლიოთეკას გადასცემს უნიკალურ მონადირულ ლიტერატურას, სანადირო იარაღის კატალოგებს და პრეისკურანტების კოლექციას, აგრეთვე ინგლისური ფირმის „ჯეიმს პერდეს“ და ფრანგული –„იდეალის“ სანადირო თოფებს.

# მგელი

რამდენიმე ათასი წელიწადია მგელი და ადამიანი ერთ გარემოში თანაარსებობენ. ამ დროის განმავლობაში იცვლებოდა მათი ურთიერთდამოკიდებულების ფორმები და ხასიათი.

თუ თვალს გადავავლებთ ქართული ხალხური ანდაზების კრებულს, აღმოვაჩენთ, რომ მგელზე ქართველებს 55–მდე ანდაზა შეუქმნიათ, მაშინ, როდესაც დათვსა და მელაზე ერთად – მხოლოდ 40–მდე.

უცხოელი ზოოლოგების მეცნიერული კვლევების მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იქ, სადაც ადამიანი სამეურნეო საქმიანობას არ ეწევა, მგლის სრული ლიკვიდაცია,ანმისირაოდენობისრეგულირება დაუშვებელია (რეგულირებაში ყოველთვის რაოდენობის შემცირება იგულისხმება, რადგან რაოდენობის გაზრდას გამრავლება ეწოდება), ვინაიდან დაირღვევა ის ბალანსი, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში მგელსა და მის მსხვერპლ გარეულ ჩლიქოსნებს შორის ხანგრძლივ თანაარსებობას განაპირობებდა: გარეული ჩლიქოსნები ისე გამრავლდებიან, რომ სულ გადაჭამენ მწვანე საფარს და შემდეგ ეპიზოოტითა და შიმშილით ამოწყდებიან. ამერიკელმა,კანადელმადარუსმაზოოლოგებმა დაადგინეს, რომ მგელსა და მის მსხვერპლ გარეულ ჩლიქოსნებს შორის გარკვეული ხნის შემდეგ მყარდება ეკოლოგიური წონასწორობა,



რომლის დროსაც 1 მგელზე მოდის 30 ცხენირემი, ან 100 ირემი, ან 120 ირმის, შვლის, ჯიხვის, არჩვისა და გარეული ღორის ერთობლიობა (ეს ასეა, მაგალითად, კავკასიის ბიოსფერულ ნაკრძალში).

ნიშანდობლივია, რომ ამ ეკოლოგიური წონასწორობის შემოქმედია მგელი, ეს მრავალმხრივ გამორჩეული და შესანიშნავი ცხოველი. იგი თავის რიცხოვნობას თვითონ ირეგულირებს მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით: როდესაც მსხვერპლი საკმარისი რაოდენობითაა, მაშინ ძუ მგელი შობს და გაზრდის 5–8 ლეკვს და ბუნებრივი ყოველწლიური ნამატი 30%–ია. როგორც კი მსხვერპლის რაოდენობა დაეცემა, მან კიდეც რომ შობოს იგივე რაოდენობა, ანუ 5–8 ლეკვი, გამოზრდის მხოლოდ 1–2-ს და ამით ბალანსი მგლის პოპულაციასა და მისი მსხვერპლის რაოდენობას შორის საწყის ნიშნულს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში მყარდება ჰარმონია ბუნების ყველა ელემენტს შორის: მგელი უზრუნველყოფილია საკვებით, გარეული ჩლიქოსნების პოპულაცია ჯანსაღდება იმის გამო, რომ მგელი უპირატესად დეფექტურ, ავადმყოფ ცხოველებს კლავს, ხოლო მწვანე საფარი გადაურჩება განადგურებას ჩლიქოსანთა რიცხოვნობის შეზღუდვის გამო.

მგელი ხორცისმჭამელი მტაცებელია. ამიტომ კაცობრიობის განვითარების გარიჟრაჟზე დამოკიდებულება ადამიანსა და მგელს შორის ისეთივე იყო, როგორიც მგელსა და მის მსხვერპლს შორის. მგელი თავს ესხმოდა ადამიანს ისევე, როგორც ირემსა და შველს. განსაკუთრებით ემტერებოდა ქალებსა და ბავშვებს, ვინაიდან ისინი უფრო ადვილი დასამორჩილებლები იყვნენ.

დამოკიდებულება მგელსა და ადამიანს შორის კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ადამიანმა გარეული ცხოველები მოიშინაურა და ისინი საძოვრებზე გაიყვანა. იმისათვის, რომ მგელმა ირემი ან შველი დაიმორჩილოს, სულ ცოტა 4–5-ჯერ მაინც უნდა სცადოს მაშინ, როდესაც ცხვარს პირველსავე შეტევაზე იმორჩილებს. ამიტომ იყო, რომ მგელმა შინაური პირუტყვი მაშინვე თავის „მენიუში“ შეიტანა, რასაც ადამიანი ვერასდროს შეეგუება.

მგლის პოტენციური „რაციონის“ მკვეთრ ზრდას, „მტაცებელ-მსხვერპლის კანონის“ თანახმად, მგლის რიცხოვნობის მკვეთრი ზრდა მოჰყვა. მგელმა თავისი რიცხოვნობა დაირეგულირა გარეული ჩლიქოსნების რაოდენობას მიმატებული მისთვის ხელმისაწვდომი შინაური საქონლის

რაოდენობით. იქიდან გამომდინარე, რომ განვითარებულ ქვეყნებში შინაური პირუტყვის რაოდენობა რამდენიმე ათეულჯერ და ასეულჯერ აღემატება გარეული ჩლიქოსნების რაოდენობას, ამ უკანასკნელთან მიმართებით მგლის ბალანსი მკვეთრად დაირღვა.

რუსმა ზოოლოგმა მაკრიდინმა მრავალწლიანი კვლევების შედეგად დაადგინა, რომ მგლების რაოდენობა არა მოცემულ ფართობზეა დამოკიდებული, არამედ მათში შინაური პირუტყვის რაოდენობაზე. ხოლო ჯერ კიდევ მე–19 საუკუნის ბოლოს რუსი ნატურალისტი საბანეევი მივიდა დასკვნამდე, რომ ცივილიზებული ქვეყნებისთვის მგელი არის პარაზიტი, რომელიც ძირითადად ადამიანის ხარჯზე ცხოვრობს.

ეს ფაქტი აქტუალურია საქართველოსთვისაც, სადაც მგლის პოტენციური საკვები შედგება 6 მილიონი შინაური პირუტყვისა და 20–30 ათასი გარეული ჩლიქოსნისგან. ამიტომ მგელი მრავლდება მოსახლეობის კუთვნილი შინაური პირუტყვის ხარჯზე, რის შედეგადაც იგი 99%–ით პარაზიტია და მხოლოდ 1%-ით – ბუნების სანიტარი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის რიცხოვნობას დაირეგულირებდა 20–30 ათასი გარეული ჩლიქოსნის მიხედვით, ანუ 200–300 ერთეულამდე.

ევროპელთა ცხოვრების წესი ბევრისთვის მისაბაძი გახდა; ვგულისხმობთ ევროპულ სტანდარტებს იურისპრუდენციაში, განათლებაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობასა თუ ბუნების დაცვაში. როგორია ეს სტანდარტები მგელთან მიმართებით?

ევროპაში ყველაზე ადრე ეს პრობლემა ინგლისმა მოაგვარა. 966 წელს მეფე ედგარმა თავის ქვეშევრდომებს შფოთი შეუნდო მხოლოდ ერთი პირობით: აჯანყებულებს მისთვის ხარკი უნდა ეხადათ მგლის თავებით. ამას გარდა მან ბრძანა, რომ სხვადასხვა ჯარიმას, გადასახადსა და ბაჟს ისინი გადაიხდიდნენ დახოცილი მგლებით. მე–15 საუკუნის ბოლოს ინგლისში არცერთი მგელი აღარ იყო. ბოლო მგელი შოტლანდიაში მოკლეს 1680 წელს, ხოლო ირლანდიაში – 1710 წელს. უელსის ერთ ქალაქს იმ ძაღლის სახელი ჰქვია, რომელმაც მგლის კბილებისაგან პატარა ბავშვი იხსნა.

საფრანგეთში, ლუდოვიკო XII–ის კარზე საეგერო სამსახურის ლეიტენანტი, რობერ დე სალნოვი წიგნში „სამეფო ნადირობა“ ამტკიცებდა, რომ მას მგლისაგან მოკლული 300–მდე ადამიანი უნახავს. ლუდოვიკო XIV–ის დროს მგლებზე ნადირობის სამსახური ყველაზე კარგად ფინანსდებოდა. ნაპოლეონის დროს, 1805 წლის 22 მარტის დადგენილებით, სახელმწიფო ტყეებში ნადირობის უფლება





ეძლეოდათ იმ მონადირეებს, რომლებიც ინადირებდნენ მგლებზე. ისინი ვალდებულნი იყვნენ მეტყევეებისთვის შეეტყობინებინათ მათ მიერ მოკლული მგლების რაოდენობა და ამის დასამტკიცებლად მიეტანათ მოკვეთილი მარჯვენა თათი. ამავე ბრძანებით, მგლის მოკვლაზე საფრანგეთში დაწესდა პრემია: ერთ მგელზე 12 ფრანკი, ძუ მგელზე – 15, მაკეზე – 18, ლეკვზე – 3 ფრანკი. მე–19 საუკუნის ბოლოს გაიზარდა დაწესებული პრემიები და, შედეგად, 1884 წელს ამოღებულ იქნა 1035 მგელი, 1892 წელს – 307, 1896 წელს კი 170, რაც ნათლად მეტყველებს მგლის რაოდენობის მნიშვნელოვან კლებაზე. მეორე მსოფლიო ომის წინ საფრანგეთში არცერთი მგელი აღარ იყო.

მე–20 საუკუნის 90–იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპაში ასეთი მდგომარეობა იყო: დიდ ბრიტანეთს, ირლანდიას, საფრანგეთს, გერმანიას, შვეიცარიას, ავსტრიას, ჰოლანდიასა და ბელგიას არცერთი მგელი აღარ ჰყავდა. ამ ქვეყნებში მგელი ბრაკონიერებმა კი არ გადააშენეს, არამედ იგი სახელმწიფო ბუნებისდაცვითი სტრუქტურების წინასწარ დაგეგმილმა, დაფინანსებულმა და განხორციელებულმა კამპანიამ გაანადგურა, რომლის მთავარი ინსტრუმენტი იყო პრემიალური სისტემა.

სხვა ქვეყნებმა, მაგალითად, რუმინეთმა, ბელორუსიამ, რუსეთმა მგლის პრობლემა ვერ მოაგვარა მისი სირთულის გამო. ზოგმა ქვეყანამ მგლის სრული ლიკვიდაცია ან ვერ მოახერხა, ან შეგნებულად არ განახორციელა და დაიტოვა მისი სიმბოლური რაოდენობა. 90–იან წლებში დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მეზობელი სახელმწიფოებიდან შეაღწია მგლების უმნიშვნელო რაოდენობამ. ამ ქვეყნების მთავრობებმა, დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, გაითვალისწინეს ბუნების მოყვარულთა გარკვეული ნაწილის მოთხოვნები და ისინი დაიტოვეს, როგორც ბიომრავალფეროვნების ელემენტი.

ამრიგად, ბოლო ათწლეულებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ასეთი ვითარება დამყარდა: 4 ქვეყანაში არცერთი მგელი არ იყო, ხოლო დანარჩენი ქვეყნების ტერიტორიის 1000 კმ²-ზე მოდიოდა 0,01-დან 4-მდე მგელის

ერთეული. თუ გავიხსენებთ, რომ მგლის ყოველწლიური ბუნებრივი ნამატი აღრიცხული რაოდენობის 28–32%–ს შეადგენს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ქვეყნებმა ეს სიმჭიდროვე დაადგინეს ოპტიმალურ რაოდენობად და მის შემდგომ ზრდას შეგნებულად აფერხებდნენ; ჩავთვალოთ ქვეყნის ტერიტორიის 1000 კმ²–ზე 4 მგელი ევროპულ სტანდარტად.

ისმება კითხვა: რატომ მოსპო ზოგმა ევროპულმა ქვეყანამ საერთოდ მგელი, ხოლო ზოგმა რამდენიმე ათეული და ზოგ შემთხვევაში ასეული დაიტოვა? მათ არ იცოდნენ, რომ მგელი „ტყის სანიტარია“? ნუთუ ასეთი გაუნათლებლები იყვნენ?! ანდა რას ეყოფოდა, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის 400 ათასამდე ირემს, შველს, მუფლონს, ცხენირემსა და გარეულ ღორს 370 „სანიტარი მგელი“?! ანუ 1080 გარეულ ჩლიქოსანს – 1 მგელი? (1980 წლის მონაცემები).

სხვადასხვა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით (ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, შარდენი და სხვები) ირკვევა, რომ საქართველოში მგლისგან მიყენებული ზიანი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და მასთან ბრძოლა გამუდმებით მიმდინარეობდა. მე-20 საუკუნის დამდეგს მისი პოპულაცია ყოველგვარ ზღვარს ცდებოდა. 1923 წელს გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ დაიბეჭდა წერილი „მგლები ტფილისის ქუჩებში“: „... ერთ დღეში სამი თავდასხმა: ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მგელმა დაკბინა გუშაგი პოლიციელი, მეეზოვე და რკინიგზის მუშა... სამი დღის წინ ტფილისის 11 რაიონში გამოჩნდნენ მგლები... გუშინ, დღის 5 საათზე ერთი მგელი თენებისას მოკლეს საბჭოს ქუჩაზე“

მგლის თარეში საქართველოში გაგრძელდა 1931 წლამდე, ვიდრე საბჭოთა საქართველოს მთავრობა იძულებული არ გახდა დაეწყო მგლის წინააღმდეგ ბრძოლა პრემიალური სისტემის შემოღებით. 1931-86 წლების მონაცემებით, ანუ 55 წლის



განმავლობაში, ყოველწლიურად იღებდნენ 267-დან 1187-მდე მგელს, ე.ი. წელიწადში საშუალოდ 628-ს.

1960, 70-იან და 80-იან წლებში საქართველოში მგლის რიცხოვნობის რეგულირების ინტენსივობა საკმარისი რომ არ იყო მისი პოპულაციის ევროპული სტანდარტების დონემდე დასაყვანად, ჩანს ზოოლოგიის ინსტიტუტის უფრ. მეცნიერ-თანამშრომლის კ.ტ.ბარათაშვილის გამოკვლევებიდან: „რესპუბლიკაში მგლების უმეტესი ნაწილი დასპეციალებული იყო შინაური ცხოველების ჭამაზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. თვით ნაკრძალებშიც კი, სადაც ჩვეულებრივ ბევრი გარეული ჩლიქოსანია, შინაური პირუტყვის წილი მათ რაციონში მნიშვნელოვანია. მაგალითად,ბორჯომისნაკრძალშიმტაცებელთა წლიურ კვებაში შინაური ცხოველები შეადგენენ 28,9%-ს, ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულში – 60-70%-ს. ისინი პირუტყვებს ხოცავდნენ არა მხოლოდ საძოვრებზე, არამედ სოფლებთან ახლოსაც.“

სტატიის დასასრულს, თავს შევიკავებ დასკვნებისაგან და ჟურნალის მკითხველს დავუსვამ შეკითხვას: სად გადის ზღვარი ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ადამიანის უფლებების დაცვასა და უსაფრთხოებას შორის?

The number of wolves is a matter of self regulation due to the quantity of potential victims. AS a result, there is a harmony among all elements of nature: wolves have a regular reach to food, population of wild ungulate mammals becomes healthier (because wolves mainly hunt defective, sick animals) and green zones are safe from destruction due to controlled quantity of ungulates.

Ever since the wolves added domestic cattle to their "menu," they have regulated their quantity according to the sum of ungulate mammals and the amount of available domestic animals within its reach. In developed countries, the overall quantity of domestic cattle exceeds the number of wild ungulates ten, or even hundred times, hence, the latter has significantly disproportioned the balance of the wolves.

Potential food sources for wolves in Georgia consist of 6 million domestic animals and 20-30 thousand wild ungulates. This is why wolves multiply on the expense of domestic cattle owned by locals. This makes wolves 99% into parasites and only 1% as a "nature sanitar". Otherwise, wolves would regulate their quantity to 200-300 units (corresponding to the number of 20-30 thousand wild ungulates).



# კლუბები

## მონადირეთა და მეთევზეთა კლუბი “ბაზიერი”

საქართველო ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით მდიდარია. ამ მხრივ ნადირობაც არ გახლავთ გამონაკლისი. საქართველოში ნადირობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ადამიანის გაჩენის დღიდან ნადირობა, მომპოვებლობა მისთვის ჩვეული საქმიანობაა. დღეს აღარ არსებობს საჭიროება ნადირობის, როგორც საკვების მოპოვების ერთ-ერთი საშუალებისა, აღარ არის საჭირო ნადირობა არსებობისთვის, მაგრამ ქართველი მამაკაცების უმეტესობას საჭურვლისა და ნადირობის სიყვარული მაინც აქვს გენში, ოღონდ, ერთი ეგ არის, რომ ამ “სიყვარულს“ მათი უმეტესობა მახინჯი ფორმით გამოხატავს, რადგან ჰგონია, რომ ნამდვილი მონადირეობა და ნადირობა აუცილებლად თოფის ბათქაბუთქს ნიშნავს! დღეს, ამ მხრივ, ძალიან ცუდი სიტუაციაა საქართველოში! არ არსებობს სამონადირეო კანონმდებლობა! არ არსებობს არანაირი მაკონტროლებელი ინსტიტუტი!

ბოლო წლებში ძალიან მომრავლდნენ არამკითხე, უწიგნური გარემოს დამცველები! მოკლედ, არსად არ არის ისე დაულაგებელი და მიგდებულ-მივიწყებული ნადირობა და ბუნება, როგორც საქართველოში!

მონადირეთა კლუბები და გაერთიანებები ცდილობენ სიტუაციის გამოსწორებას, უწევენ პროპაგანდას სწორ და კულტურულ ნადირობას, ცდილობენ ებრძოლონ ბრაკონიერობას, ცდილობენ ხმა მიაწვდინონ და გონივრული რჩევები მისცენ მათ, ვისაც პირდაპირ ევალება ფლორა-ფაუნის დაცვა, მაგრამ “ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის”. დღეს აღარ არსებობს სხვაობა მონადირესა და ბრაკონიერს შორის! რაც უნდა კარგი და პატიოსანი მონადირეები ვიყოთ, ვიღაცა არამკითხე „ბუნების დამცველი” მაინც მკვლელებად და არაადამიანებად შეგვრაცხავს!

მონადირე ვარ და მთელი გულით მიყვარს ჩემი სამშობლოს ბუნება! გრანტიჭამია “გარემოს დამცველი” ჩემზე უკეთ ვერასდროს დაიცავს ჩემი სამშობლოს ფლორა-ფაუნას, რადგან მე ყოველგვარი გრანტ-ტრანშ-ხელფასის გარეშე მტკივა და მიყვარს ჩემი ბუნება!

გიორგი სარიშვილი

## მონადირეთა და სპორტული სროლის მოყვარულთა კლუბი „ჩუბინი“

დედაბუნების მოყვარულნო! გილოცავთ ახალი ჟურნალის, „ველური ბუნების“, დაბადებას. მიუხედავად სოციალური ქსელებისა და ინტერნეტ-ფორუმების არსებობისა, ბეჭდვით ორგანოს მაინც სულ სხვა დატვირთვა აქვს. წიგნისა თუ ჟურნალის კითხვისას ადამიანი სხვაგვარ სითბოსა და სიმყუდროვეს განიცდის.

საბჭოთა წყობილებისას, რამდენადაც მახსოვს, საქართველოში მსგავსი ჟურნალი არ იბეჭდებოდა. მხოლოდ 2003 წელს გამოიცა პირველი ქართული ჟურნალი „ნადირობა“ (რედ. დ. ცხვედიანი), ხოლო 2013 წელს გამოვიდა მაღალპოლიგრაფიული მეორე ჟურნალი „ნადირობა და თევზაობა“ (რედ. კ. ციხისელი). სამწუხაროდ, დღეისათვის ორივე ჟურნალი დახურულია. არადა, მსგავსი ჟურნალების არსებობა ქვეყნისა და საზოგადოების მაღალი განვითარების მანიშნებელია.

ძალინ ბევრი საჭირბოროტო საკითხი დაგროვდა ნადირობის, თევზაობისა და, ზოგადად, ჩვენი ბუნების გარშემო. იმედია, რომ ამ ჟურნალში დაბეჭდილი წერილები და ჯანსაღი დისკუსიები სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ „ველური ბუნების“ რედაქციის თანამშრომლებს, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

პრეზიდენტი: ლევან ახმეტელი

# საერთაშორისო საფარი კლუბი კავკასია

2008 წელს 40–მდე ქართველი და ასევე საქართველოზე შეყვარებული რამდენიმე უცხოელი მონადირე შეიკრიბა და დააარსა კლუბი, რათა ადამიანთა ჯგუფს, რომლებსაც ჰქონდათ საერთო ინტერესები და მისწრაფებები, შესძლებოდა გაერთიანებული ძალებით, ერთმანეთის მხარდამხარ შრომით გაეუმჯობესებინა გარემოც და არსებული შესაძლებლობებიც.

ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ გათითოკაცებული საზოგადოება, რომელიც დაყოფილი იყო სხვადასხვა ჯგუფებად და კლუბებად, საერთო სურათს ვერ შეცვლიდა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინერციაზე მიშვებული დარგი კი ნადგურდებოდა და ასე გაგრძელების შემთხვევაში არათუ სანადირო ადგილები, არამედ ნადირ–ფრინველიც გაქრებოდა. 2011 წელს კლუბი გაწევრიანდა მსოფლიო სამონადირეო საზოგადოების ლიდერ ორგანიზაციაში SCI (Safari Club International) და ამავე წელს მისივე ინიციატივით შეიკრიბა საქართველოში იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა სამონადირეო კლუბი, ასოციაცია და ფედერაციები და შეიქმნა საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაცია, რათა ერთიანი ძალისხმევით სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვლილიყო.

2012 წელს ფედერაციამ გამოსცა ყოველთვიური ჟურნალი „ნადირობა და თევზაობა“, რომლის საქმესაც აგრძელებს დღეს დაარსებული ჟურნალი „ველური ბუნება“.

ჩვენი კლუბი მზად არის როგორც ინტელექტუალური, ასევე ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს აღნიშნულ ჟურნალს.




# საქართველოს მონადირეთა ლეგიონი

მოგესალმებით მეგობრებო!

სასიამოვნო და სასიხარულოა ჟურნალ “ველური ბუნების“ ხილვა დღევანდელი საქართველოს მედიასივრცეში. ალბათ დროულია ასეთი ჟურნალის გამოსვლა, ვინაიდან ქვეყანაში ნადირ-ფრინველთა, გარემოსდაცვით და ნადირობა-თევზაობის სფეროში ბევრი საჭირბოროტო საკითხი დაგროვდა, რაც არა მარტო სახელმწიფო ორგანოების საზრუნავია, არამედ საზოგადოების აქტიურობასა და ჩართულობას მოითხოვს. არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ფაქიზ მიდგომასა და ყურადღებას საჭიროებს. გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა სპონსორსა და ორგანიზაციას ამ კეთილი საქმის მხარდაჭერისთვის. საქართველოს მონადირეთა ლეგიონი წარმატებებს უსურვებს სარედაქციო კოლეგიას. დარწმუნებულები ვართ, რომ პროფესიონალებისაგან შემდგარი ჯგუფი ჩამოაყალიბებს სწორ სარედაქციო პოლიტიკას. იმედი გვაქვს, ექსპერტებისა და თავისი საქმის უბადლო სპეციალისტების მოწვევით, მათი მოსაზრებების მკითხველისათვის გაცნობის გზით მოახერხებთ საზოგადოებაში სწორი პოზიციის ფორმირებას. გვინდა წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მეგობრებს ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში, ხოლო ჟურნალს – საინტერესო, მრავალფეროვანი სტატიების სიუხვე და ერთგული მკითხველის ფართო აუდიტორია.

წარმატებებს გისურვებთ მთელს კოლექტივს!

This section enables all hunting clubs registered and functioned in Georgia to express views on the developments of the hunting business as well as on the published materials. Safari Club International Caucasus provides a short information on its developments, that directly links to establishing this magazine. Hunter's and Fishermen's Club Bazieri speaks up of the unsystematic developments in the hunting business and expresses concern over the competence of the NGO sector involved in wildlife protection, and the real objectives behind. Georgian Hunters Club Legion welcomes and underlines the importance of the very timely managed magazine, and express gratitude to all counterparts and organizations supporting the periodical publication. Amateur Hunters and Sport Shooting Club Chubini shares its view on the advantages of published materials amidst of social media era. The printed media provides yet another comfort for better assuming and recognizing the issue under the cover.

# ნადირობის ბიოლოგის კუთხე

*იოსებ ღუტიშვილი*



ამ რუბრიკაში ჩვენ ვიწყებთ ველური ბუნების წიაღში შესვლას და მის ცოცხალ სამყაროს სიმდიდრესთან ზიარებას. საქართველო ველური ბუნებით მდიდარია და გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტებით, რაც, თავის მხრივ, ფლორის, ფაუნის, გეოგრაფიული მდებარეობისა და დედამიწის რელიეფის დამსახურებაა. რაც შეეხება ადამიანის ფაქტორს, ველური ბუნების ჩამოყალიბებაში უარყოფითის გარდა არავითარი სხვა დამსახურება არ მიუძღვის. ანუ ბუნება წარსულში უფრო მომხიბვლელი, მრავალფეროვანი და თვალთწარმტაცი იყო. მაგრამ დღეს ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ამჟამად ჩვენ გვაქვს ის, რაც გვაქვს და საჭიროა ვეცადოთ გავითავისოთ ის რეალობა, რომელიც ჩვენ გარშემოა. ამის შემდეგ ჩვენი ნებისმიერი ნაბიჯი ველურ ბუნებასთან ურთიერთობისას უნდა იყოს ზომიერი და ზედმიწევნით შესწავლილი, რათა თავიდან ავიცილოთ ველური ბუნების შემდგომი კარგვა და განვახორციელოთ ხელშემწყობი მოქმედებები წარსულში არსებული ველური ბუნების თვითაღდგენისათვის. ამ საქმიანობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას მიეძღვნება ამ ჟურნალში ჩვენი კუთხე.

ვინ არიან ისინი, ვინც ველურ ბუნებასთან ურთიერთობის საქმეში საზოგადოებრივ აზრს ქმნიან? სწორედ ამ ადამიანებს შორის არის საჭირო ველური ბუნების რიგ საკითხებზე ბოლომდე იყოს მიღწეული კონსენსუსი ფუნდამენტურ ხედვებზე:



1. ველური ბუნების არსებობა;
2. ველური ბუნების სახეობათა რეინტროდუქციის ფორმები;
3. ველური ბუნების დაცვისა და შენარჩუნების ფორმები;
4. ველური ბუნების აღწარმოების ფორმები;
5. ველური ბუნების მდგრადი სარგებლობის ფორმები.

ზემოთ აღნიშნული ყველა პუნქტი მნიშვნელოვანია, თუმცა საკითხების ზოგად განხილვას დავიწყებთ მეხუთე პუნქტიდან და შემდგომ ეტაპობრივად შევეხებით დანარჩენებს. რატომ გადავწყვიტე განხილვა დავიწყო ველური ბუნების მდგრადი სარგებლობის ფორმებიდან? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებისათვის იგი უფრო აქტუალურია და მნიშვნელოვანი. ამიტომ განხილვისას ეტაპობრივად ჩავწვდებით სხვა პუნქტების სიღრმეებს.

ველური ბუნების მდგრადი სარგებლობის ფორმებიდან ვირჩევთ ფაუნის მდგრად სარგებლობას და, კერძოდ, სანადირო სახეობებს.

## სანადირო სახეობები

რა ფორმები არსებობს საქართველოში სანადირო სახეობების მდგრადი სარგებლობისა და როგორ ხდება მათი რეალიზება? დღეს ჩვენ ამ საკითხის განხილვით დავიწყებთ.

ზედაპირულად თუ შევხედავთ საკითხს აღმოვაჩენთ, რომ საქართველოში სანადირო სახეობების მდგრადი სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობებზე დღეისათვის არსებობს 17 სამონადირეო მეურნეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარკვეულ პერიოდში 28 სამონადირეო მეურნეობა არსებობდა და რიგი მათგანი დროთა განმავლობაში გაუქმდა. გაუქმების მიზეზი შეიძლება იყოს ის მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიც არის დარჩენილი სამონადირეო მეურნეობები. არსებული სიტუაცია კი შემდეგია: საქართველოში არ არსებობს სანადირო პოლიტიკა და სტრატეგია. ასევე არ არსებობს ნადირობის მაკოორდინირებელი ორგანო არც ცენტრალურ და არც მუნიციპალურ-რეგიონალურ დონეზე.

ნადირობის სისტემისა და სტრუქტურის არარსებობა სამონადირეო საქმიანობაში იწვევს ქაოსსა და გაუგებრობას. თვითდინებაზე მიშვებული ნადირობის რეგულირების საკითხები ხელს უშლის ცოცხალი ველური ბუნებით მდგრად სარგებლობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ამუშავებს და დამტკიცებისთვის ამზადებს საქართველოს ტყის კოდექსს, ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონს, მისივე თხოვნით სამონადირეო საკითხების მოგვარებაში ჩართულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია - FAO. სანადირო სახეობათა მდგრადი სარგებლობა სრულიად დამოკიდებულია საქართველოს ნადირობის შესახებ კანონზე, საქართველოს ტყის კოდექსზე, ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონსა და თევზაობის და თევზჭერის კანონზე. საქართველოში არსებული პრაქტიკა, რომელიც უკავშირდება კანონებზე მუშაობასა და მათ მიღებას, მიგვანიშნებს იმაზე, რომ კანონები, რომლებიც უკავშირდება ველური ბუნების მდგრად სარგებლობას, მიიღება ცალ-ცალკე და არ ხდება მათი განხილვა ერთ პაკეტში, თუმცა მისაღები კანონები სამართლებრივ-იურიდიულ ფარგლებში შესაბამისობაში მოდის სხვა კანონებთან.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 17 სამონადირეო მეურნეობა, თავისი დანიშნულების მიუხედავად, ვერ აკმაყოფილებს სანადირო რესურსების მდგრადი სარგებლობის მოთხოვნებს, რაც ზემოთ აღნიშნული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით არის განპირობებული.

ვინაიდან ჩვენ ვეხებით სანადირო სახეობებს, უპრიანი იქნებოდა განგვეხილა, თუ რა მოიაზრება სანადირო სახეობებში. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 1 სექტემბრის N175 ბრძანების შესაბამისად, ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების (გარდა გადამფრენი ფრინველებისა) სახეობებია:

1. ძუძუმწოვრები
1.1. ნუტრია (Myocastor coypus)
1.2. კურდღელი (Lepus europaeus)
1.3. მაჩვი (Meles meles)
1.4. ტყის კვერნა (Martes martes)
1.5. ქვის კვერნა (Martes foina)
1.6. მგელი (Canis lupus)
1.7. ტურა (Canis aureus)
1.8. მელა (Vulpes vulpes)
1.9. ენოტისებური ძაღლი (Nyctereutes procyonoides)
1.10. ტყის კატა (Felis silvestris)
1.11. გარეული ღორი (Sus scrofa)
1.12. შველი (Capreolus capreolus)
1.13. ენოტი (Procyon lotor)
2. ფრინველები
2.1. ხოხობი (Phasianus colchicus)
2.2. კაკაბი (Alectoris graeca)
2.3. დურაჯი (Francolinus francolinus)
2.4. გნოლი (Perdix perdix)









როგორც ვხედავთ, მინისტრის ბრძანებაში განსაზღვრულია ცხოველთა ის სახეობები (გარდა გადამფრენი ფრინველებისა), რომლებზეც ნადირობა დაშვებულია. საქართველოში სანადირო ცხოველთა სახეობების ჩამონათვალი გაცილებით მეტია. შემდეგ ნომრებში საქართველოში სანადირო ცხოველთა თითოეულ სახეობას ფართოდ მიმოვიხილავთ.

The corner of Hunting Biologist

The Author invites us in the lap of nature and shares its rich and lively world. He points out that the factor of humanity has contribution of nothing but negativity in the realm of wild nature development, meaning the nature was much more varied, beautiful and captivating before. In his opinion, consensus is necessary around the issues of wildlife, around its existence first of all, reintroduction of species, protection and preservation, reproduction and forms of sustainable use. The author also analyses the current situation and perspectives of hunting objects and licensed hunting grounds in Georgia. At the end of the article, he announces detailed discussions on each hunting object for the following issues of magazine.



# ბაზიერი

ბაზიერობა (დამჭერი მტაცებელი ფრინველებით ნადირობა) უძველესი და ურთულესი პროფესიაა. ათასწლეულების მანძილზე მრავალი ერი ავითარებდა ბაზიერობის ხელოვნებას, მათ შორის ქართველ ერსაც მიუძღვის წვლილი. ქართული საბაზიერო სკოლა უნიკალურია მსოფლიოში, რაზეც მეტყველებს არა მხოლოდ თანამედროვე ბაზიერების დამოკიდებულება საქმის მიმართ, არამედ ჩვენი კლუბის მიერ მოპოვებული ისტორიული მასალები, ძირითადად ძველი ხელნაწერები, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს სხვადასხვა მტაცებელი ფრინველის მოვლა-მკურნალობის შესახებ.

მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი იუნესკოს მიერ მინიჭებული აქვს ზოგადად ბაზიერობას. 2016 წელს „საქართველოს ბაზიერთა კლუბის“ ძალისხმევით მოძიებულ და გადაგზავნილ იქნა მასალები, საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში, რის საფუძველზეც ქართულ ბაზიერობას მიენიჭა არამატერიალური, კულტურული ძეგლის სტატუსი. დღესდღეობით ჩვენი კლუბის მიზანი და მიმდინარე სამუშაო არის, ქართული ბაზიერობის წარდგენა იუნესკოში საერთაშორისო ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად.

არსებული წარმატებების ფონზე, საქართველოში ბაზიერობის განვითარებას საკმაო პრობლემები აქვს კანონმდებლობის მხრივ. კერძოდ, კანონმდებლობიდან გამომდინარე ყველა ქართველი ბაზიერი ბრაკონიერია, რადგან არამარტო მტაცებელი ფრინველების, არამედ მათ დასაჭერად საჭირო ფრინველების (ღაჟო, მტრედი დ აა.შ) მოპოვება აკრძალულია და ეს მაშინ, როდესაც სამკუთხა ბადით და ღაჟოთი მტაცებლის ჭერა სუფთა ქართული უძველესი ტრადიციაა, რაც მსოფლიო საბაზიეროს მიერაც არის აღიარებული. ბევრ უცხოელ ბაზიერს დიდი სურვილი აქვს ჩამოვიდეს საქართველოში და ძველი ქართული მეთოდით მიმინოს ჭერაში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ არსებული კანონმდებლობის გამო ბევრ ტურისტს ვკარგავთ.







გარდა ამისა, ბაზიერთა შეჯიბრებები საქართველოს მასშტაბით ბოლო წლების განმავლობაში აღარ ტარდება უსახსრობისა და სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობის გამო. არადა, ეს ხომ ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობაა. ჩვენი ძალებით მცირერიცხვოვან ბაზიერთა ჯგუფები თბილისსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ვახერხებთ ჩვენი ხელოვნების დემონსტრირებას, ისიც ვიწრო წრეში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ერთ–ერთი უძველესი ქართული ტრადიციაა და ამ ლამაზ სანახაობას არა მარტო ბაზიერებმა, არამედ ყველა მსურველმა უნდა უყუროს.

ერთი მხრივ, ბაზიერობას იცავს კანონი, როგორც არამატერიალურ კულტურულ ძეგლს, მეორე მხრივ, გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, ფაქტობრივად, კრძალავს ბაზიერობას, იმედია ამ გაურკვევლობას ახლო მომავალში ბოლო მოეღება.

„საქართველოს ბაზიერთა კლუბი“

## A Falconer

Falconry – (hunting with trained birds of prey) is an ancient and complex professional practice. Through centuries, many nations have developed the art of falconry, including Georgians. Georgian school of falconry is unique in the world. Historical materials obtained by the club (mostly ancient manuscripts), can actually be represented as a scientific work, containing in-depth information on care and treatment of various birds of prey.

In 2016, Falconry club of Georgia sent some research materials to National Agency for Cultural Heritage Preservation, based on which, Georgian falconry was announced as a monument of intangible cultural heritage.

However, in the context of existing legislation, all Georgian falconers are technically poachers, because procuring these birds is officially forbidden.

On one hand, the practice of falconry is protected by law, as a monument of intangible cultural heritage, and on the other hand, the legislation of environmental protection is forbidding it entirely. Hopefully, this uncertainty will be clarified in near future.



# ZVIRFASI SANADIRO TOFI

ძვირფასი სანადირო თოფი

ლევან ყარსაშვილი

მონადირისთვის ყველა თოფი ძვირფასია. ძალიან ხშირად სანადირო თოფი განუყრელ მეგობრად იქცევა ხოლმე მფლობელისთვის. არ აქვს მნიშვნელობა ბრენდს, მოდელსა და ღირებულებას, უბრალოდ, კარგად აქვს მორგებული და უამრავი სასიამოვნო მოგონება აკავშირებს მასთან. თუმცა ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გარდა, ყველასთვის ცნობილია, რომ არსებობს განსაკუთრებულად დამზადებული და ხელნაკეთი სანადირო იარაღიც. ეს კი მარტივად არ მოსულა დღევანდელობამდე. დღეს არსებულ ძვირფას სანადირო იარაღს ეს სახე რომ მიეღო, რამდენიმე ასწლეული და უამრავი ექსპერიმენტი დასჭირდა. ალბათ არ იქნება სადავო, რომ ადამიანი ყოველთვის მიდრეკილი იყო ესტეთიკური მხარისადმი. ეს გამოიხატება ნებისმიერ წარმოებასა და ინდუსტრიაში. არც სანადირო იარაღია გამონაკლისი. უძველესი დროიდან მოყოლებული ადამიანი ყოველთვის ცდილობდა რაიმე მიემატებინა და ლამაზად შეემკო თავისი იარაღი, იქნებოდა ეს მშვილდი თუ შუბი. სავარაუდოდ, აქედანვე მოდის სასაჩუქრე ვარიანტებიც. ბელადები და დამსახურებული მეომრები თუ მონადირეები განსაკუთრებით შემკულ იარაღს ფლობდნენ (რაც არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება). ეს ტენდენცია უცვლელად გაგრძელდა მოგვიანო პერიოდშიც უკვე ცეცხლსასროლ იარაღზე. გაჩნდა მოთხოვნა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებისგან, თავადაზნაურობისა და, უბრალოდ, მდიდარი ადამიანებისგან. ისინი უკვეთავდნენ განსაკუთრებით ძვირფას და საიმედო იარაღს ძირითადად ან სასაჩუქრედ ან საკუთარი სიამოვნებისთვის. ამან კი გამოიწვია აღნიშნული დარგის სწრაფი განვითარება. გაჩნდა უამრავი ფირმა და წარმოება, მათ შორის ძალიან ბევრი დღეისთვის უკვე ლეგენდარული.

ასეთ თოფებს შორის უძველესად ბერეტა მიიჩნევა. არსებობს დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ პიეტრო ბერეტას, ქალაქ ბრეშიას მახლობლად, დაუფუძნებია ფირმა, სადაც იგი ლულებს ამზადებდა. დოკუმენტი თარიღდება 1526 წლით. ხოლო მის მემკვიდრეს, ჯოვანი ბერეტას უკვე თოფების წარმოება დაუწყია. ზოგადად, სანადირო თოფმა განვითარების ძალიან რთული ეტაპები განვლო. დაწყებული უმარტივესი, ეგრედ წოდებული ფილთა თოფიდან, დღეს არსებული ურთულესი სისტემებით დამთავრებული. 3000-ზე მეტი სისტემაა შექმნილი ამ დროის მონაკვეთში. თუმცა ამ დარგის აყვავების ხანა იყო მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე–20 საუკუნის პირველ ნახევრამდე. სწორედ ამ პერიოდში ეძლევა სანადირო თოფს ის სახე, როგორითაც დღეს გვხვდება. ზოგიერთი სისტემა გაცილებით მარტივი, თუმცა პრაქტიკულად გამართლებული გამოდგა. მაგალითად ენსონის და დილის სისტემა, ეგრედ წოდებული ბოქსლოკი, თავისი ტექნიკური მახასიათებლებით, სანდო, მაგრამ შედარებით მარტივი და, აქედან გამომდინარე, იაფიც, მეტად წარმატებული გამოდგა. სწორედ ამიტომ ფართოდ გავრცელდა. ძალიან ბევრი ცნობილი ბრენდი იყენებდა ამ სისტემას შედარებით იაფფასიანი თოფებისთვის. თუმცა არსებობს იშვიათი გამონაკლისებიც, როდესაც ძალიან ძვირფასი თოფები დამზადდა. მაგალითად, ნიკოლოზ მეორის ლებო–კურალი, 20 კალიბრის.

როდესაც მეიარაღეს უკვეთავდნენ ძვირფას თოფს, რა თქმა უნდა, ის ამზადებდა ყველაზე ძვირფასი სისტემით და მასალებით. მსგავს ძვირფას სისტემას, შეიძლება ითქვას, ლეგენდარულსაც, წარმოადგენდა ფრედერიკ ბიზლის მიერ შექმნილი სისტემა, რომელიც ჯეიმს პერდემ შეიძინა და მხოლოდ ამ სისტემაზე ამზადებდა თოფებს (თუ არ ჩავთვლით ჩახმახიან ვარიანტებს). ეს ურთულესი და უნიკალური სისტემაა. გარდა სისტემის უნიკალურობისა, მზადდებოდა წარმოუდგენელი სიზუსტითა და სინატიფით. ასეთი დონის შესრულება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და მხოლოდ ხელით კეთდება. პარალელურად უნიკალური სისტემა შექმნა ჰოლანდმა, ერთი შეხედვით, უფრო მარტივი, თუმცა  გენიალური მიგნებით. პირადად ჩემი აზრით, ჰოლანდის მიერ შექმნილი სისტემის გაუმჯობესება უბრალოდ შეუძლებელია, იგი თავისი მონაცემებით სრულყოფილი სისტემაა. ყველაფერი ისეა განლაგებული, ასწლეულების მანძილზე რომ ვერ მოეძებნება ნაკლი და სუსტი წერტილი, რაც დაამტკიცა კიდეც თავისი არსებობის მანძილზე.

ასევე განსაკუთრებული და უნიკალური სისტემა აქვს შექმნილი თეოფილ ბრიტს. ამ სისტემასაც იყენებდნენ მეიარაღეები ძვირფას თოფებზე. მაგალითად, ლებოს აქვს დამზადებული ოთხი თოფი მისი სისტემით. დღეს ეს თოფები რარიტეტად ითვლება.

ზემოაღნიშნული გახლავთ ძვირფასი თოფის ერთი მხარე. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, სალულე ფოლადი უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული. როგორც წესი, მეიარაღები მაგ დროს უკვეთავდნენ ვიტვორტის ლულებს, რომლებიც ცალობით მზადდებოდა. ასევე შეფილდის ფოლადს, სახელწოდებით – „Toledo“; ასევე, ბელგიელები ძვირფას თოფებზე ძალიან ხშირად იყენებდნენ ვალრეინის და ლეგრანის ფოლადებს. საკონდახე მასალა უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული, რაც საკმაოდ დიდი ფუფუნება გახლავთ.









ასეთი სისტემებითა და მასალებით ნაკეთებ თოფს, რომელიც ხელით კეთდებოდა თვეების მანძილზე, რა თქმა უნდა, მხატვრული გაფორმებაც შესაბამისი უნდა ჰქონოდა. გრავირება, რომელიც ამ დონის თოფებზე კეთდებოდა, ნელ-ნელა ხელოვნების დონეზე ავიდა. სწორედ ამ მხრივ გამოირჩეოდა ისეთი ლეგენდარული იარაღის სახლები, როგორებიცაა: პერდე, ჰოლანდი, ვუდვარდი, ბოსი, ჩერჩილი, უილიამ ევანსი, სკოტი, გრინერი, ლებო□კურალი, ფრანკოტი, ფორჟერონი, ანტონინ დეფურნი, დეფურნი სევრინი, ბოტსონი, დიქსონი, მაკნაუტონი, ფორე ლე პაჟი, გასტინ რენე, იოჰან შპრინგერი, ბიტნერი, შტრემპელი, ლეგენდარული ლებედა, ნოვოტნი და სხვა მრავალი. აქ ჩამოთვლილი მეიარაღეებიდან ზოგიერთს ლომის წილი მიუძღვის თანამედროვე თოფის შექმნაში. მაგალითად, პერდეს მიერ შექმნილი ჩამკეტი ჩარჩო დღეს არსებული თოფების უდიდეს ნაწილზე გამოიყენება. ეს დიდი მეიარაღეები გარკვეულ კრიზისულ პერიოდებში ამზადებდნენ შედარებით იაფფასიან თოფებსაც, განსაკუთრებით დიდი წარმოების მფლობელები (ფრანკოტი, სკოტი, გრინერი). თუმცაღა, იმავე სკოტის „imperial premieri“ იმ დროის ყველაზე ძვირიან თოფად ითვლებოდა. თუ პერდეს თოფი 950 ფუნტი ღირდა, სკოტის □იმპერიალ პრემიერი“ 1075 ფუნტად ფასობდა. ეს (და არა მარტო) მეიარაღეები მაინც ელიტური თოფების შექმნაზე იყვნენ ორიენტირებულნი. მათი ნაკეთები უმაღლესი კლასის სანადირო თოფები აღარ არის უბრალოდ კარგი იარაღი - აქ იარაღი და ხელოვნება შერწყმულია.



A Precious Hunting Gun
All guns are precious for a hunter. Very often, a hunting gun becomes an inseparable friend to its owner. Neither a brand, nor a model or cost matters, it is just connected to a lot of pleasant memories and fits him/her perfectly over time, but apart from this being a universal truth, everyone knows that there are peculiarly crafted, handmade hunting weapons.






HOLLAND & HOLLAND

# FLY FISHING
## გაშოლტვით თევზაობა

ბოლო წლებია თევზაობის ეს სტილი ნელ-ნელა იკიდებს ფეხს საქართველოში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ასეთი თევზაობისთვის და, შესაბამისად, შეინიშნება მისი მიმდევრების მატებაც.

საქართველოში გავრცელებული აზრით, გაშოლტვით მხოლოდ კალმახს იჭერენ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამ სტილით შესაძლებელია ნებისმიერი თევზის დაჭერა, თუმცა არაფერი შეედრება ისეთი მტაცებელი თევზის ჭერას, როგორიცაა ორაგულისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, ნაკადულის კალმახი, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოში გადაშენების პირასაა, შეტანილია „წითელ ნუსხაში“ და მისი ბუნებიდან ამოღება ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. სწორედ ამიტომაც 2016 წლიდან გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ქვემდებარე ეროვნული საშენი მეურნეობის მიერ დაწყებულია უნიკალური პროექტი, რომელიც საქართველოს მდინარეებში ნაკადულის კალმახის აღდგენას ისახავს მიზნად.

დაიჭერე–გაუშვის პრინციპი ანუ რეკრეაციული თევჭერა:
საქართველოს მთავრობის დადგენილება №193
2016 წლის 22 აპრილი, ქ. თბილისი

„თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ:

„31. რეკრეაციული თევზჭერა – სპორტული თევზჭერის სახე (მათ შორის, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ კალმახზე) – თევზჭერის ობიექტის გარემოდან ამოღების გარეშე.“

თ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ კალმახზე რეკრეაციული თევზჭერა აკრძალულია პირველი ოქტომბრიდან პირველ იანვრამდე. (ქვირითობის პერიოდი)

მე-13 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) რეკრეაციული თევზჭერისას აკრძალულია:
ზ.ა) ბუნებრივი სატყუარას გამოყენება;
ზ.ბ) არასპორტული (ენის მქონე), ასევე ორეული, სამეული და მეტი ნემსაკვის მქონე თევზსაჭერი იარაღის გამოყენება თევზჭერის განმახორციელებელ ერთ პირზე;
ზ.გ) თევზზე მშრალი ხელით ან მშრალი ხელთათმანით შეხება; (ხელთათმანი უნდა იყოს სველი)
ზ.დ) თევზის ნაპირზე ამოყვანა ან მისი ხელში აყვანა, თუ ქვემოთ წყალი არ არის;
ზ.ე) თევზის სიმაღლიდან გადაგდება წყალში დაბრუნების დროს;
ზ.ვ) თევზის წყალში დაბრუნება მანამ, სანამ არ მოძლიერდება იგი თევზჭერის განმახორციელებელი პირის მიერ მისი წინ და უკან წყალში მოძრაობებით, რაც საჭიროა თევზის ლაყუჩებში წყლის გასატარებლად.“

სწერედ ასე გამოიყურება ე.წ. დაიჭირე–გაუშვის პრინციპი საქართველოში, რომელიც „წითელი ნუსხის“ სახეობას, კერძოდ, ნაკადულის კალმახს ეხება.

აღნიშნული ცვლილებები „საქართველოს გაშოლტვით მეთევზეთა კლუბმა“ მოითხოვა და მის განხორციელებასაც მიაღწია მთელს ცივილიზებულ სამყაროში ორაგულისებრთა მიმართებაში არსებულ რეგულაციებზე დაყრდნობით.

რატომ გახდა მსგავსი რეგულაციები საჭირო და რის საფუძველზე იქნა იგი საქართველოში მიღებული? მსგავსი რეგულაცია მიზნად ისახავს როგორც სპორტული თევზაობის განვითარებას, ასევე სათევზაო ტურიზმის ხელშეწყობას, რაც ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია და როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც სულ მალე ვიხილავთ ასეთ მეთევზეებს. განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული სათევზაო ტურიზმი, რაც ყოველწლიურად უამრავ მეთევზე-ტურისტს იზიდავს.

მეთევზეთა ეს კატეგორია, როგორც წესი, არასდროს აგემოვნებს თავის დაჭერილ თევზს. მათი მთავარი მიზანი მხოლოდ ღირსეული ნადავლის დაჭერა-გაშვება და ამის ამსახველი ფოტოს გადაღებაა. სპორტული თევზაობის მსოფლიო ჩემპიონატები ამ ქვეყნებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს.

რასაკვირველია, სანამ კანონზე მუშაობას დავიწყებდით, მანამდე შევისწავლეთ ეს საკითხი და ჩვენი უცხოელი მეგობრებისა და სათევზაო კლუბების დახმარებით ჩამოვაყალიბეთ ყველაზე მისაღები რეგულაცია, რომელშიც როგორც სპორტული მეთევზის, ასევე თევზის ინტერესებია მაქსიმალურად დაცული.

დაიჭირე და გაუშვი!
შოთა ჯოხაძე, საქართველოს გაშოლტვით მეთევზეთა კლუბის პრეზიდენტი



Author of this article joins the proponents for popularization of angling method termed as fly fishing and catch & release. Though these angling methods are widely used for any other species they prefer to hook a predatory fishes especially the brown trout belonging to the Salmon family and being on the Red List of endangered species of Georgia. Given the fact, and at the initiative of the Fly Fishing Clubs of Georgia the amendments was made to the respective Government's Order providing a clear guidelines for recreational (sport) fishing. The well articulated and assumed principles and sense of angling method as catch & release along with the growing trout farming business in Georgia provides a solid ground for restoring brown trout. The author expresses confidence that the increased number of brown trout attracts fishing tourists in the county.













# პრეჰისტორიული თევზაობა

შოთა კვარაცხელია

ალბათ ბევრს უოცნებია დროის მანქანაზე, ყველას თავისი მიზეზით... მე არ ვიცნობ არცერთ მეთევზეს, ვისაც თანამედროვე აღჭურვილობით ერთი ასი წლის წინ თევზაობაზე არ ეოცნებოს, იმ დროზე, როდესაც მდინარეები და ტბები თევზით იყო სავსე და თან – რა თევზით!

ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ასეთი დროის მანქანა გყავთ და სათევზაოდ მიემგზავრებით არა ასი, არამედ მილიონი წლის წინ. რთულია აღჭურვილობაზე რაიმე რჩევის მიცემა: იქ (უფრო სწორად, იმ დროში), სადაც ჩვენ თევზაობას ვაპირებთ, ისეთი გიგანტური მონსტრები ცხოვრობდნენ, რომ, დიდია ეჭვი, მეთევზე თვითონ აღმოჩნდეს ნადავლი. ამიტომ ყველაზე მძიმე კლასის ანკესებთან ერთად (არ მგონია, ასეთი კლასი არსებობდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ფანტასტიკის სფეროში შევიჭრებით ) თან ვიქონიოთ მსხვილკალიბრიანი შაშხანაც. თქვენით განსაჯეთ, ჩვენი ტროფეები იქნებიან არა მარტო თევზები, არამედ რეპტილიები და დინოზავრებიც კი!




მაშ ასე, შეიკარით უსაფრთხოების ღვედი, ჩვენი მოგზაურობა იწყება, პირველი გაჩერება 500 მილიონი წლის წინ, კამბრიული პერიოდის ზღვა. ცხოვრების ამ პერიოდში ჩვენთვის საინტერესო ფორმა მხოლოდ ფეხს იკიდებს დედამიწაზე და ზღვაში გვხვდებიან ტრილობიტები, ჭიები და სხვა პრიმიტიული ორგანიზმები. ამ დროს ჩვენი ინტერესი მხოლოდ ერთი არსებით შეიძლება შემოიფარგლოს - ანომალოკარისით. ეს არსება იყო მტაცებელი გიგანტური კრევეტი, რომელიც ერთროულად ჰგავდა კიბოს, ჭიას და კალმარს. მისი ზომა აღწევდა თითქმის 2 მეტრს. ანომალოკარისის საჭერად მძიმე ფსკერული, სატყუარად ტრილობიტი. ნადავლი მუზეუმს.

გადავინაცვლოთ 100 მილიონი წლით წინ, ანუ 400 მილიონით უკან სილურიული პერიოდის ზღვაში. პრიმიტიული თევზები გაჩნდნენ გვიან კამბრიულ პერიოდში, სწრაფადვე იმრავლეს და განიცადეს ევოლუციონირება. მათ ჯერ არ ჰქონდათ ყბის აპარატი, ამიტომ საკვებს იწოვდნენ შლამიდან. სავარაუდოდ, არსებობდნენ ჭიშები, რომელნიც ლეშის მჭამელნი იყვნენ და პარაზიტი ჭიშების არსებობაც არ არის გამორიცხული. ადრიან სილურის პერიოდში გაჩნდა თევზთა ჭიში, რომელსაც აკანტოდებს უწოდებენ. ეს გახლდათ პირველი მტაცებელი თევზი. იგი პირველი თევზია, რომელსაც უკვე აქვს ყბის აპარატი. მას მთელი პირი ბასრი და მრავალრიცხოვანი კბილებით აქვს სავსე. ასე რომ, ვფიქრობ, პირველ მტაცებელს პირველები სპინინგისტები შევერკინებით, სატყუარად მძიმე ფრიალა გვჭირდება, თორემ ვობლერს და სილიკონს დაგვიღეჭავს.

300 მილიონი წლის წინ (უფრო ზუსტად – 360–ის) დადგა თევზების ბატონობისა და უძლიერესი კატასტროფების ხანაც – ევროპა, ჩრდილო ამერიკა და გრენლანდია შეეჯახნენ ერთმანეთს. როგორც მიხვდით, ზუსტად ამ პერიოდშია ჩვენი მორიგი გაჩერება. დევონური ეპოქის წყლებში ბატონობენ პრიმიტიული ზვიგენები (მათი კბილების ზომა ჯერ სულ რაღაც რამდენიმე მილიმეტრია), აკანტოდები, ჯავშნიანი თევზები, მტევანფარფლიანები, ორგვარად მსუნთქავი თევზები და თევზმაგვარნი უყბოთა კლასიდან. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 10 მეტრიანი აგრესიული გიგანტი დუნკლეოსტეუსი. ეს

ჯავშნოსანი ბინადრობდა ოკეანეებში და იკვებებოდა მასზე მცირე თანამოძმეებით. მაინცდამაინც ნუ ითევზავებთ მასზე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ხომ იცით.

ქვანახშირის პერიოდი პირველი რეპტილიების გაჩენის დროა. თევზები სრულად ბატონობენ ოკეანეებსა და ზღვებში. ჩვენი მორიგი გაჩერება 200 მილიონი წლის წინ (უფრო ზუსტად – 280). ზვიგენების ჭერის მოყვარულთ ეს დრო ნამდვილად მოეწონებათ, აქ ხომ 2 მეტრიანი  პლევროკანტი ცხოვრობდა, რომელსაც თავზე ბასრი მახვილი ჰქონდა. აქაც გამოგადგებათ მძიმე ფსკარული, სატყუარად ამბლიფტერი. ზვიგენის ფარფლების უხა ცნობილი დელიკატესია, ასე რომ, დაჭერილებიდან ერთი მაინც დაიტოვეთ.

პერმული პერიოდის (240 მილიონი წლის წინ) ზვიგენების საჭერად მხოლოდ არასპორტული მეთოდები, კერძოდ, რკინის ტროსისგან მოქსოვილი ეკრანი გამოდგება, თქვენით განსაჯეთ, ამ ალოგიკური შესახედაობის თევზს აბა კიდევ რითი დაიჭერ?

ტრიასულ პერიოდში გაჩერებას საერთოდ მოვერიდოთ, თორემ აქ სწორედ ის შაშხანა გამოგვადგება,  თან რომ  გვაქვს წამოღებული.. ტრიასული პერიოდის წყლებში ხომ ნოტოზავრი მეფობს, 4 მეტრიანი, ძალიან აგრესიული რეპტილია, რომელიც ჭამს ყველაფერს, რისი გადასანსვლაც შეუძლია.

იურული ხანა წინამორბედს არაფრით ჩამოუვარდება აგრესიული მონსტრების წარმოშობით, ვშიშობ, შაშხანასთან ერთად ტანკიც უნდა წამოგვეყოლებინა. დაკოზავრი, დაუნდობელი 6 მეტრიანი მონსტრი, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ ნავს დაესხმებოდა თავს თუნდაც იმიტომ, რომ წარმოდგენა არ აქვს, ნავი რა არის

145 მილიონი წლის წინ, ცარცის პერიოდში, შევედით დინოზავრთა ბატონობის ეპოქაში. პატიოსანი მეთევზისთვის სრულიად სახიფათო დროა, აქ ჩვენ შეიძლება შეგვჭამონ, გაგვჭყლიტონ და დაგვასახიჩრონ როგორც წყალში, ასევე ხმელეთზეც. მოზოზავრთან შეხვედრას თუ ავცდებით, დიდ სიამოვნებას მივიღებთ ქსიფაკტინის ჭერით, მართალია, ის 6 მეტრი იზრდება და წყალში ჩავარდნის შემთხვევაში, სავარაუდოდ,  შეგვჭამს, მაგრამ რისკი ღირს, ის ხომ ყველაზე დიდი ძვლოვანი თევზია.

ამდენი სახიფათო თევზაობის შემდეგ დროში ერთი ნახტომიც გავაკეთოთ და გადავინაცვლოთ კაინოზოურ ეპოქაში,  სულ რაღაც 1,5 მილიონი წლის წინ. ამ ეპოქას ვერაფრით ავუვლით გვერდს, ვინაიდან სწორედ ამ დროს ბინადრობდა პლანეტის ისტორიაში ყველაზე დიდი ზვიგენი - მეგალოდონი. მეგალადონის საჭერად ჩვენ გამოგვადგება სამხედრო გემი სრული საბრძოლო აღჭურვილობით, ეს უძლიერესი მტაცებელი ხომ 20 მეტრს აღემატებოდა, ხოლო მისი ბასრი კბილები კი 30 სანტიმეტრი იყო.

ამით დავასრულოთ ჩვენი მოგზაურობა, ჩემი აზრით, 100 წლის წინ თევზაობა კარგი იქნებოდა, აი მილიონობით წლების წინ კი საინტერესო, მაგრამ – სახიფათო, ასე რომ ,დაუბრუნდეთ ჩვენს კარჩხანებს.



პ.ს.
თევზაობა ტროსისგან მოქსოვილი ეკრანით, შაშხანითა და სამხედრო გემით ჩვენი კლუბის წევრებისთვის მიუღებელია და მკაცრად განიკიცხება!

This article belongs to more of a fantastic genre category, where the author invites us to time-travel and imaginary fishing for the species that became extinct hundreds of  millions of years ago. Our Journey starts 500 million years back, by  fishing for Anomalocaris at the sea of Cambrian period. Along with traveling, our imaginary prey gets richer with species: acanthodians, which would be fought by heavy whirling, otherwise Wobbler  and Silicon would surely be chewed up.  Dunkleosteus, which was a 10-meter size armadillo, Pleurocanthus, which had an enormous sword on its head. Nothosaurus, 4 meter big aggressive reptile, Dakosaurus, which would neverefrain from attacking, Mosasaurus, which in case of a fisherman falling in the water – he would definitely be eaten alive, and lastly, the biggest shark in planet history – Megalodon, to catch it – we might need a full-armed military ship. In the end of the article, author mentions that fishing a million years ago would be fascinating, but a very dangerous experience.

# ინტერვიუ თენგიზ სეფიაშვილთან



ყველასათვის ცნობილი არქიტექტორი, მხატვარი, დიზაინერი და სკულპტორი თენგიზ სეფიაშვილი საკმაოდ გამოცდილი და პროფესიონალი მონადირეა. მისი ნადირობის თავგადასავლები განსაკუთრებული, საინტერესო და გამორჩეულია. ბატონმა თენგიზმა გაგვანდო თავისი უნიკალური გამოცდილების დეტალები, მოსაზრებები ნადირობის პროცესის შესახებ და წლების მანძილზე ნაგროვები შთაბეჭდილებები, რომლებმაც სერიოზული გავლენა იქონია მისი, როგორც ხელოვანის შემოქმედებაზე.

– *ბატონო თენგიზ, რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ მონადირე. რა ცხოვრებისეული გამოცდილება მოგცათ ნადირობამ?*

*თენგიზ სეფიაშვილი:* რა მომცა და, პირველ რიგში, სულის თავისუფლება. შენს თავზე ხარ დამოკიდებული. ნადირობა საკუთარ თავთან გამუდმებული ჭიდილი და გამოცდაა. ნადირობისას ბევრი ნიუანსი და ხასიათის შტრიხი მჟღავნდება. რა შეგიძლია, რაზე ხარ პასუხისმგებელი. ძალიან დიდი სიძლიერე მომცა და ბევრი რამ მასწავლა. ყოველთვის, როცა ცუდად ვიყავი, ამას გამოვყავდი. მახსოვს, ერთხელ მოსკოვის საავადმყოფოში ვიწექი და ერთადერთი, რასაც ხასიათზე მოვყავდი, ნადირობაზე ფიქრი იყო. ყველას უკვირდა, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. ნადირობისას ადამიანის სული თავისუფლდება კომპლექსებისგან, შიშებისგან, ყველაფრისგან. მთელი შენი შინაგანი ბუნება იქ სარკესავით ჩანს.

- *ნადირობის ხანგრძლივი სტაჟი გაქვთ და ალბათ ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო ცხოვრება გექნებათ გავლილი.*

*თენგიზ სეფიაშვილი:* საკმაოდ საინტერესო მონადირის ცხოვრება მაქვს გავლილი. ჯიხვზე, დათვზე, ღორზე, კაკაბზე, ყველა მნიშვნელოვან ნადირსა თუ ფრინველზე მინადირია. ყველგან ვმონაწილეობდი და თან ძალიან მიმართლებდა – ნადირობისას თუ ვერ მოვკლავდი, დანახვით მაინც ვხედავდი. შეიძლება ვერ მომეკლა, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი საკუთარი თვალით მყავს ნანახი.

იმ პერიოდში, როცა ნადირობა დავიწყე, პრაქტიკულად არაფერი გვქონდა. არც მანქანა გვყავდა. პირველივე შემხვედრ სატვირთოს შევახტებოდით ბიჭები, ზურგჩანთებს დავყრიდით და ისე მივდიოდით. კაცმა არ იცოდა, ან სად მივდიოდით, ან როდის ჩამოვიდოდით. ყველგან დავდიოდით. პამირის მთებშიც ვარ ნამყოფი. სამი სეზონი თუშეთშიც გავატარე, მეცხვარეებთან ერთად.

- *თქვენი გამოცდილებით, რომელ ცხოველზე ნადირობაა ყველაზე სახიფათო და რთული?*

*თენგიზ სეფიაშვილი:* ნადირობისას ასე ვერ გაიგებ, დიდ ნადირს არ დავუშავებივარ, მაგრამ კაკბის გამო ხევიდან გადავვარდი და მთელი ერთი წელი თაბაშირში გავატარე. არადა, ძნელი წარმოსადგენია თითქოს, კაკაბზე ასეთი რამ რატომ უნდა მოგივიდეს? მაგრამ ჩამოვვარდი, ქვა, რაომელსაც ხელი მოვკიდე, მოწყდა და ზედ დამეცა.

ერთხელ, მახსოვს, მე და ერთი ახალგაზრდა ჩეჩენი ბიჭი ვიყავით წასულები. მე ე.წ. „ცენტრალკა“ მქონდა წაღებული, იმას – კარაბინი. ერთმანეთისგან 50 მეტრის მოშორებით ვიყავით. იქვე მოცვის ბუჩქი დავინახე. მივადექი და ჭამა დავიწყე. რაღაც ხმაური გავიგონე, გადავწიე ბუჩქი და იქიდან დათვმა გამოყო თავი. მოკლედ, 10 მეტრში ავაცილე. არადა ასეთი რამე არ ხდება, მაგრამ ბედი, რომ არ მოვარტყი.



მეტიც, იმ ჩეჩენმაც ააცილა. იმდენად მოულოდნელი იყო და იმდენად ახლოს იდგა, რომ გონზე ვერ მოვედით. ჩვენი ბედი, რომ არ მოხვდა, თორემ ამ მანძილზე ვერ მოვკლავდით და ცოცხალს არცერთს არ დაგვტოვებდა.

- *რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს მონადირე, რა აუცილებელი უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეს?*

*თენგიზ სეფიაშვილი:* ძნელია სხვას ურჩიო, როგორ მოიქცეს. მაგრამ არის რაღაცები, რაც უნდა გაითვალისწინოს. ერთხელ ჩამაბარეს მეგობრის ბავშვები. იქამდე არ იყვნენ სანადიროდ ნამყოფები და წინასწარ დავარიგე, რა და როგორ უნდა ექნათ. საღამოს, რა თქმა უნდა, სუფრა გაიშალა, ყველამ დავლიეთ და მეორე დილას ალბათ ხვდებით, რა დღეშიც ვიქნებოდი. მაგრამ ბავშვებს გულს ხომ არ დავწყვეტდი და მაინც წავყევი. შუა პროცესში ატყდა უცებ ყვირილი ტახი მოდისო. მე, ჯერ კიდევ ნასვამმა, რაღაც შავი დავლანდე, მივუშვირე თოფი და ვესროლე. აღმოჩნდა, რომ ჩემი მეგობრის ძაღლს მოვარტყი ფეხში. გადავყევით მერე იმ ძაღლს, ოპერაცია გავუკეთეთ და დიდხანს ვუვლიდით. რასაც ბავშვებს წინა ღამეს ვეუბნებოდი, თვითონვე დავარღვიე.

ბევრი თვისებაა, რაც მონადირეს უნდა გააჩნდეს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რომ არ უნდა იყოს სულსწრაფი და ხარბი. არიან ადამიანები, რომლებიც მთელი გზა გვერდით გისხედან და როგორც კი დანიშნულების ადგილზე მიხვალ, ისე გადახტებიან და გაიქცევიან, რომ არც კი დაგელოდებიან. ასე მოქცევა არ შეიძლება.

- *პირადად თქვენთვის რა არის ნადირობის პროცესში ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი?*

*თენგიზ სეფიაშვილი:* პირველ რიგში ის, რომ წარმოუდგენელ სილამაზეს ხედავ. მეორე არის ჭიდილი შენსა და მხეცს შორის. შენსა და ნადირს შორის თანაბარი პირობები უნდა იყოს. პირველად რომ მითხრეს ჯიხვზე ნადირობა ყველაზე რთულიაო, ძალიან გამიკვირდა. მაშინ სხვა კუთხით ვუდგებოდი, ვფიქრობდი, ჯიხვმა რა უნდა მიყოს-მეთქი. დათვი, ლომი ან მგელი მოგერევა, შეგჭამს. მაგრამ სანამ ჯიხვამდე მიაღწევ, იქამდე შეიძლება ასჯერ მოკვდე.

ერთხელ თუშეთში ვიყავი თბილისელ ბიჭებთან და ადგილობრივ თუშებთან ერთად. ვერტმფრენმა ალპურ ზონაში დაგვტოვა და წავიდა. დანარჩენებმა სიარული ვეღარ შეძლეს, ზოგს დაეზარა და მარტო მე წავედი. კლდეებზე ვიარე და ეს ზუსტად ერთ-ერთი ის მომენტი იყო, თქვენ რაც მკითხეთ. ამ შემთხვევამ უპირველესად სირთულეების გადალახვა მასწავლა. ნადირთან ჭიდილი იყო ყოველთვის მნიშვნელოვანი, მოკვლისა და ხორცისთვის არასოდეს მინადირია.







*- თქვენთვის, როგორც მონადირისთვის, თუ არის რამე მიუღებელი ნადირობისას და რა განსაკუთრებული ცხოვრებისეული გამოცდილება შეგძინათ ნადირობამ?*

*თენგიზ სეფიაშვილი:* ნადირობისას ადამიანის ყველა მინუსი ჩანს. როცა გაჭირვებაში ვარდება, საკუთარ ნამდვილ ბუნებას ვეღარ მალავს. ბევრისთვის შემინიშნავს ასეთი თვისებები და მათთან ერთად სანადიროდ არასოდეს ვყოფილვარ. ასეთ ადამიანთან არანაირი ურთიერთობა არ გინდა. ასევე სხვისი გამარჯვების დანახვა უნდა შეგეძლოს. ბევრი მინახავს, სხვას მოუკლავს ნადირი და თვითონ დაბოღმილა. ნადირობა ურთიერთობის სერიოზული ფილტრია. შეიძლება წლები იცნობდე ადამიანს და უცებ ისეთი თვისებები აღმოუჩინო, რომლებიც კატეგორიულად მიუღებელია. იქ რეგალიებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ან, შეიძლება, პირიქით მოხდეს– ისეთი ცხოვრების მეგობარი აღმოაჩინო, რომელიც ყოველთვის შენი საყრდენი იქნება.

*- თქვენს მრავალფეროვან თავგადასავლებში ალბათ არაერთი შემთხვევა მოიძებნება, რომელსაც დღემდე იხსენებენ თქვენი მეგობრები...*

*თენგიზ სეფიაშვილი:* ერთხელ ლაგოდეხის ტყეში ვიყავით. ზამთარში დავდიოდით სანადიროდ და დაგვიღამდა. ზოგი სხვაგან წავიდა, ზოგი გაიფანტა, მოკლედ, აირია მონასტერი. მე დავრჩი მარტო და არ ვიცოდი საით წავსულიყავი, პირველად ვიყავი იმ ტყეში. მაგრამ ინსტინქტურად ვხვდებოდი, რა

მიმართულება ამეღო. ვიცოდი, რომ ჩანჩქერს არ უნდა წავყოლოდი იმიტომ, რომ სადღაც გავიჭედებოდი. თან ყინავდა. ბევრი ვიძრომიალე, ჩამოვაღწიე რაღაც ტერიტორიაზე და მაყვლიანი რომ დავინახე, გული მომეცა. ვიფიქრე, უკვე დაბალზე ვარ-მეთქი. თან არც ფანარი და არაფერი არ მქონდა. უცებ ამ მაყვლიანში რაღაცას გამოვედე და სადღაც გადავფრინდი. დავეცი, როგორც იქნა, და ვხედავ, რომ თოფი არ მაქვს. როგორია? უთოფოდ როგორ უნდა ჩავიდე ქვემოთ. დავიწყე ამ სიბნელეში მაყვლიანებში ხელის ცეცებით თოფის ძებნა, როგორც იქნა, მივაგენი და დილისთვის ჩავაღწიე ქვემოთ. კოცონი რომ დავინახე, მივხვდი, ჩვენები იყვნენ. დღემდე ჩემი მეგობრები კვდებიან სიცილით, ყველაფერი გვინახავს, მაგრამ კაცს რომ სიარულისას ზემოდან გადაეგლიჯა ხელები, პირველად ვნახეთო. ხუმრობენ ხოლმე, ცოცვისას ხელები რომ დაეღალა, გადააბრუნა და ისე მოდიოდაო.

- *ბატონო თენგიზ, თქვენი ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვანმა ნაწილმა და გამოცდილებამ თქვენს შემოქმედებაზე თუ იქონია გავლენა და რა ფორმით აისახა?*



*თენგიზ სეფიაშვილი:* ბევრი ნამუშევარი მაქვს შექმნილი სწორედ აი ამ თემატიკაზე. იქ ისეთ რაღაცებს ხედავ და ისეთ მომენტებს იჭერ, რომლებსაც სხვაგან ვერსად ნახავ, რაც, თავისთავად, მოქმედებს, სხვა ემოციებს იწვევს. მუშაობა, ფაქტობრივად, ათი წლის წინ დავიწყე. იქამდე არქიტექტურისა და მშენებლობის განხრით ვმუშაობდი. სადღაც 250 ნამუშევარი ამ ბოლო 10 წელიწადში შევქმენი. მუშაობაც რეალურად ნადირობის პროცესმა მასწავლა. რომ გიჭირს და მაინც რომ უნდა მიაღწიო დასახულ მიზანს, ეს უკვე ხასიათში გადაგდის. მუშაობის პროცესიც საინტერესოა და ისევე ხდება, როგორც ტყეში, როცა არ იცი, ესა თუ ის ბილიკი სად მიგიყვანს, ტერიტორიას რომ არ იცნობ და ახალ გარემოს რომ იკვლევ, ზუსტად იგივეა. რაღაცას რომ ფიქრობ და შენთვის აკეთებ, ბოლომდე არა ხარ დარწმუნებული. აი, ეს ძიების პროცესი არის ცხოვრების აზრი.

- *და ბოლოს, რას ურჩევდით დამწყებ მონადირეებს?*

*თენგიზ სეფიაშვილი:* რაც შეიძლება მეტი იარონ. თუ არ მოკლავენ, ნადირს დაინახავენ და თუ ვერ დაინახავენ, ბუნებით მაინც დატკბებიან, რაღაც დროით ქალაქის საგიჟეთს გამოეთიშებიან. აქ ყველა ადამიანს ნიღაბი აქვს და ისეთ ხალხთან ურთიერთობა გიწევს, რომლებსაც ვერ ეგუები. სანადიროდ როცა მიდიხარ, იქ მხოლოდ ისეთები გახვევია გარს, რომლებსაც ბოლომდე ენდობი. იქ ბედნიერი ხარ და ამაში ხელს არავინ გიშლის.

ესაუბრა ნინა ჩაკვეტაძე

A well-known architect, artist, designer and sculptor, Tengiz Sephiashvili is an experienced and professional hunter. His adventures of hunting are interesting, exceptional and remarkable. Mr. Sephiashvili shared the details of his unique experience with us, his opinions on the hunting process and impressions, collected throughout many years, which have an enormous impact on his art.





# სამშობლო - კრებითი ცნებაა

ვაჟა გიგაშვილი



...სამშობლო არის ჯიში და ჯილაგი, მოდგმის უთვალავი თაობათა უწყვეტი ჯაჭვი, დინება... სიცოცხლის მუდმივი ესტაფეტა... სამშობლო ამ თაობათა ნამოქმედარ-ნაღვაწია... ლხინი და ჭირი, ნაფიქრი, ნაოცნებ-ნაბედი, ნაშენები და დანგრეული, ნამღერ-ნატირალი, ნაცეკვი, ნაქნევი ხმალი და გუთანი, მუდმივი შეუპოვარი ბრძოლა სამშობლოს შესანარჩუნებლად... და მიწა-წყალი... ადგილი, რომელიც უხსოვარი დროიდან მოგვენიჭა განგებამ და სადაც ცოცხლობს და ჩქეფს ყველაფერი ის, რასაც სამშობლო ჰქვია...

...ჩვენ, ქართველები, იმ ერთეულებათა რიცხვს ვეკუთვნით, რომლებიც პაპიდან-ბაბუდან ერთ ადგილზე, თავის მიწაზე ცხოვრობს...

...რატომაა "თავისი"?.. ანუ სხვადასხვის ნათქვამელი, ანუ "საკუთრების შეძენა-გაფორმებით" მოპოვებული არაა "თავისი"... "თავისია" მიწა, რომელიც არის თაობებისაგან შექმნილი... ეს არაა მეტაფორა... ეს მატერიალური რეალობაა... წინაპართა უთვალავი თაობა ჩადგმულა ამ მიწაში... ჩვენ ჩვენი წინაპრების მიწად ქცეულ ნეშტზე და ძვლებზე დავდივართ და ჩვენც აქ ჩავალთ... "მიწა ხარ და მიწად იქცევი" - ეს წყევლა არაა, დალოცვაა... "დედამიწავ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეთ"... რას ითხოვს პოეტი?.. მხოლოდ და მხოლოდ განგების ლიდი ყოფნის აღსრულებას - თავის წილში დაბრუნებას... ეს წილი ჩვენთვის მხოლოდ აქაა... სხვაგან არ არსებობს და ვერც იარსებებს...

...ამ მიწა-წყალზე ჩვენ გარდა ხომ ცოცხლობენ და ჩვენსავით ვიდრე თაობათა ესტაფეტას სხვა ცოცხალი არსებები - ნადირ-ფრინველი, მთელი ფაუნა... გავიხსენოთ, რომ ისინი ჩვენი სამშობლოს ნაწილს წარმოადგენენ...

...განგებამ შექმნა მუდმივი შეჯიბრი ცოცხალ არსებათა შორის... ამ შეჯიბრის მიზანია არა ვინმეს დამარცხება და განადგურება, არამედ პოპულაციათა სიჯანსაღისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება - გაძლიერება... განგებამ ჩვენც, ადამიანებიც, იმთავითვე ჩაგვრთო ამ შეჯიბრში... მაშინ დიახაც ნადირობაც - ადამიანის უძველესი პროფესიაა... მაგრამ ადამიანის გონება ისე განვითარდა, ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, ისეთი რამეები შექმნა და მოიგონა, რომ შეუძლია ამ შეჯიბრის წესსა და კანონს (რომლებიც ათასწლეულობით ჩამოყალიბდა ყველა - მგელიც და ცხვარიც) წუთში გადათელოს... შეუძლია თავად შეჯიბრის მოსპობაც (აბა, რა შეჯიბრია, ჯიხვს სათვალში ოპტიკურით გაეჯიბრო?..) უარესიც!.. ადამიანს შეუძლია ამ ცოცხალ არსებათა თავად საარსებო გარემოს მოსპობა და ამას აკეთებს კიდეც!.. (მაგალითად ჰარწმანიდან ამოჟლეტილი ვეფხვი და ჯეირანი... ამოჟლეტის პირას მიყვანილი სხვა ნადირ-ფრინველი...)

...მაგრამ ადამიანს ისიც შეუძლია, რომ აღადგინოს, უპატრონოს და მოამრავლოს ბუნების პირველი ქმნილებანი, შექმნას შესაფერი დაცვისა და აღორძინების პირობები... საფრთხე დიდია და ყოვლისმომცველი... როცა სახლში ხანძარი აჩნდა, სადავო ჩაქრობაზე ზრუნვის სახელით გადადება... ნამსვე უნდა ავაჟღეროთ განგაშის ზარები...

...განგაშის ზარების შემოკვრაა ამ ჟურნალის მთავარი მიზანი... ამიტომაა, რაც შეიძლება მეტი ყურადღება და გულისხმიერი მიმდინარე განგაშის მიზეზის ახსნა გაცნობიერებისა...

...ამ ჟურნალმა უნდა შეასრულოს თავის გადარჩენის ინსტრუქციის როლი დამღუპველი ეპიდემიის დროს...

...გზა დაგვილოცეთ!..

... და გაიხსენეთ: პრობლემა გადაუჭრელია მხოლოდ სპეციალისტებისა და ენთუზიასტების ცალკეული ჯგუფების ძალისხმევით... მასშტაბი დიდია, ქვეყნის მომცველი... მხოლოდ მთლიანად სახელმწიფოს, მთელი ერის ბოლომდე გააზრებული და გაცნობიერებული ქმედებით შეიძლება საფრთხის შეჩერება...





ნაწყვეტი ვაჟა გიგაშვილის დოკუმენტური მოთხრობიდან

## „ნადირობა ჩონ-ტაშში“

...

წინა საღამოს ამინდი აირია. ძლიერი ქარი ამოვარდა. ქვემოდან შემორეკა ყომრალი ღრუბლები, ამოტენა და მთლად ჩააბნელა ხეობა. სწრაფად დაღამდა. დადგა უკუნეთი სიბნელე. დასცხო წვიმა და მერე ეს წვიმა ხორხოშელად გადაიქცა. ვიჯექი ბნელ კარავში ბაიყუშივით და ვუსმენდი ქარიშხლის ღრიალს. არც სანთელი მქონდა და არც ფანარი, დაძინება კი ძნელი საქმე იყო. კარავს დასავლეთიდან აწყდებოდა ქარიშხლის ტალღა. ერთი კალთა ისე ჩამოიბურთა, რომ თავზე დამეხურა. მეორე, პირიქით, გარეთ გაიბერა. კარავი ყველა ფოლაქსა და თასმაზე მქონდა შეკრული და კარგადაც დაჭიმული, მაგრამ ძონძივით ცახცახებდა და ფარფატებდა. ყოველ წუთს ველოდი, რომ მომგლეჯდა. ისეთი ღრიალი და ხრიალი იდგა, თითქოს კლდეები ირღვევა და შვავის ნიაღვარი თავზე გეხორავებაო. როგორც კი შენელდებოდა ქარიშხლის შემოტევა, გასარჩევი ხდებოდა უფრო შორეული ხმები: ხეობიდან მოდიოდა საზარელი კივილი, ჩხავილი და ღმუილი. უცებ ატყდებოდა უცნაური ხორხოცი და ჭახაჭუხი, მერე მას გულის გამყინავი მოთქმა და სასოწარკვეთილი წივილი ცვლიდა. ხორხოშელა ისე ურტყამდა კარავს, თითქოს ზედ ცოცხებს უბრახუნებენო. ქარიშხლის ამოსუნთქვის წამებში უცნაურად ჩაერთვებოდა ხოლმე მდინარის გახელებული ბურტყუნი და ხმამაღალი ოხვრა, კარვის გარშემო აწყვეტილი ზღაპრული ნადირივით დაჯლიგინებდა გრიგალი. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს უზარმაზარი ცოცხალი არსება მოძრაობსო: მკაფიოდ ისმოდა, როგორ გაიშლიგინებდა ხან კარვის წინ, ხან უკან. ხან კივილით დატრიალდებოდა ზემო ტერასებში, ხან ისევ კარავს დაებრდღვნებოდა შეშლილი ღრიალით და მაშინ ამ გამაყურებულ ღრიალში ინთქმებოდა ყველა სხვა ხმა.

ვიჯექი დაძაბული და ვფიქრობდი კოსტაზე: ვაითუ, გზაშია და ვეღარ მოაღწია აქამდე?!.. ამისთანა ჯოჯოხეთურ ღამეში სრულიად წარმოუდგენელია და უაზრო ყოველგვარი მოძრაობა. ალბათ სადმე ქვებში შეაფარებს თავს, როგორ გაძლებს დილამდე მშიერი და გზით დასუსტებული?...

განსაკუთრებით მაშინებდა ხეობიდან მომავალი გამყრუებელი ხრიალი და ჭახაჭუხი. ვინ იცის, მერცბახერის ტბამ გამოხეთქა და მისმა ნიაღვრებმა წალეკეს მთელი რიყე. ვინ იცის, კოსტა სწორედ სადმე მის ნაკადებს შორისაა? ვარაუდით, სწორედ ამ დროისათვის გამოაღწევდა მყინვარის ბოლო მორენებში და სადმე რიყეში უნდა გადმოდიოდეს...

მერცბახერის ტბა ინილჩეკის მყინვარზე ზედ შუა ქედის კიდეზე მდებარეობს. სიგრძით სამ კილომეტრს აღწევს, სიღრმით ორმოცი მეტრია. ზაფხულობით, ცხელი დღეების შემდეგ, მყინვარის



სხეულში დნება ტბის წყალქვეშა საცობები და წყლის გიგანტური მასა იძვრება მყინვარის ქვეშ მის მიერვე გათხრილ გვირაბში. სამ-ოთხ დღეში მთელი ტბა იცლება და ამ დროს საშინელი სისწრაფით წამოსული ნიაღვრები კიდით კიდემდე ავსებენ ინილჩეკის კილომეტრის სიგანე კალაპოტს. იქაურობა ერთ მთლიან კოშმარულ წისქვილად იქცევა. ნიაღვრებისაგან წამოღებული გოლიათური ლოდების ხეთქება და ტრიალი ქვებსა ფქვავს და უწმინდეს სილად აქცევს.

ამ ორომტრიალში გავიდა სამი საათი. განუწყვეტელმა დაძაბულობამ მომთენთა და არ ვიცი, რამდენი ხნის ჩათვლემილი ვიყავი, როცა ადამიანის კივილმა გამომაფხიზლა.

„კოსტა!“ - დავიყვირე და როგორ გავხსენი კარავი და გამოვვარდი გარეთ, აღარ მახსოვს...

„ეეეეეე!..“ - შეშლილივით ავღრიალდი ქარიშხალში. მერე გამოვათრიე თოფები და ავტეხე ბათქი.

არავითარი პასუხი. გარშემო ისევ გადარეული დოღია გამართული. გრიგალი ფეხზე არ მაყენებს. ჩაკუნტული ვტენი თოფს და ვისვრი. ისევ ვტენი და ისევ ვისვრი...

წვიმამ უკვე მოასწრო ჩემი თავიდან ფეხებამდე გალუმპვა. უკუნი სიბნელის გარდა ქარიშხალი საშუალებას არ მაძლევდა თვალები ღია მქონოდა გადაბმულად ერთი წუთის განმავლობაში.

ისევ კარავში შევძვერი. დაძაბული და აცახცახებული ვზივარ კარებთან. ვუსმენ. კივილი აღარ განმეორებულა.

მომეჩვენა?... მაგრამ ღრიალ-ყმუილის ამ ნაირგვარობაში ეს კივილი იმდენად განსხვავებული და აშკარად ადამიანისა იყო, რომ შეუძლებელია, მომჩვენებოდა. არადა, კივილი გარკვევით ზემო ტერასიდან მოვიდა. იქ რა უნდა კოსტას?... რაც გინდა გზა აბნეოდა, იქ მაინც ვერ მოხვდებოდა.

სიცივისგან ვძაგძაგებდი. გავიხადე სველი ტანსაცმელი და გერმის საძილე ტომარაში შევძვერი, ტომრიანად წამოვჯექი და ასეთ სულელურ პოზაში გავატარე ღამე. არაფრით არ შემეძლო დაწოლა და დაძინება. თითქოს ამითი აშკარად ვწირავდი და ვღალატობდი კოსტას.

გათენებისას მაინც ჩამთვლიმა და ამჯერად უეცრად დამყარებულმა დუმილმა გამომაფხიზლა. გარეთ ცრიატი შუქი და ღრუბლები ჩუმად, გამალებით გადადიოდნენ ქედებზე. წყნარი მზიანი დილა თენდებოდა. საჩქაროდ ჩავიცვი და გამოვედი. ორლულა თოფი და ბინოკლი ავიკიდე და მყინვარის ენისაკენ გზას დავადექი.

ძველ ნაბანაკართან წყაროსპირა ჯაგებიდან კაკბები წამოვაფრთხე და დუპლეტით ჩამოვყარე ორი ცალი. იქვე, მაღალ ბუჩქზე ჩამოვკიდე ისინი და გზა განვაგრძე. მყინვარის ბოლო მორენებში გავედი, ბევრი ვიყვირე და რამდენჯერმე გავისროლე. მერე გვერდის კულუარში გადავედი და იმ ღარში, მე და ჯოკიამ რომ ნანადირევი ჩამოვუშვით ნახევრად ავძვერი. აქედან კარგა ხანს ვათვალიერე მორენა. იქიდანაც ვისროლე და ვიკივლე, მაგრამ არავის უპასუხნია.

სუფთა, კრიალა დილა დადგა. მდინარეც წყნარად მოდიოდა. ნიაღვარი კი არა, თითქოს კიდევ დაეკლო წყალს. სიმშვიდე იყო. არსად ნაწვიმარი არ ეტყობოდა. ლამის იყო, ვიფიქრე, ღამით ყველაფერი მომეჩვენამეთქი.

ბანაკში დავბრუნდი. ცეცხლი გავაჩაღე. კაკბები გავბრტყვენი და შევწვი. ყავა მოვხარშე და ის იყო, საუზმეს შევუდექი, რომ ზემოდან ყვირილი მოისმა. ორი კაცი იდგა ლოდებიან კეხზე და ხელებს მიქნევდნენ. გამოვიტანე ბინოკლი, გავარჩიე ერთის შინდისფერი გერმის ქურთუკი და მივხვდი, რომ გივი იყო. სირბილით წავედი ზევით.

გივი მექარავნე ყირგიზებთან ერთად ტერასებზე მიგდებულ ძველ კოშში მოთავსებულიყო. თავი გადაპარსული ჰქონდა. მზეზე გარუჯულიყო. შეფერთხილი და გაახალგაზრდავებული ჩანდა. ამერიკული „ვესტერნის“ კინოვარსკვლავს ჰგავდა...

სეტყვასავით დავაყარეთ ერთმანეთს კითხვები და პასუხები. ნახევარი ვერაფერი გავარკვიეთ და დამშვიდების შემდეგ ისევ თავიდან ჩავატარეთ ერთმანეთის საფუძვლიანი გამოკითხვა. გუშინ საღამოს ჩამოსულან უღელტეხილიდან. „საშინელ ქარიშხალში მოვხვდით და ბანაკს ვეღარ მოვაგენით... რამდენჯერმე დავიკივლეთ და არავინ გვიპასუხა. მერე კოშს წავაწყდით და დავბინავდითო“...



The competition among all living beings was created by divine providence…the aim of this competition is not a defeat of someone, nor annihilation, but strengthening the health, maintaining vitality and wellness of population. God has drawn us humans in this competition as well, this is where hunting takes origins – the oldest profession of a human being. However, human consciousness has evolved so fast, reached such grate heights, created and designed such things, that he can now crush all the rules of this competition and its laws. He can now cease the competition itself (is competition fair if one outruns a gazelle with a helicopter?), moreover, man can destroy all conditions of these living beings and this is exactly what he does (completely exterminated gazelles and francolins can serve as a perfect example…other animals and birds near extinction…)
But a man can also revive, heal and soothe the open wounds of nature, create the unbreakable surroundings of protection and rebirth…the danger is huge and it is near. When fire bursts at your home, leaving the extinguishment for tomorrow is madness…alarm bells should ring instantly!
The primary goal of this magazine is to ring these alarm bells…our objective is to reach as many hearts and ears as possible and make this urgency conscious and explain it.


ALHELALI
Hunting
Fishing
Diving
Under Water Fishing
Camping
Jeep Tour
Our comany offers you
Villa, New Jeep Cars, Guns, Bullets.
Proffessional hunters and cooks
Hunting dresses, shoes, rain coats, jackets for bullets
Food and beverage all travel and all the services you need
amer_hlalat@yahoo.com
+995 577 17 47 50


აქტიური
დასვენება

# ინტერვიუ „სათავგადასავლო კლუბ ჯომარდის“ დამფუძნებელ მამუკა ბურდულთან

*ბ-ნო მამუკა, როგორც ვიცი, თქვენ იყავით პირველი ადამიანი, ვინც საქართველოში ჯომარდის ტურების განხორციელებას ჩაუყარა საფუძველი, იქნებ მოგვიყვეთ როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?*

ეს ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გუდაურში ვმუშაობდი სნოუბორდის ინსტრუქტორად ჩემს ავსტრიელ მეგობარ პეტერ უინტერ ლუგაუერთან ერთად, რომელიც იყო დამფუძნებელი საჯომარდო კლუბ Fit & Fun-ის ავსტრიაში. სწორედ აქედან წამოვიდა ჩემი დაინტერესება ჯომარდისადმი, მე საერთოდ მიზიდავს ყველაფერი რაც ექსტრემალური და ინოვატორულია, ამიტომ პეტერმა შემომთავაზა თავისთან სამუშაოდ წასვლა, რაზეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. იქ დიდი გამოცდილება დავაგროვე და სერტიფიცირებული ინსტრუქტორი გავხდი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი დავაარსე „სათავგადასავლო კლუბი ჯომარდი“, პირველი კომპანია ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც ორგანიზებული საჯომარდო ტურების განხორციელება დაიწყო. წლების განმავლობაში ვიზრდებოდით, ვითარდებოდით და ამჟამად გვყავს ძალიან ბევრი ერთგული მომხმარებელი. ამასთან ერთად, შევქმენით საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ბაზა ფშავში, სადაც, ჯომარდის გარდა, ჩვენს სტუმრებს ბევრ საინტერესო გასართობს ვთავაზობთ.

*არ შემიძლია არ გკითხოთ სნოუბორდის შესახებ, როგორც ვიცი, თქვენ ხართ ერთ-ერთი პირველი, ვინც სნოუბორდით სრიალი დაიწყო საქართველოში?*

დიახ, მართალი ხართ. როგორც უკვე აღვნიშნე, ბუნებით ნოვატორი ვარ და მიყვარს ექსტრემი. თხილამურით ბავშვობიდან ვსრიალებდი. გუდაურში მუშაობისას ვერტმფრენით სრიალს – Heliski-ს –აკეთებდა შვეიცარული ფირმა Alpin travel და მათ ჩამოიტანეს სნოუბორდები პირველად საქართველოში, ეს იყო 1989 წელი. ავიღე ერთი სნოუბორდი, მახსოვს ფირმა Crazy Banana, და ერთი კვირა დამჭირდა, რომ პირველი მოხვევა გამეკეთებინა - მასწავლებელი, უბრალოდ, არავინ იყო. ერთი წლის შემდეგ უკვე ნორმალურად ვსრიალებდი




და დავიწყე მუშაობა Heliski-ს გიდად, ჯგუფებს დავყვებოდი, როცა ისინი გაუკვალავ თოვლში ეშვებოდნენ. 1993-94 წლებში ჩემმა მეგობარმა დათო ანთელაძემ დამაფინანსა, გავიარე სნოუბორდის ინსტრუქტორების კურსი ავსტრიაში და ავიღე სერთიფიკატი. ისე, მაშინ ამ ფულით 4 ოთახიანი ბინის ყიდვა შეიძლებოდა (იცინის). ჰელიგიდად ვიმუშავე 1997 წლამდე და გაუკვალავ თოვლში დაახლოებით 20 000კმ გავიარე... ეს, რა თქმა უნდა, მიახლოებით.

*დავუბრუნდეთ ჯომარდს. რომელ მდინარეებზე ახორციელებთ დაშვებებს და რა არის სტანდარტული საჯომარდო ტურის ღირებულება?*

ძირითადად დაშვებებს ვახორციელებთ შემდეგ მდინარეებზე: ფშავის არაგვი, მთიულეთის არაგვი, მტკვარი, რიონი. სტანდარტული საჯომარდო ტურის ღირებულება კი 1 ადამიანზე 40 ლარიდან იწყება, მდინარის სირთულესთან ერთად ფასი იზრდება.

*თქვენ ახსენეთ ბაზა, რომელიც ფშავში მდებარეობს. გთხოვთ უფრო დაწვრილებით*

*მოგვიყევით, თუ რა გველოდება იქ ჩამოსვლის შემთხვევაში?*

ჩვენი ბაზა ფშავში, სოფელ თვალივში მდებარეობს. თბილისიდან სულ რაღაც 1 საათის სავალ გზაზე. ჯომარდობასთან ერთად ჩვენს სტუმრებს აქვთ საშუალება დაისვენონ არაგვის ნაპირას, ულამაზეს ბუნებაში, სადაც ბევრ საინტერესო აქტივობას ვთავაზობთ. მაგალითად,ზიპ-ლაინი, მშვილდის სროლა, ფეხბურთის და ფრენბურთის მოედნები, ბუშტ-ბურთი, გუნდური თამაშები და ა.შ. ასევე ბაზაზე მუშაობს რესტორანი და ბარი, სადაც უგემრიელესი კერძებისა და სასმელების დაგემოვნება შეუძლია ჩვენს მომხმარებლებს, სწორედ ამიტომ ჩვენი ბაზა იდეალურია დიდი კორპორაციული წვეულებების მოსაწყობად, სასკოლო და საოჯახო ტურებისთვის. ერთდროულად შეგვიძლია 200-300 ადამიანის მიღება. ახლა კი ძალიან დიდი სიახლე ელოდება ჩვენს მომხმარებელს: აგვისტოდან ჩვენთან სათავგადასავლო თოკების პარკი დაიწყებს ფუნქციონირებას და ქართველ ექსტრემალებს, განურჩველად ასაკისა, ექნებათ საშუალება ამ სიახლით გაერთონ.





An Interview with Mamuka Burduli, the founder of “Adventure Club Jomardi”
Mr. Burduli recalls those days when first got interested and than made essential steps towards developing of rafting in Georgia. Nowadays, it is well organized and very popular trend of recreational activities in Georgia. Interview also tells us about a base in Pshavi, specifically the village Tvalivi, where other than rafting, there are many other interesting adventures that one can enjoy.

 



# ლაშქრობა, როგორც ცხოვრების წესი
# Camping as Lifestyle

"გრინვუდი" (GreenWood) ჯერ კიდევ ახალბედა მოლაშქრეთა კლუბია საქართველოში. რატომ გადაწყვიტა ახალგაზრდების ჯგუფმა ყოველი უქმეების მიუვალ მთებსა და ტყეებში გატარება? რა არის, მათი აზრით, ლაშქრობის მთავარი მიზანი და რატომ ურჩევნიათ რთული სამთო მარშრუტების გავლა  კომფორტულ ბარებსა და რესტორნებს?

ვიტო სიმონიშვილი - მოლაშქრეთა კლუბი "გრინვუდის" დამფუძნებელი: მოლაშქრეთა კლუბის შექმნის იდეა დიდი ხანია მქონდა, ხშირად მარტო დავდიოდი ლაშქრობაში. შემდეგ კი ერთგვარ მიზნად დავისახე ჩემს მეგობრებს და არამარტო მეგობრებს ეგრძნოთ და ენახათ იგივე, რასაც მე ვგრძნობდი ლაშქრობაში, შეეძინათ იგივე გამოცდილება და გაეცნოთ საკუთარი ქვეყანა.

პირველი გასვლა ამა წლის მარტში გვქონდა ჯავახეთში. მოვინახულეთ ფარავნის ტბა, საღამოს ტბა, ხერთვისის ციხე, თმოგვის ციხე, ვანის ქვაბები და წითური სარო. შემდეგ კი მარშრუტები გავართულეთ და ამ დროისთვის უკვე ვილაშქრეთ ჯუთაში, ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში და აბუდელაურის ტბებზე.

მიმაჩნია,  რომ მოლაშქრეთა კლუბის იდეა და მიზანი, გარდა ბუნებაში დროის სასიამოვნოდ გატარებისა, ბევრად უფრო სერიოზულია. ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ადგილების 80%, დამიჯერეთ, ჯერ არც კი გვინახავს. ამასთანავე, ისტორიული და კულტურული ცოდნის გაღრმავებაც ლაშქრობის ერთერთი თანმდევი პირობაა.

ელენე კობერიძე -  პირველად ლაშქრობაში 2011 წელს ლაგოდეხის ნაკრძალში ვიყავი, სად-

აც გურგენიანის ჩანჩქერი მოვინახულეთ. წავედი იმიტომ, რომ ახალი ემოციები მინდოდა, ამავდროულად ფოტოგრაფიით ვარ გატაცებული და უამრავი კადრი და მოგონება დამიგროვდა ამ დროის მანძილზე. პირველ ეტაპზე სწავლობ კარვის გაშლას, კოცონის დანთებას, ძალიან მარტივად გემრიელი საჭმლის მომზადებას და ა.შ

ახალბედა მოლაშქრეებს ვურჩევდი სულ თან ჰქონდეთ მზისგან დამცავი ყველანაირი საშუალება, წყალგამძლე ფეხსაცმელი, ფანარი და ა.შ, რაც შეიძლება ბუნებაში დასჭირდეთ. იყვნენ მომთმენები, რათა ლაშქრობისგან მაქსიმალურად დიდი სიამოვნება მიიღონ.

მარი კანაშვილი - დღესდღეობით უმრავლესობას სტრესულ სიტუაციაში გვიწევს მუშაობა. ამიტომ შაბათ-კვირას მაინც გინდა თავი დააღწიო ყოველდღიურ რუტინას და ჯანსაღად დაისვენო. ლაშქრობა, თუ, რა თქმა უნდა, ფიზიკურად ამისათვის მზად ხარ, იდეალური შესაძლებლობაა. პირველად ლაშქრობაში "გრინვუდთან" ერთად აბუდელაურის ფერადი ტბების სანახავად წავედი, ვერ აღვწერ ისეთი სილამაზე დაგვხვდა. ეს ადგილები ყველამ უნდა ნახოს. მიუხედავად ტბებისკენ მიმავალი გზის სიგრძისა (9კმ), სამივე ტბა ერთმანეთისგან ისე განსხვავებული და მრავალფეროვანია რომ დაღლა აღარც მახსოვდა.



მნიშვნელოვანია, რომ თუ ადამიანს საკუთარი ფიზიკური ან მორალური მზაობის იმედი არა აქვს, ჯობია საერთოდ არ წავიდეს. ზოგს ლაშქრობა მთაში ქეიფი ჰგონია. ამიტომ, სანამ ლაშქრობაში წახვალთ, კარგად გაარკვიეთ, ვისთან, რომელ ჯგუფთან ერთად მიდიხართ მთის რთული მარშრუტების გასავლელად.

ვიტო სიმონიშვილი - როდესაც საკუთარი თვალით ნახავ, რომ სადღაც, მიკარგულ მთებშიც, შენი ქვეყანაა და არა მხოლოდ მოასფალტებულ ქალაქებში, თითქოს თვითონაც იცვლები და სხვანაირად იწყებ საკუთარი ქვეყნის შეფასებას. ამიტომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ერთგვარ ცხოვრების წესად უნდა გაიხადოს ლაშქრობაში სიარული და საკუთარი ქვეყნის გაცნობა.

გოჩა აბზიანიძე

*Greenwood* a camping travel club shares a very interesting view why in leisure activities people prefer the off road camping and mountain hiking rather than spending time in restaurants and bars.
Vito Simonishvili a founder of the Club set a very simple goal to acquaint friends with the beauty of pristine nature of Georgia and to establish healthy lifestyle through introducing advantages of outdoor adventures with its amazing recreational qualities.

# საქართველოს დაცული ტერიტორიები

WWW.APA.GOV.GE

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

## dacu l i teritoriebis SeqmniT gamowveu l i efeqtebi

დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებას წვლილი შეაქვს ტურიზმის და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ეკოტურისტული პროდუქტის წარმოება ხელს უწყობს ტურიზმის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი კომპონენტის – ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერებას, რაც გამოიხატება დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის, საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ტურიზმის სექტორში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის (ცხენების გამქირავებლები, გიდები, ადგილობრივი საოჯახო სასტუმროს მეპატრონეები, სატრანსპორტო საშუალებების მეპატრონეები) რაოდენობის ზრდაში.

კვლევები ადასტურებს, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების რაოდენობა – 28%-ით, მაღაზიების რაოდენობა – 30%-ით, კვების ობიექტების რაოდენობა – 40%-ით, ტურიზმის სექტორში დასაქმებულების რაოდენობა კი 24 %-ით გაიზარდა.

ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარების პროცესებში ჩართულობის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მარტვილის კანიონი.

მარტვილის კანიონზე დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის აშენების და ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად ტურიზმი გახდა უსაფრთხო, გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა, მიმდებარედ შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები.

მარტვილის კანიონზე ვიზიტორთა ცენტრისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ კანიონში და მის მიმდებარედ დასაქმებულთა რაოდენობა 50-დან 120-მდე გაიზარდა.

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად იმატა საოჯახო სასტუმროების რაოდენობამაც. 2016 წლამდე ადგილზე სულ 10 სასტუმრო ფუნქციონირებდა. დღეს მათი რიცხვი 25-ია. 1-დან 5-მდე გაიზარდა კვების ობიექტების რაოდენობა.

1 წელიწადში კანიონის ვიზიტორთა ცენტრის შემოსავალმა – 1,404,278, ადგილობრივების შემოსავალმა კი 3,500,000 ლარი შეადგინა.

მარტვილის კანიონზე ინფრასტრუქტურის მოწყობამდე კანიონის მიმდებარედ კვადრატული მეტრი მიწის საფასური 1 ლარს აღწევდა, დღეს კი მისი ფასი, საშუალოდ 25 დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მიწის მეპატრონეები მის გაყიდვას ამჯობინებენ თავად წამოიწყონ ბიზნესი საკუთარ მიწაზე.

ოკაცეს კანიონზე კიდული ბილიკისა და ვიზიტორთა ცენტრის მოწყობის შემდეგ გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა, შეიქმნა სერვისები – მანქანით მომსახურება, კაფე, ცხენების გაქირავება, მცირე სასტუმროები.

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია აერთიანებს 13 ბუნების ძეგლს, მათ შორის 3 კანიონს, 5 ჩანჩქერსა და 5 მღვიმეს.

მარტვილის მუნიციპალიტეტი
- ბალდის კანიონის ბუნების ძეგლი
- მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი
- მდ. აბაშის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- მოთენას მღვიმის ბუნების ძეგლი
- ონიორეს ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნების ძეგლები
- ოჩხომურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- ტობის ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის ბუნების ძეგლები
- ჯორწყუს მღვიმის ბუნების ძეგლი

ხონის მუნიციპალიტეტი
- ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი
- ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი
- ნაზოდელავოს მღვიმის ბუნების ძეგლი



# okaces kanioni



ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის მიდამოებში მდებარეობს.

ოკაცეს კანიონის 2-3 საათიანი საფეხმავალო მარშრუტი დადიანების ისტორიულ ტყე-პარკსა და 780მ სიგრძის კიდულ ბილიკს გაივლის და პანორამული გადასახედით სრულდება, სადაც ვიზიტორებს იქვე დამონტაჟებული სმარტ-სელფის აპარატით სამახსოვრო ფოტოსურათის გადაღება შეუძლიათ.

სერვისები

- კიდულ ბილიკზე გასეირნება
- სამოქალაქო ქორწინების ცერემონია

სამუშაო საათები: 10:00-დან 18:00 საათამდე.
სამუშაო დღეები: ყოველდღე, ორშაბათის გარდა.

ტურები ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. აქტიური სეზონი გრძელდება აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით. ვიზიტორთა უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, წვიმასა და თოვლში ბილიკზე გასვლა აკრძალულია.





# martvilis kanioni

მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრი სოფელ ინჩხურში, კანიონის შესასვლელთანაა განთავსებული.

ქვით მოკირწყლული 700მ-ის სიგრძის წრიული საფეხმავლო ბილიკი ვიზიტორთა ცენტრიდან იწყება და გაივლის დადიანების ისტორიულ ბილიკს. ბილიკზე განლაგებულია 2 ხიდი, 3 გადასახედი პლატფორმა, კირქვის დიდი ლოდებისგან აშენებული 30-საფეხურიანი ისტორიული კიბე.

ვიზიტორებს ასევე შესაძლებლობა აქვთ გაისეირნონ ნავით მდ. აბაშის 300-მეტრიან (ერთი გზა) მონაკვეთზე და დატკბნენ მთის მდინარის კანიონის ულამაზესი ხედებით.

სერვისები:
- ნავით გასეირნება
- ბილიკის დალაშქვრა
- სამოქალაქო ქორწინების ცერემონია

სამუშაო საათები: 10:00-დან 18:00 საათამდე.
სამუშაო დღეები: ყოველდღე, ორშაბათის გარდა.

ტურები ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. აქტიური სეზონი გრძელდება აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით. ვიზიტორთა უსაფრთხოებისათვის, სანაოსნო მონაკვეთზე გასვლა წვიმასა და თოვლში აკრძალულია წყლის დონის მომატების გამო.











# kolxeTis erovnuli parki

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. კოლხეთის ეროვნული პარკი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი.

პარკში განსაკუთრებულად საინტერესოა პალიასტომის ტბა, შავი ზღვის აკვატორია, უნიკალური ჭაობები და კოლხური ტყე. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ვიზიტორებს პალიასტომის ტბასა და მდ. ფიჩორის ხეობაში სანაოსნო ტურებს, ასევე სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებას (ბერდვოჩინგს) და ეკო-საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს.

პარკში 4 ტურისტული მარშრუტი ფუნქციონირებს და ვიზიტორებს სანაოსნო ტურებს სთავაზობს. შესაძლებელია კატერით, პანტონით და კაიაკით გასეირნება.

პალისასტომის ტბის მარშრუტზე ვიზიტორები ნახავენ მისი ნაპირების ულამაზეს პეიზაჟებს. შესაძლებელია გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვება.

პალიასტომი-ფიჩორის მარშრუტზე შესაძლებელია პონტონით გასეირნება. ვიზიტორები დაათვალიერებენ პალიასტომის ტბის ულამაზეს ნაპირებს და მდინარე ფიჩორის შესართავის თვალწარმტაც ხედს. დაშვებულია სპორტული თევზაობა. ასევე შესაძლებელია კატერით გასეირნება. გაუვალი ლიანების ტყის მასივი ვიზიტორს, კატერით სეირნობისას, უქმნის მინიატურული ჯუნგლების ასოციაციას.

მდინარე ჭურია - ტურის განმავლობაში ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ თვალწარმტაცი ხედები. ჭურიის ხეობაში წელიწადის ნებისმიერ დროს შესაძლებელია წყლის ფრინველებისა და ზოგიერთი მტაცებლის ნახვა.




















There are eight administrations of protected areas in West Georgia, including: Martvili and Okatse Natural Monuments and Kolkheti National Park. Martvili and Okatse Natural Monuments' Administration unites 13 natural monuments. It has to be mentioned that touristic infrastructure is arranged at Martvili and Okatse Canyons. Visitors have opportunity to hike through Dadiani trail and have a boat tour in amazing valley. Currently, the one and only hanging trail in Georgia is in Okatse Canyon.

Palisatomi Lake, Black Sea Water Area, unique wetlands and Colchic forest are specifically important at Kolkheti National Park. Kolkheti National Park's Administration offers visitors boat tours at Paliastomi Lake and River Pichori as well as fly

WWW.SLACKLINEGEORGIA.WORDPRESS.COM

# HIGHLINE





მინდა მოკლედ მოგითხროთ ჩვენი პირველი ჰაილაინის გაჭიმვის შესახებ. (“High-line” – სლექლაინზე სიარული მაღალ სიმაღლეზე). დიდი ხნის განმავლობაში ვეძებდით შესაფერის მაღალ ადგილს, სადაც შევძლებდით ჩვენი სლექის გაჭიმვას და ძალების მოსინჯვას. როგორც კი თავისუფალი დრო გაგვიჩნდებოდა, თბილისის შემოგარენში დავეხეტებოდით, გვინდოდა უსაფრთხო, ადვილად მისადგომი ადგილი გვენახა. მანამდე რამდენიმეჯერ ზედა დაცვით ვცადეთ 6-8 მეტრის სიმაღლეზე გაჭიმვა. მალევე ჩაგვითრია სიმაღლეზე სიარულმა და მტკიცედ გადავწყვიტეთ, რაიმე უკეთესი ადგილი მოგვენახა, თანაც ქვედა დაცვით უნდა გვეცადა.

ზედა დაცვასა და ქვედა დაცვას შორის, შეგრძნებების მხრივ, დიდი სხვაობაა, ზედა დაცვისას სლექიდან მოწყდომის შემთხვევაში დაახლოებით იქვე რჩები, არსად ვარდები, რადგან დაცვის თოკი მობმულია სლექის პარალელურად, შენი თავის ზემოთ გაჭიმულ თოკზე.

ქვედა დაცვა კი უკვე სულ სხვა რამეა, დაცვის თოკი მიმაგრებულია რგოლით თვითონ სლექლაინზე, ჩავარდნის შემთხვევაში ვარდები ზუსტად იმდენს, რა სიგრძისაც არის დაცვის თოკი, დაახლოებით 1.5–2 მეტრამდე. მინდა აღვნიშნო,







რომ ქვედა დაცვით სლექზე მოწყდომისას უფრო მძაფრი შეგრძნებაა, ვიდრე ცოცვისას როდესაც წყდები.

საბოლოოდ, ბევრი ძებნის შემდეგ, მივაგენით ერთ მიგდებულ შენობას თბილისის ზღვაზე, რომლის მესამე სართულსა და 20 მეტრში მდგარ ხეს შორის გავაბით ჩვენი პირველი ნამდვილი ჰაილაინი ქვედა დაცვით (28 დეკემბერი, 2013)… პირველი ნაბიჯები განსაკუთრებით ადრენალინით იყო სავსე. ადგომაც და პირველი ნაბიჯებიც კი წარმოუდგენლად ძნელი იყო, არადა, ვითომც არაფერი, ამაზე გაცილებით გრძელ სლექებზე გვივლია მიწასთან ახლოს, მაგრამ სიმაღლე ყველაფერს ცვლის, თითქოს თავიდან სწავლობ სიარულსო. ამ ადგილს ერთი თვის შემდგომ კიდევ დავუბრუნდით, ცოტა ნაკლები შიშითა და მეტი გამოცდილებით.

## ჰაილაინი გველეთის ჩანჩქერზე

ზამთრის სუსხის მიუხედავად, ყაზბეგის რაიონში გველეთის გაყინულ ჩანჩქერს მივაშურეთ. ამ ორ დღეში ყველაფერი იყო: ჰაილაინი, ყინულზე ცოცვა, ბოდიალი 55 მეტრიანი ჩანჩქერის თავზე მოსაქცევად, თოვლი, ყინული, სიცივე, შიმშილი და ძალ–ღონის გამოცლა, დრელით კლდეების ხვრეტა და წერაყინების ქნევა...

First highline in Georgia
In this article, a group of young adrenaline lovers tell us about their first experience of the slack from years ago. They note that despite the intensive exercise, highline on great heights has entirely different feelings and sensations. This year, highline was arranged on a frozen waterfall "Gveleti," where an experienced group enjoyed their adrenaline, followed by typical feelings of cold, hunger and exhaustion.





# უკან ბუნებისაკენ

X- პარკი - ერთ ყუთში მოქცეული სათავგადასავლო სული და თანამედროვე ტექნოლოგიები

# Back to Nature

X Park - Modern Technologies and Adventurous spirit in one box

სათავგადასავლო პარკი ესაა თოკებისაგან შექმნილი თანამედროვე სპორტულ-გასართობი ქალაქი ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. აქტიური და საოჯახო დასვენების ქართული ბაზრისათვის „თოკების პარკი“ ახალი და დიდწილად ამოუცნობი მიმართულებაა.

ჩვენ მიერ შექმნილი პარკი წარმოადგენს უმცირეს დეტალებამდე გათვლილ და ეფექტიანად მოქმედ კომპლექსს, რომლისთვისაც დამახასიათებელია სრული უსაფრთხოება, საიმედო დაზღვევა, გამორჩეული დიზაინი და მკაფიო ლოჯისტიკა.

თუ დავაკვირდებით უკანასკნელ წლებში მსოფლიო ტურიზმის განვითარებაში გამოკვეთილ ტრენდებს, ვნახავთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ასე ხასითდება -„უკან ბუნებისაკენ“. სპეციალისტებისა და ექსპერტების შეფასებით, საუკეთესო პერსპექტივები აქვთ ისეთ ტურისტულ და რეკრეაციულ ობიექტებს, რომლებიც განლაგებულია ბუნებაში ან ბუნებრივ წყაროებთან ახლოს. „ეკოლოგიური“ (eco), ნატურალური (natural), ორგანული (organic), მწვანე (green) – ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დასასვენებელ და გასართობ ობიექტს ეძებენ.

მართლაც, ყველაზე მეტად ეს სიტყვები მიესადაგება ფშავში, არაგვის თვალწარმტაც ნაპირებზე, ჭალის ხეებზე გადაჭიმულ ახლადშექმნილ სათავგადასვლო პარკს.

მსოფლიოში შექმნილი პირველი ასეთი პარკები სწორედ, ტყეში, ხეებზე იქმნებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ხის ღერო ყველაზე ბუნებრივი, გამძლე, სანდო, საკმაოდ ხისტი და საკმარისად დემპფერული (რხევების ჩამხშობი) საყრდენია ნებისმიერი საჰაერო კონსტრუქციისათვის. ამიტომაც ხეებზე გაჭიმულ თოკების პარკში დაბრკოლებები ყველაზე უფრო ავთენტურად და მიმზიდველად გამოიყურება, თანაც, ამის გამო, ისინი განსაკუთრებულადაა მიახლოებული ნამდვილ სათავგადასავლო სულთან.

ჩვენს პარკში წარმოდგენილია სხვადასხვა სირთულისა და დიზაინის 4 ტრასა: ორი ბავშვებისათვის, ხოლო ორი ზრდასრულთათვის. საბავშვო ტრასებზე 8-8 დაბრკოლებაა, ხოლო მოზრდილებისაზე – 14-14. ამის გამო ჩვენთან სტუმრობა საინტერესოა ყველასთვის, მიუხედავად ასაკისა, დაწყებული ბავშვებიდან, დამთავრებული ოჯახებითა და ხანდაზმული ადამიანებით. აქვე ფუნქციონირებს ჯომარდის ბაზა, რესტორანი და ბარი.

„სათავგადასავლო პარკის“ მარკეტინგის
მენეჯერი თათა ყუფარაძე

## Back to Nature
## X Park - Modern Technologies and Adventurous spirit in one box

Adventure Park is a modern sports-entertainment village for children and adults created from ropes. Adventure Park is a new and yet unexplored option for active and family vacation of Georgian market. Our park is an efficiently functioning complex, calculated in the most scrupulous details, with perfect safety, reliable insurance, prominent design and clear logistics. “Eco”, “Natural”, “organic”, “green”… these are the words that especially attract people seeking for a place to rest and entertain themselves. Indeed, most of these words apply to captivating Aragvi coastlines in Pshavi and the newly created reserve park stretching over the grove trees.





# ალპინიზმი

ვანო ჯაფარიძე



მოგესალმებით ძვირფასო მკითხველო! გილოცავთ ახალი ჟურნალის „ველური ბუნება" გამოცემას, რომელშიც სხვა საინტერესო წერილებთან ერთად, რუბრიკაში „მწვერვალთმსწრობელი", მთამსვლელობასა და მთამსვლელთა ცხოვრების შესახებ მომზადებულ მასალასაც შემოგთავაზებთ.

ცნობილია, რომ მთამსვლელებს მაყურებელი არ ჰყავთ. ისინი მარტონი მიაბიჯებენ ლამაზი, მიუვალი მწვერვალების დასალაშქრავად. სწორედ ამიტომაა საინტერესო და მიმზიდველი მათი თავგადასავლების, სხვადასხვა ისტორიების, დღიურების, ჩანაწერებისა და მოგონებების გაცნობა. გიამბობთ მთამსვლელთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებზე, იმ გამოჩენილ და ღვაწლმოსილ მამულიშვილებზე, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად ქმნიდა ქართული ალპინიზმის გმირულ ისტორიას.

მთები მთელ მსოფლიოში მრავალი კულტურისა და ტრადიციის უმაღლეს ფასეულობას გამოხატავს. უძველესი ადამიანის გონებამ „მიწიერ" ღმერთთა შორის გამორჩეულნი დაამკვიდრა მიუწვდომელ მთათა მწვერვალებზე. მაგალითად, ბერძნული მითოლოგიით, მთელი ქვეყნიერების მპყრობელი და მომწესრიგებელი



ზევსი მაღალ ოლიმპოზე ცხოვრობს და იქიდან მართავს სამყაროს. ამაყმა ზევსმა თავბრუდამხვევი უფსკრულების თავზე, კავკასიონის ფრიალო კლდეზე მიაჯაჭვა პრომეთე - კაცობრიობის სიკეთისათვის ტანჯული ტიტანი.

თუ ძველი ბერძნებისათვის კავკასიონი ლეგენდარული, მითური მხარე იყო, ქართველებისათვის ის რეალურ სამყაროს წარმოადგენდა, რომლისკენაც უხსოვარი დროიდან ილტვოდნენ.

კავკასიონის მწვერვალებზე ამაღლებით ერთნი ღმერთთან მიახლოებას ცდილობდნენ, რომ იქიდან ლოცვა უკეთ მიეწვდინათ ზეციერისათვის, მეორენი, დაჭრილი ჯიხვის დევნით გართულნი აღწევდნენ მყინვართა საუფლოს, მესამენი კი მიჯაჭვულ ამირანსა თუ პრომეთეს დაეძებდნენ. შემდეგ, თანდათანობით, სპორტული ინტერესიც გაჩნდა და უკვე პროფესიონალი მთამსვლელები მიეძალნენ კავკასიონს. ასევე იყო ალპებზე, ანდებზე, კორდილიერებზე, პამირზე, ტიან-შანსა თუ ჰიმალაიზე.

მთას მიაშურებენ ისინი, ვისაც ფიზიკური მონაცემების გარდა, შეუძლია სძლიოს ადამიანურ სისუსტეებს და გააცნობიეროს – სად გადის მისი პიროვნული შესაძლებლობის ზღვარი...

ამ ძიებებისას მთამ არაერთი მთამსვლელის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ შეუპოვარნი და მაძიებელნი მაინც დადიან მთებში.

მთაში ერთბაშად ხდება ის, რასაც ადამიანები ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ აღწევენ – ეს საკუთარი თავის შეცნობაა!

ქართული მთამსვლელობის პირველი ნაბიჯებიდანვე, მთამსვლელთა ერთი

ნაწილი თავს მოვალედ თვლიდა ჩაეწერა საკუთარი შთაბეჭდილებები, აღებეჭდა ის ასვლები, გზები თუ მარშრუტები, რომელთა გავლაც მას უხდებოდა.

ქართული მთამსვლელობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ბუნებრივია, ჯამდებოდა ქართველ მთამსვლელთა მიღწევები - იგი წიგნებისა თუ კრებულების სახით გამოიცემოდა; საზოგადოება ეცნობოდა მრავალთათვის უხილავ და მიუწვდომელ მწვერვალთა სამყაროს, რომელთა დალაშქვრა მხოლოდ სულიერად მტკიცე და ფიზიკურად ნაწრთობ ახალგაზრდობას ხელეწიფებოდა.

ცხოვრების ლოგიკა ასეთია: ერთი თაობა მიდის, მოდის მეორე, რომელიც წინა თაობის საქმიანობის პირუთვნელი შემფასებელია. ჩვენდა საბედნიეროდ, წინა თაობის მთამსვლელთა ნაღვაწ-ნაშრომში იმდენი გმირული და გაუხუნარი ფურცელია ჩაწერილი, რომ მათი ხსოვნა და ზედმიწევნით ცოდნა ჩვენი და მომავალი თაობის ვალია.

მსოფლიოში ალპინიზმის დასაწყისად ითვლება 1786 წელი, როდესაც ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე (4810მ) ფრანგი ექიმი მიშელ პაკარი და შვეიცარიელი გამყოლი ჟაკ ბალმა ავიდნენ. პირველი სამეცნიერო ასვლა იმავე მწვერვალზე 1787 წელს განახორციელა შვეიცარიელმა ბუნებისმეტყველმა ბენედიქტ სოსიურმა. ტერმინი „ალპინიზმიც" სწორედ ამ ასვლების შემდეგ დამკვიდრდა, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ საქართველოში მთაზე ასვლების ისტორიას, სათავეები უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი.

საქართველოში მრავალი მითი, ლეგენდა და მაგალითი არსებობს, რომლებიც ქართველთა მთამსვლელობას უძველესი დროიდან ადასტურებს. ქართველი მთიელები ძველთაგანვე სარგებლობდნენ კავკასიონის უღელტეხილებით, მიმოდიოდნენ როგორც ახლო, ისე შორეულ მეზობლებთან.

ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, მთამსვლელის, სპორტის ოსტატის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შოთა ჩართოლანის მიერ 1965 წელს, სოფელ ჭუბერში, ძვ.წ. VI-V საუკუნეების ლარილარის კრემაციულ სამაროვანზე მიკვლეული მონადირის სამარხი, რომელშიც დღევანდელი წერაყინის ანალოგი, მაღალ მთებსა და ყინულებზე გადაადგილებისათვის საჭირო იარაღი აღმოჩნდა, რაც 2500 წლის წინათ საქართველოს მთიანეთში ძნელად სავალ მთებზე ასვლის ფაქტებს მოწმობს.



2500 წლის წინანდელი მთებსა და ყინულებზე გადაადგილებისათვის საჭირო იარა-ლი – თანამედროვე წერაყინის ანალოგი



Mountaineering
It is a well-known fact that climbers do not have an audience, they step up to beautiful and uninhabited peaks all alone. This is why getting to know their adventures different stories, diaries, drafts and memories seems interesting. We will tell you about representatives of different generations, those famous and dedicated patriots, who created the heroic history of Georgian alpinism at the cost of their own lives.



ზურაბ ჭინჭარაძე
ცხენი და ადამიანი

ცხენი კაცობრიობის ისტორიაში ადამიანთან ყველაზე მეტად დაკავშირებული ცხოველია. იგი ადამიანის ერთგული მეგობარია ჭირშიცა და ლხინშიც. ტექნოლოგიურმა განვითარებამ დააშორა ერთმანეთს ეს ორი განუყრელი მეგობარი. დაშორებას გაუცხოება მოჰყვა. ხშირად გაგვიგია საუბარში, რომ ცხენი არც ისე გონიერია და ერთგული. თუ ცხენებს კარგად არ ვიცნობთ, მართლაც, შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს იგი ნაკლებად მეგობრული და მოსიყვარულე არსებაა ვიდრე, მაგალითად, ძაღლი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა. ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ცხენთან ნამდვილი მეგობრობისა, მან იცის ცხენის ფასი. გამოცდილი მეჯინიბე თვალის ერთი შევლებით შეამჩნევს მოწყენილია ცხენი თუ გაბრაზებული, დაღლილი თუ გახარებული. თავის მხრივ, ცხენიც უშეცდომოდ გრძნობს პატრონის შინაგან მდგომარეობას. იგი სხვადასხვა ადამიანთან განსხვავებულად იქცევა. ბუნებით მშვიდ და გაწონასწორებულ პიროვნებასთან იგი გაცილებით უფრო თვინიერი და მორჩილია. ამასთანავე, ცხენის გაწვრთნას მტკიცე ხასიათი, დიდი შრომა და ფაქიზი მგრძნობელობა ჭირდება. ამიტომაც ცხენთან ურთიერთობა უაღრესად სასარგებლოა ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი – ბავშვებისათვის. ძნელია გადმოსცე ის ფიზიკური შეგრძნებები, რომლებსაც ცხენზე ჯდომისას განიცდი. ვისაც გიჯირითიათ ნავარდით, დამეთანხმებით, რომ ეს ფრენისმაგვარი გრძნობაა, რომელიც კიდევ და კიდევ გინდა განიცადო, მაგრამ მთავარი და უმთავრესი მაინც ცხენთან ნამდვილი მეგობრობის სიხარულია. ეს სიხარული ერთნაირად ახარებს ცხენსაც და ადამიანსაც. ცხენთან დამეგობრება, მისი გულის მოგება ყველას შეუძლია, განურჩევლად ასაკისა, ეს ძალიან ადვილია. სულ მცირე ყურადღებას ან ერთ ნატეხ შაქარს ცხენი უსათუოდ დაგიფასებთ და ორმაგად გადაგიხდით. ამგვარი ხერხებით დამყარებული ურთიერთობა აუცილებლად გახდება ჭეშმარიტი მეგობრობის საწინდარი.

ცხენოსნობით გატაცება სიყრმიდან ღრმა მოხუცებულობამდეა შესაძლებელი და ერთნაირად ხელეწიფება ქალებსა და კაცებს. დღემდე საცხენოსნო სპორტი ერთადერთია, სადაც მამაკაცები და ქალები ერთად ასპარეზობენ და ქალები უფრო მეტ წარმატებას აღწევენ, რადგან ცხენოსნობაში ფიზიკური ძალა კი არაა გადამწყვეტი, არამედ ისეთი უნარები, როგორებიცაა: ალღო, ინტუიცია, პედაგოგიური ნიჭი და უფროსობის უნარი. ჯირითის უმაღლესი მიზანია ჰარმონიის მიღწევა ადამიანსა და ცხენს შორის. ეს აკეთილშობილებს ადამიანს და აახლოებს მას ბუნებასთან.

დღეს მთელს დედამიწაზე მილიონობით ადამიანია დაკავებული საცხენოსნო პროფესიონალური და სამოყვარულო სპორტითა და ტურიზმით; ცხენი კურნავს მრავალ დაავადებას; იგი გამოდის თეატრალურ წარმოდგენებში და თამაშობს კინოში. თავიდან კი ასე როდი იყო. შევეცდებით მოკლედ მოგითხროთ ცხენის წარმოშობისა და ადამიანთან პირველი ურთიერთობების შესახებ. თანამედროვე შინაური ცხენის წინაპარი ჰირაკოტერიუსი დაახლოებით 50 მლნ წლის წინ ბინადრობდა ჩრდილოეთ ამერიკაში. იგი გაცილებით უფრო პატარა ზომისა იყო, ვიდრე თანამედროვე ცხენი და ცხენისთავიან მელას წააგავდა. თანამედროვე ცხენის (ლათ. EQUUS CABALLUS) ფორმებს ჰირაკოტერიუსმა რამდენიმე ევოლუციური საფეხურის გავლით დაახლოებით 5 მლნ წლის წინ მიაღწია. სადღაც 2,5 მლნ. წლის წინ ცხენი იმ დროს არსებული სახმელეთო გზით გადავიდა ჩრდილოეთ ამერიკიდან ევრაზიაში და იქ გავრცელდა. ჩრდილოეთ ამერიკაში დარჩენილი ცხენების პოპულაცია ძვ.წ.აღ. IV ათასწლეულში სრულიად გადაშენდა ამ კონტინენტიდან. ცხენები მხოლოდ XVI საუკუნეში შეიყვანეს ჩრდილოეთ ამერიკაში ევროპელმა კოლონიზატორებმა. ევროპელების მიერ შეყვანილი ცხენები მუსტანგების სახელწოდებით არიან ცნობილნი. გარეული ცხენის სახეობათაგან დღესდღეობით შემორჩენილია ტარპანი (ლათ. equus ferus ferus) და პრჟევალსკის ცხენი (ლათ. equus ferus przewalski). მოშინაურებამდე ცხენი ნადირობის ობიექტს წარმოადგენდა. თანამედროვე მეცნიერების აზრით, ცხენი უნდა მოეშინაურებინათ ევრაზიული სტეპების დასავლეთ ნაწილებში (ტერიტორია თანამედროვე უკრაინიდან თანამედროვე ყაზახეთის დასავლეთამდე) ძვ.წ.აღ. V–IV ათასწლეულებში მომთაბარე ხალხებს სამხედრო საქმისათვის. ძვ. წ. III საუკუნეში მოშინაურებული ცხენის ნიშნებს ვხვდებით მთელს კავკასიაში, აღმოსავლეთ ევროპასა და დუნაისპირეთში, მოგვიანებით – ახლო და შუა აღმოსავლეთში, ცენტრალურ ევროპაში, შუა აზიაში, ჩინეთში, აფრიკასა და ევროპაში. ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიც იყვნენ: ასურეთი, ბაბილონი, ეგვიპტე, ცხენი ჩნდება ძვ.წ.აღ. 2000–1500 წლებში მომთაბარე ხალხებთან ურთიერთობის შედეგად.



თავდაპირველად ცხენი ეტლში შეაბეს ძვ.წ.III–II ათასწლეულში. ძვ. წ. X საუკუნეში ჩნდებიან უბელო ცხენზე ამხედრებული მეომრები. ამრიგად, ცხენი გახდა სამხედრო საქმის ყველაზე მთავარი ნაწილი. ხანგრძლივი სელექციის შედეგად მომთაბარე ტომებმა შექმნეს მშვენიერი, მსუბუქი და ამტანი ცხენის ჯიშები, რომელთაც ყველაზე უფრო თანამედროვე თურქმენული და არაბული ცხენები ენათესავებიან. პირველი უნაგირები ჩნდება ასურეთსა და ევრაზიის სხვადასხვა მომთაბარე ტომებში ძვ.წ.აღ. დაახლოებით VII საუკუნეში. უნაგირი მხედრის სიმდიდრესა და სოციალურ მდგომარეობას ასახავდა. 2000 წლის წინათ ინდოეთში ტყავის უზანგებს ხმარობდნენ. რკინის უზანგის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება (ძვ.წ.აღ. IV საუკუნე). რკინის უზანგის გამოგონება მნიშვნელოვანი ეტაპია ცხენოსნობის ისტორიაში. პირველი ნალები ტყავისა და მცენარეული წარმოშობის იყო (გადამუშვებული ჩალა, კანაფი, ბამბუკი). რომაელები რკინის ე.წ. ჰიპოსანდალებს იყენებდნენ, რომლებიც თასმებით მაგრდებოდა ფლოქვებზე. ითვლება, რომ რკინის ნალები კელტებმა გამოიგონეს. ეს მეტად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. დღემდე რკინის ნალი ფაქტიურად შეუცვლელია. ისევე როგორც უზანგი, ლაგამიც თავიდან რბილი მასალებისაგან იყო დამზადებული (ცხოველის ძარღვი, კანაფი) და შემდეგ შეიცვალა რკინით. უძველესი დროიდან XX საუკუნის დასაწყისამდე ცხენი რჩებოდა უმნიშვნელოვანეს სამხედრო „იარაღად". კავალერიაში უპირატესობა განაპირობებდა ცალკეულ იმპერიათა წარმატებასა და მარცხს, აღზევებასა და დაცემას.



Technological progress has parted the two inseparable friends – horses and human, and this is the author's deep concern. Upon the separation, alienation also followed. In author's opinion, horse is as friendly and as loving of a creature as dog. Communicating with this animal is highly beneficial to human beings, especially children, because training a horse requires a will power, a lot of work and gentle sensibility. To this day, horseback riding is the only sport where men and women compete together. Ladies are usually even more successful at it, because physical power is not a key when it comes to this discipline, but instinct, intuition, pedagogic skills and leadership counts the most.

Author takes us on a historical journey afterwards, from Hyraotherium inhabitant of 50 million years ago and first horses domesticated by nomads in 5000-4000 BCE to 19th century and beginning of 20th century, where horses became one of the most important military weapons, when superiority in cavalry decided the success and failure of certain empires, their rise and their fall.



# ბუნების წიაღიდან

თინათინ თოფურია
*ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტი; ევროკავშირის ექსპერტი; ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯორჯ ვიტულკასის მოწაფე და პირადი წარმომადგენელი საქართველოში; ადამიანის ეკოლოგიის დაცვის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;*

# სოკო

სოკო ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი უძველესი ბინადარია. მიიჩნევენ, რომ უკვე 400 მილიონი წელია, რაც ის დედამიწაზე არსებობს. ასე რომ, ადამიანი გაჩენის დღიდანვე იცნობს მას, აგროვებს, მიირთმევს და ახალ-ახალ რეცეპტებს იგონებს. სოკო გვხვდება ყველა კლიმატურ ზონაში, გარდა ანტარქტიდისა. აღწერილია 1600-მდე სახეობა. საქართველოში დაახლოებით 100-მდე ჯიშია ცნობილი, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კერძების მრავალფეროვნებით განთქმული ქართული სამზარეულო სოკოსგან მომზადებული კერძების სიუხვით ვერ დაიტრაბახებს; მეტიც, არც სოკოს მოგროვება ყოფილა ოდესმე ჩვენში პოპულარული, რაც ალბათ მოწამვლის შიშით განპირობებული ზედმეტი სიფრთხილით აიხსნება.

საბედნიეროდ, ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა სოკოზე „ნადირობის“ მოყვარულთა რაოდენობამ. ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან ერთად, სოკოს საკრეფად სიარული მოდაშიც კი შემოვიდა. მინდა გითხრათ, რომ ეს ფსიქო-ემოციური განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. გარდა იმისა, რომ აქტიურად მოძრაობ, ბუნებასთან ხარ კავშირში და იღებ დადებით ემოციებს; შეიძლება ითქვას, რომ ეს მედიტაციის ერთ-ერთი უმარტივესი და საუკეთესო ფორმაა. გონება გათიშულია ყოველგვარი პრობლემისაგან და მთლიანად მხოლოდ ერთ მიზანზე – სოკოს პოვნაზეა კონცენტრირებული. როცა სოკოს პოულობ, იღებ უდიდეს სიამოვნებას, მეტიც, რაღაც თავისებური ბედნიერების განცდა გეუფლება. მართლაც, თურმე ამ დროს აქტიურდება ბედნიერების ჰორმონის გამოყოფა.



ტყის სოკოსადმი ნდობის ზრდასთან ერთად, იმატა სოკოთი მოწამვლამაც. ამიტომ მინდა რამდენიმე რჩევა მივცე ახალბედა სოკოზე „მონადირეებს“.

სოკოზე მონადირის იარაღია დაწნული კალათა და პატარა დანა, უმჯობესია წითელტარიანი. რატომ წითელი? ბავშობაში მჯეროდა, რომ ტყის ელფებს წითელი ფერი უყვართ და ვისაც ხელში ასეთ დანას დაუნახავენ, იმას ეხმარებიან სოკოს პოვნაში. იქნებ მართლაც ასეა, ვინ იცის? უფრო პრაგმატულად თუ შევხედავთ, სხვა ახსნასაც ვიპოვით: დანა ხშირად იკარგება ბალახში, ან სოკოთი სავსე კალათში. და რა თქმა უნდა წითელტარიანი დანა უფრო ადვილად მოსაძებნია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ფერის. სოკოს არ უყვარს ხმაური, ამიტომ რაც უფრო ჩუმად იქნებით, მით მეტ სოკოს იპოვით.

## ილუზიები, რომლებიც არ შეესაბამება სიმართლეს და შეიძლება შეგაცდინოთ:

დამკვიდრებულია აზრი, რომ შხამიანი სოკოს გარჩევა ადვილად შეიძლება რამდენიმე ნიშნის მიხედვით:
1) კარგ სოკოს სასიამოვნო სუნი აქვს, უვარგისს კი მყრალი. ხშირად პირიქით არის: შხამიანი ლამაზიც არის და სურნელოვანიც, ხოლო საჭმელად ვარგისი უსიამოვნო შესახედაობისა და სუნისაა;
2) ხარშვის დროს უნდა ჩააგდო ხახვი ან ვერცხლის კოვზი. თუ ხახვი ან კოვზი გაშავდა, ეს ნიშნავს, რომ სოკო არ ვარგა – ზოგი შხამი მართლაც შედის რეაქციაში და აშავებს ხახვს ან ვერცხლს, ზოგი კი არა. ამიტომ ამაზე დაყრდნობა არ შეიძლება.
3) თუ სოკოს გვერდი ოდნავ მოჭმული აქვს, ის უვნებელია, რადგან შხამიანს ცხოველები და მწერები არ ეკარებიან - ეს არ ნიშნავს, რომ ეს სოკო ადამიანისათვის უვნებელია.
4) სოკო სასარგებლოა ბავშვებისათვის - არა, 5 წლამდე ბავშვებისთვის სოკოს მიცემა არანაირი სახით არ არის რეკომენდებული. სოკო შეიცავს ცილებს, ნახშირწყლებს, ბ ჯგუფის ვიტამინებს, კალიუმს, იოდს, ფოსფორს, თუთიას. მისი მცირე რაოდენობითაც მიღებისას, სწრაფად იწვევს დანაყრებას და კალორიებს თითქმის არ შეიცავს. ამიტომაც გამოიყენება ასე წარმატებულად გასახდომ დიეტებში.

შეაგროვეთ მხოლოდ ახალგაზრდა სოკო, გადაყარეთ დაბერებული და ჭიანი, რადგანაც სრულიად უვნებელი სოკო დაბერებისას შეიძლება ტოქსინებით იყოს სავსე. უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან

შხამიანი სოკოთი მოწამვლა, ადგილობრივი ან მსუბუქი მოწამვლა (პირობითად ვარგისი სოკოს არასწორი გამოყენების შედეგად) და ის შემთხვევები, როცა სოკომ უბრალოდ აწყინა ადამიანს.

როდის შეიძლება მოგვწამლოს სოკომ? როცა მივირთვით შხამიანი ჯიში, ან დაკრეფილ კალათაში თუნდაც 1 შხამიანი სოკო აღმოჩნდა;

როდის შეიძლება სოკომ გვაწყინოს?

## მიზეზები:



1. თუკი სოკო არასწორადაა დაკონსერვებული;
2. გადაბერებული სოკო. ზოგიერთი ჯიშის ახალგაზრდა სოკო საჭმელად ვარგისია, ხოლო დაბერებისას მავნე თვისებებს იძენს;
3. ტრასასთან ან წარმოებასთან ახლოს დაკრეფილი სოკო. იგი ადვილად ისრუტავს გარემოში არსებულ ნივთიერებებს და ახდენს მათ აკუმულირებას. ამიტომ სოკო, რომელიც ეკოლოგიურად დაბინძურებულ გარემოში იზრდება, იწოვს ჰაერიდან და ნიადაგიდან მავნე ნივთიერებებს, განსაკუთრებით მძიმე მეტალებს. მათი დიდი რაოდენობით აკუმულირების შემთხვევაში სრულიად უვნებელმა ჯიშმა შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს. ეს უკვე სოკოთი კი არა, იმ ტოქსიკური ნივთიერებებით მოწამვლაა, რომლებიც ჭარბადაა იმ გარემოში;
4. სათბურის სოკომაც შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს იმ შემთხვევაში: ა) თუ დიდი ხნის დაკრეფილია. სოკო სწრაფად ფუჭებადი პროდუქტია და მასში სწრაფად გროვდება ტოქსინები; ბ) თუ ნიადაგი, რომელზეც ის არის მოყვანილი, შეიცავს უხარისხო ან ჭარბი რაოდენობით სასუქს;
5. არის ხშირად ისეთი შემთხვევები, როცა სოკო სხვებმაც მიირთვეს, მაგრამ მარტო თქვენ გაწყინათ. ამის მიზეზი სოკო არ არის. ეს თქვენი ჯანმრთელობის პრობლემაა. უფრო ხშირად ეს ემართებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ვერ იტანენ რძეს. ამ შემთხვევაში მათ უნდა მიაქციონ ყურადღება ღვიძლს, რადგან ეს მიუთითებს ფერმენტაციის პრობლემებზე.
6. სოკოს შენახვა დიდხანს არ შეიძლება. იმ დღესვე უნდა მომზადდეს ან უკიდურეს შემთხვევაში მეორე დღეს. არც მომზადებული კერძის ჭამა შეიძლება 2 დღეზე მეტ ხანს.

სოკოს მიღება არ არის რეკომენდირებული მათთვის, ვისაც აწუხებს თირკმელების უკმარისობა, ქრონიკული ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, ქრონიკული ფაღარათი. ასევე მეძუძური დედებისათვის, რადგან გამოიწვევს ჩვილის მუცლის შებერილობას.

სოკოთი მსუბუქი მოწამვლისას იწყება გულისრევა, პირღებინება, თავბრუსხვევა, მუცლის მოვლითი ხასიათის ტკივილები, შეიძლება ჰალუცინაციაც განვითარდეს.

სასწრაფოდ უნდა გამოირეცხოს კუჭი, მიეცეს საფაღარათე საშუალებები, მარილიანი წყალი, მარგანეცის პერმანგანატის სუსტი ხსნარი და, რაც შეიძლება, მეტი სითხე, მინერალური წყალი და ელექტროლიტების ხსნარი. გაუკეთდეს გადასხმები. ასეთი ინტოქსიკაციის შედეგები 3-4 დღეში ალაგდება.

Mushrooms

Mushrooms are one of the oldest inhabitants of our planet. It is considered, that mushrooms have already existed 400 million years ago. About 1600 species are registered to this day. About 100 species of mushrooms are known in Georgia, however, people refrain from eating dishes prepared with mushrooms in the fear of food poisoning. Collecting mushrooms serve as a superb method of psycho-emotional recreation. Apart from being physically active, you are in close contact with nature and receive positive emotions. One can say that mushroom hunt is best and most simple form of meditation. The mind is free from all the problems and is concentrated exclusively on one goal – to find a mushroom. At last, when it is found – one feels joy and a certain feeling of genuine happiness. Apparently, happiness hormones are released in that moment. Further, the author discusses some of the false statements around mushroom hunting and cooking, how can we differ harmless mushrooms from poisoned ones and in what cases can mushroom harm us, what symptoms are found during mushroom poisoning and how can we treat them.

# ერთი ფუტკრის ოჯახი – ერთი ბიოლოგიური და სამეურნეო ერთეული

1. დავიწყოთ იქიდან, რომ დედამიწაზე არსებული მწერებიდან შესწავლიილი და კლასიფიცირებულია დაახლოებით მილიონ-ნახევარი სახეობა, სულ მცირე, ორი-სამი ამდენი შესწავლასა და კლასიფიკაციას ელოდება. ამ უამრავი მწერისგან ადამიანი სულ რამდენიმე სახეობას იყენებს, ესენია: სხვადასხვა სახეობის ფუტკრები, აბრეშუმის ჭია, რამდენიმე სახეობის მტაცებელი მწერი- მავნებელი მწერების გასანადგურებლად.

2. დედამიწაზე არსებული ყველა ფუტკრის ოჯახი გარეულია, ისინიც კი, რომლებიც მრავალი ათეული წელია სკებში არიან მოთავსებული და ადამიანის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

3. ფუტკრის ოჯახი მიეკუთვნება საზოგადოებრივ მწერებს და მათი ბიოლოგია და ცხოვრების წირი სრულიად განსხვავებულია ჩვენ ირგვლივ არსებული სხვა ცოცხალი არსებებისგან. საზოგადოებრივ მწერებს მიეკუთვნებიან: ჭიანჭველები, კრაზანები, ბზიკები, ტერმიტები, სხვადასხვა სახეობის ფუტკრები.

საჭიროა ნათლად დავინახოთ ის განსხვავება, რომელიც ადამიანებს, ფრინველთა გუნდს, ცხოველთა ჯოგს და საზოგადოებრივ მწერთა ოჯახებს შორის არსებობს. ზემოთ ნახსენები საზოგადოებრივი მწერების ერთიანი ოჯახები სინამდვილეში წარმოადგენენ არა მწერთა საზოგადოებებს, არამედ ერთ ბიოლოგიურ ორგანიზმს. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ჭიანჭველების ბუდე და სკაში ან ხის ფუღუროში დასახლებული ფუტკრის ოჯახი წარმოადგენს ერთ ბიოლოგიურ ორგანიზმს.

ფუტკრის ოჯახს, სხვა საზოგადოებრივი მწერების მსგავსად, გამომუშავებული აქვს საზოგადოებრივი ინსტინქტები, რაც, ერთი შეხედვით, მათში არსებული გონების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, ფუტკრის ოჯახში მუშა ფუტკრები ერთად აშენებენ ბუდეს, ერთად ამზადებენ საკვებს, ერთად იცავენ ტემპერატურას, ერთად ზრდიან მომავალ თაობას, ერთად იცავენ ბუდეს და ა.შ. ყოველივე ეს არის არა გონების ნაყოფი, არამედ გამომუშავებული და შეძენილი კოლექტიური ინსტინქტები.

ფუტკრის ოჯახების მნიშვნელობა ადამიანისათვის მათ მიერ წარმოებული პროდუქციით არ შემოიფარგლება. ითვლება, რომ ფუტკრის ოჯახის მიერ შესრულებული დამტვერვითი სამუშაოს ღირებულება ათჯერ აღემატება იმავე ოჯახის მიერ წარმოებულ პროდუქციას (ცვილი, თაფლი, დინდგელი, ფუტკრის რძე, შხამი და ა.შ.) – განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, როდესაც ინსექტიციდებისა და სხვადასხვა პესტიციდების გამოყენების შედეგად ველური დამამტვერიანებელი მწერები ძალიან შემცირდნენ.

ეს პრობლემა გაეროს წინაშეც დგას, რადგან ფუტკრების გადაშენებას შეიძლება მოჰყვეს იმ მცენარეების გადაშენება, რომლებსაც ფუტკრები მტვერავენ. ამ მცენარეების წილი კი ადამიანის სასურსათო კალათაში ერთ მესამედზე მეტია.

ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში დაიმზირება ფუტკრის ოჯახების თითქოს „უმიზეზო,“ მასობრივი დაღუპვა. მაგალითად, ა.შ.შ.-ში ბოლო ხანებში ყოველწლიურად იღუპება ფუტკრის ოჯახების 35-40%. ასეა ევროპასა და საქართველოშიც.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფუტკრის ოჯახები ველური ბუნების ნაწილი და წარმომადგენელი კი არის, მაგრამ ადამიანის მზრუნველობისა და მკურნალობის გარეშე შეიძლება გადაშენდეს, რაც შეიძლება კატასტროფული შედეგის მომტანი გამოდგეს ადამიანებისთვის.



თეიმურაზ ღოღობერიძე
საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაცია.
E-mail- temurigogob@gmail.com





## A Family of One Bee – a Biological and Agricultural Unit

Every bee family on earth is wild by its nature, even those who have been in a hive for many decades and are cared for. The bee communities, like other social insects, have generated social instincts, which at first glance could leave an impression of conscious phenomena. For example, workers in the bee house build nests together, prepare food together, protect the temperature together, take care of the next generation and so on…but all of above mentioned is not a product of conscious planning, but a developed and well-trained collective instinct. The importance of the bee families is not limited to the products created for human consuming. It is known that the pollinating job done by one bee family, has ten times more value than actual products delivered by the same family (wax, honey, propolis, bee milk, poison and etc.). This especially applies to the last decade, when usage of insecticides and various pesticides has alarmingly reduced the number of pollinator insects.

# ჯანჯაფილი

## „ყველა წამალი შხამია და ყველა შხამი შეიძლება წამალი იყოს“ მთავარია სწორი დოზირება

წამლისმიერი დაავადებები (წამლების არასწორი ან ჭარბი გამოყენებით გამოწვეული გართულებები) დღევანდელობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამიტომ კაცობრიობა ცდილობს მკურნალობის სხვადასხვა ალტერნატიული გზის გამოძებნას და ნელ-ნელა უბრუნდება მკურნალობის ტრადიციულ მეთოდებს, მათ შორის კარგად აპრობირებულ მიმართულებას – მცენარეებით მკურნალობას. ადამიანები თანდათან ხვდებიან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის ბუნებასთან სიახლოვე და ცდილობენ მისი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას. ბოლო დროს მოდაშიც კი შემოვიდა ველურ ბუნებაში დაკრეფილი მცენარეების გამოყენება სხვადასხვა პრობლემების მოსაგვარებლად. ძალიან ბევრი ადამიანი მიმართავს პოპულარულ პრესაში ამოკითხულ, ინტერნეტში რეკლამირებულ ან მეზობლის მიერ მიცემულ რჩევებს.ზოგი მათგანი აღწევს შედეგს,ზოგი–ვერა, ზოგიც, პირიქით, დამატებით ახალ პრობლემას უჩენს საკუთარ თავს და იზიანებს ორგანიზმს, რადგან არ ითვალისწინებს, რომ ყველაფერი ინდივიდუალურია და რაც სხვას მოუხდა, შეიძლება მასზე დადებითად არ იმოქმედოს. სანამ გადაწყვეტთ ამა თუ იმ მცენარის მიღებას, უნდა გაეცნოთ მის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მოქმედებასაც, იცოდეთ, რა შემთხვევაში არ შეიძლება მისი გამოყენება, რა სახით უნდა მივიღოთ, ვის მოუხდება და ვის დააზიანებს, რა სასარგებლო თვისებები გააჩნია და რა უკუჩვენებები აქვს? რა სახით და რა დოზით არის რეკომენდებული!

მე შევისწავლე ბევრი ქვეყნის სამედიცინო ტრადიციები, დაწყებული ევროპულიდან დამთავრებული ჩინურით და ტიბეტურით, და დავრწმუნდი, რომ უნივერსალური არ არსებობს. ყველა ერს აქვს თავისი, საუკუნეებით გამოცდილი, შესაბამისი სამკურნალო ტრადიცია, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც რეგიონის ეკოლოგია, ასევე ერის გენეტიკური თავისებურებები. რატომღაც გაბატონებულია აზრი, რომ რაც უფრო ეგზოტიკური მცენარეებისაგანაა დამზადებული წამალი,მით უფრო შედეგიანი იქნება მისი მიღება. სინამდვილეში პირიქითაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც გვჭირდება საკვებად ან სამკურნალოდ, არის ჩვენ გარშემო. ხოლო ის, რაც ჩვენს მიწაზე არ ხარობს, შესაძლოა არათუ არ მოგვიხდეს, უკუშედეგიც კი მოგვცეს.

ამიტომ გადავწყვიტეთ მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია იმ მცენარეების შესახებ, რომლებიც ხშირად გვხვდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და ფართოდ გამოიყენება როგორც სამკურნალოდ, ასევე პროფილაქტიკის მიზნით.

ჯინჯერი, ჯანჯაფილი, რომელსაც ჯინჯერს ან იმბირსაც უწოდებენ. – რა დადებითი თვისებები აქვს, რითია გამორჩეული? ჯინჯერი სერიოზული წამალია. მე მას დიდი ხანია ვიყენებ. ის ჩემი ბევრი წამლის შემადგენლობაში შედის.

ეს ეფექტური მასტიმულირებელი საშუალება შეიცავს ვიტამინებს და საკმაოდ იშვიათ მიკროელემენტს. აქვს ბევრი სამკურნალო თვისება: ანტივირუსული და ანტიმიკრობული; აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას; ხელს უწყობს კალორიების წვას; აუმჯობესებს კუჭ–ნაწლავის მოქმედებას, მოჰყავს ნაწლავები ტონუსში, ხსნის სპაზმებს; ამის ხარჯზე მოიპოვა გასახდომი საშუალების რეპუტაცია; გამოყავს ქოლესტერინი; არის კარგი ანტიოქსიდანტი, გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, მატებს ორგანიზმს სიმხურვალეს, განსაკუთრებით – შემცივნებულს, შვლის ღებინებასა და გულისრევას. ოდითგანვე მეზღვაურებს მიჰქონდათ გემზე როგორც ზღვის ავადმყოფობის საწინააღმდეგო საშუალება. უხდება ასთმას-,შაკიკს, ხველას. გამოიყენება გრიპის, ასტენიური სინდრომის, ზოგადი სისუსტის,ანთებითი პროცესების, აპათიის, დეპრესიისა და უგუნებობის დროს, კუნთებისა და სახსრების ტკივილისას, აჩქარებს დაბეჟილობებისა და სისხლჩაქცევების გაწოვას. გამოიყენება ვარიკოზული დაავადებებისას და ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს. მე საერთოდ არა ვარ მომხრე საჭიროების გარეშე ასეთი საშუალებების გამოყენებისა, მით უმეტეს დიდი ხნის განმავლობაში. ის რამდენადაც შეიძლება მოუხდეს ერთს, იმდენად შეიძლება ავნოს მეორეს. არსებობს მთელი რიგი დაავადებებისა, როცა მისი გამოყენება არ არის სასურველი ან სულაც არ შეიძლება.





ასეთებია: ინფარქტისა და ინსულტის შემდგომი მდგომარეობები; ჰიპერტონია; კუჭის ან 12 გოჯას წყლული, ეროზიული გასტრიტი, წყლულოვანი კოლიტი, ბუასილი, ღვიძლის დაავადება ან კენჭები ნაღვლის ბუშტში. ასევე საფრთხილოა იმათთვის, ვინც მიდრეკილია სისხლდენებისკენ. ჯინჯერი წნევის ამწევია, ამიტომ არ არის სასურველი მისი მიღება ჰიპერტონიკებისთვის. საფრთხილოა მისი გამოყენება მათთვის, ვისაც სტენტი უდგას და იღებს სისხლის გამათხელებლებს. აგრეთვე არ შეიძლება მისი მიღება ანტიარითმიულ წამლებთან ერთად. არც მაშინ,თუ ადამიანს აქვს მაღალი სიცხით მიმდინარე გრიპი ან ინფექციური დაავადება,რადგან ჯინჯერი გამახურებელი საშუალებაა და შეიძლება სიცხე კიდევ უფრო აუწიოს.

ჯინჯერს ხშირად იყენებენ ორსულების ტოქსიკოზის დროს. აქაც სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით ორსულობის მეორე ნახევარში, რადგანაც გულისრევას კი ხსნის, მარგამ იმდენად აძლიერებს საშვილოსნოს ტონუსს, რომ შეიძლება, ნაადრევი მშობიარობა გამოიწვიოს.

ერთი სიტყვით,ჯანჯაფილი ფრთხილად და დაკვირვებით უნდა მივიღოთ, რომ სასურველი შედეგი მოგვცეს და არ გვავნოს. ჯინჯერის მიღება არ შეიძლება ძილის წინ, რადგან ის, როგორც ყველა სტიმულატორი, იწვევს აღგზნებას, ფორიაქს და ძილის მოშლას. ამიტომ ჩაის პირველი მიღება სჯობს დილას, ხოლო მეორე უმჯობესია არაუგვიანეს 6 საათისა. სალათის მიღება კი საკმარისია დღეში ერთხელ, სადილზე.

გახეხილ ცოცხალ ფესვს ამატებენ სალათებში ან ასხამენ მდუღარეს და იღებენ ჩაის სახით. გამხმარი ფესვისგან კი ცნობილი სანელებელი მზადდება. ჩვენში დღესდღეობით ყველაზე პოპულარულია თაფლით და ლიმონით შეზავებული ჯანჯაფილის ჩაი, რომელსაც გასახდომ საშუალებად იყენებენ.

მე ჯინჯერს ჭიების სამკურნალოდაც ვიყენებ. მძაფრი გემოს გასანეიტრალებლად ჩემს პაციენტებს ვურჩევ დაამატონ ვაშლი, მწვანე სალათა ან სტაფილო და ნიახური.

რაც შეეხება ხანგრძლივობას, 2-3 კვირაზე მეტად არ ვნიშნავ. ვანაცვლებ ერთმანეთს სხვადასხვა საშუალებას, რადგანაც ხანგრძლივი მიღებისას ყველაზე უწყინარსაც კი შეიძლება გვერდითი მოვლენები გამოუჩნდეს.

თინათინ თოფურია
ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტი,
ევროკავშირის ექსპერტი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

## Medicinal Plants – Ginger

“Every medication is poison, and every poison could be used as a medicine” – doses are crucial. People are starting to realize how closely healthcare is tied with nature and are trying to fully use its resources.

Before deciding to treat oneself with any plant as a medication, one has to be acquainted with its positive as well as negative effects. In what cases one should use it? Who will benefit from it and who will get hurt? In what form is it recommended and in what dosage? Author has a long list of illnesses that are treated with ginger, however she also mentions the specific circumstances where ginger can be or cannot be applied.

# ენდემი



## შავარდენი (Falco peregrinus)

მტაცებელი ფრინველი შავარდნისებრთა რიგისა, აქვს მოლურჯო–მონაცრისფრო ზურგი, თეთრი გულმკერდი და შავი თავი. მთავარი მახასიათებელი გახლავთ განიერი მკერდი, მკვეთრად გამოხატული კუნთები, მოკაუჭებულ კლანჭებიანი თითები და ნამგლისებრი, მოღუნული ნისკარტი. მკვეთრად ამობურცული, დიდი ზომის თვალები. ზრდასრული შავარდენი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე შეადგენს 34–50სმ, ხოლო ფრთათშორისი განი – 80–120სმ. მდედრი უფრო დიდი ზომისაა. თუ მათი წონა 910–1500 გრამია, მამრები მხოლოდ 440–750 გრამს იწონიან. სქესობრივი სიმწიფე დგება ორი წლის ასაკში. ისინი მონოგამები არიან, ანუ წყვილი ნარჩუნდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ხმასაც ძირითადად შეწყვილების პერიოდში იღებენ, რათა მიიქციონ საპირისპირო სქესის ყურადღება. ზომისა და შეფერილობის მიხედვით განასხვავებენ ჩვიდმეტამდე ქვესახეობას.

შავარდენი ცხოველთა სამყაროში ყველაზე დიდი სისწრაფით გამოირჩევა, რადგან ნადირობისას 322კმ/სთ ავითარებს, ხოლო ზოგიერთი ცნობით მისი სისწრაფე 389კმ/სთ–საც აღწევს.

შავარდენი გავრცელებულია ანტარქტიდის გარდა ყველა კონტინენტზე, ზღვის დონიდან 4000მ–მდე სიმაღლეზე. ასეთი ფართო არეალის გამო, შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე გავრცელებული მტაცებელი ფრინველია მსოფლიო მასშტაბით. ბუდეს ძირითადად იკეთებს კლდოვან ფერდობებზე. ბუნებაში არსებული შენობა–ნაგებობების შემთხვევაში, შეიძლება ბუდეებს შევხვდეთ მათ სახურავებზე. დებს 1–4 კვერცხს, საინკუბაციო პეროდი: 30–31



დღე, ბარტყები ბუდიდან 6 კვირაში გადმოდიან.

შავარდენი ნადირობისას ჩასაფრებულია ან ცაში ბოინობს. შეტევისას ნადავლის თავზე იმყოფება და თითქმის მართი კუთხით ელვისებურად ეცემა თავს. შედეგად, შეტყუპებულად ურტყამს ტანზე აკეცილ ფეხებს და უკანა თითების კლანჭების მეშვეობით სასიკვდილო დარტყმას აყენებს მსხვერპლს. იკვებება მხოლოდ ფრინველებით, თავს ესხმის მხოლოდ ჰაერში. შავარდენი შეტანილია „წითელ ნუსხაში“ და CITES–ის კონვენციის პირველ დანართში, რაც კრძალავს ამ ფრინველით ვაჭრობას. მათზე ნადირობა არამხოლოდ კანონით იკრძალება, არამედ ამორალურია და დაგმობილი სამონადირეო საზოგადოების მიერ.





# ქაშაპი (LEUCISCUS CEPHALUS)

საქართველოში ბინადრობს ქაშაპის ორი ნაირსახეობა: ჯუჯა (კავკასიური) და ევროპული ქაშაპი. მათი გავრცელების არეალი მთელი საქართველოა. ჯუჯა ქაშაპი, როგორც წესი, არ აღემატება 15-20 სანტიმეტრს, ხოლო ევროპული კი იზრდება 6-7 კილომდე.

ქაშაპი ძლიერი და შეუპოვარი მოწინააღმდეგეა, მეთევზეთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ დარტყმის სიძლიერით იგი კალმახის შემდეგ მეორე ადგილზეა.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ქაშაპი აქტიურია. ამ პერიოდში მისი საკვების 90% –ს შეადგენენ მწერები და ზუსტად ამიტომ ქაშაპი უნდა ვეძებოთ წყალზე გადახრილი ხეებისა და ბუჩქების ქვეშ. ასევე მას უყვარს ციცაბო ნაპირის ქვეშ ან წყალქვეშა დაბრკოლებების მიერ შექმნილი დინების შენელებაში დგომაც.

ქვირითობს ქაშაპი აპრილ-მაისში. პატარ-პატარა ქარავნებით შედის იგი დაბალ წყალზე სადაც ქვიანი ფსკერი, სუფთა ჟანგბადით მდიდარი დინებაა და ერთ ეტაპად დებს ქვირითს. მცირედი შესვენების შემდეგ იგი უბრუნდება თავის ზაფხულის სადგომებს და აქტიურად იკვებება.

იკვებება ქაშაპი სხვადასხვა საკვებით, იგი შეიძლება ყოვლისმჭამელ თევზადაც ჩავთვალოთ. მის რაციონში შედის: მწერები, ჭიები, მოლუსკები, კიბორჩხალები, ბაყაყები, ქვირითი და ლიფსიტები, წყალმცენარეები და წყალში ჩაცვენილი ხილიც კი. გაზრდილი ეგზემპლარები კი აქტიური მტაცებლები არიან. შეიძლება ითქვას, რომ ქაშაპის კვება მკვეთრად სეზონურია. გაზაფხულზე იგი ძირითადად იკვებება ჭიებით, ქვირითით, მოლუსკებით, ზაფხულში თითქმის მხოლოდ მწერებით და წყალმცენარეებით, შემოდგომით კი პატარა ბაყაყებითა და ლიფსიტებით.

თევზაობენ ქაშაპზე სახვადასხვა მეთოდებით: ტივტივაზე გატარებით, ფსკერულით-ფიდერით, სპინინგით და Fly Fishing-ით. უნდა გვახსოვდეს, რომ ქაშაპზე თევზაობისას დამატებითი საკვები მხოლოდ ზაფხულში გამოიყენება და მასში ცხოველური კომპონენტები აუცილებელია (თეთრი და წითელი ჭია).



# Peregrine Falcon (Falco peregrinus)

One of the most common and equally distinctive species among predatory birds. Falcon is known as the fastest bird, due to developing the speed of 322km/h, some sources even state that it can reach up to 389km/h. Falcon inhabits at the 4000 m altitude of all the continents except Antarctica. Prior to attacking, the falcon is waiting in the heights, when it is ready, it locates just above the prey and attacks in the blink of an eye, forming the right angle. It hits the prey with his legs coupled very closely, giving a deadly shot to the victim through the clutches of the back fingers. Hunting objects are mostly medium size birds, which it attacks only in the air. The falcon is listed in IUCN Red List of Threatened Species and is included in the first appendix of the CITES convention, which forbids trading with this bird. Hunting for Falcon is not only illegal, but it is considered immoral and condemned by a hunting community.

# The chub (Leuciscus cephalus)

There are two varieties of a chub in Georgia: Dwarf (Caucasian) and European chubs. Their spread area is entire territory of Georgia. Dwarf chub usually does not exceed 15-20 centimeters, while European rises up to 6-7 kilograms. This fish is a strong and aggressive opponent; most of the anglers believe that he is in the second place after the trout. Chubs start to spawn in April-May, they enter low waters making caravans, where stony floor and water is oxygen-rich and spawns caviar there. After a small break, it goes back to its spring dwellings and actively nourishes itself with food - which could actually be anything. There are different methods of fishing for chub: float fishing, feeder, spinning and fly fishing.



# kulinaria

## ყალმახი ტარხუნის სოუსით

ვიღებთ ყალმახის ფილეს, ვუმაზავთ მარილით და შავი პილპილით.

ყალმახის შიგნით ვათავსებთ ლიმონის ორ ნაჭერს.

ვდებთ ღუმელში და ვაცხობთ 180 გრადუსზე 5 წუთი.

ვიღებთ ყაბაყს, მწვანე და წითელ ბულგარულს ვჭრით თხლად და ვშუშავთ გრილზე ჩილით და სოიოთი.

ამ პროცესის პარალელურად ვამზადებთ ტარხუნის სოუსს:

ვიღებთ წითელ ხახვს, ვჭრით თხლად და ვშუშავთ ცხელ ტაფაზე, ვასხამთ 200 გრამ თეთრ მშრალ ღვინოს და ვათეთქებთ. (სპირტიანობის გასაქრობად), ვუყრით ქათმის ბულიონს, მარილს შავ პილპილს, წვრილად დაჭრილ ტარხუნს და რუს სოუსს მოსაყვანად.

ამასობაში ყალმახი გამოცხვა, ვიღებთ ღუმელიდან, გვერდით ვულაგებთ მოთუშულ ბოსტნეულს, ვასხამთ ტარხუნის სოუსს და ბროწეულის მარცვლებს.

## ხბოს ჩაშუშული საფერავში

ვიღებთ საქონლის დიმიგლასში მოხარშულ 200 გრამ ხბოს ხორცს, ვათავსებთ ცხელ ქვაბში, ვასხამთ 200 გრამ საფერავს და ვათეთქებთ (სპირტიანობის გასაქრობად). ვშუშავთ 5 წუთის განმავლობაში. ვუმატებთ ყარამელიზირებულ ხახვს, შემწვარ ქამა სოკოს და ვაჩერებთ 1 წუთს. ვურევთ სოიოსა და ჩილის სოუსს, 3 წუთის შემდეგ ვუმატებთ კონცენტრატ ბალზამიკოს და შავ პილპილს.

კერძის დასრულების შემდეგ ვუმატებთ წვრილად დაჭრილ ქინძას და მწვანე ხახვს. (რათა კერძი უფრო ცოცხლად გამოიყურებოდეს და ჰქონდეს არომატი)

**წისქვილი ჯგუფი**

**ხარისხის ტრადიცია...**

**წისქვილი ვაკეში** | **არიქა წისქვილი**







**ლუდის მოედანი**



**ეთნო წისქვილი**





**სანადიმო**



**წისქვილი წყნეთში**



OUR KNOWLEDGE & EXPERIENCE
=
TO YOUR BUSINESS SUCCESS

WE PROVIDE HIGH QUALITY SERVICES IN THE FOLLOWING FIELDS:

- LEGAL AND ADVISORY SUPPORT TO INVESTMENT AND BUSINESS PROJECTS
- MOVABLE AND IMMOVABLE PROPERTY-RELATED LEGAL SUPPORT
- COMPANY REGISTRATION
- ASSISTING IN ACQUIRING ALL TYPES OF RESIDENCE PERMITS IN GEORGIA

# BAYAT INVESTMENT LLC

## Member of Bayat Group

BEING THE MEMBER OF BAYAT GROUP OUR COMPANY BENEFITS FROM THE KNOWLEDGE, RESOURCES AND THE NETWORK OF OTHER BAYAT GROUP MEMBER COMPANIES LOCATED IN DUBAI (UAE), MONTREAL (CANADA), KUALA LUMPUR (MALAYSIA), TEHRAN (IRAN), DOMINICA AND ITS ASSOCIATE PARTNERS IN USA, UK, AUSTRALIA, CYPRUS, ST. KITTS & NEVIS, ANTIGUA & BARBUDA, GRENADA AND PORTUGAL.

Address:
Suite 901.
Besiki Business Centre
4 Besiki St., 0108
Tbilisi, Georgia
(+995) 322 242 252
tbs@bayatgroup.com
www.bayatgroup.com









ადამიანს შეუძლია ცოცხალი არსებათა და მთელ სახეობები გარემოს მოსპობა, მაგრამ არაც შეუძლია, რომ აღადგინოს და მოუშუშოს ბუნებას ჰბრელია ჭრილობები.

ვაჟა ფშაველა





